

DEFENDER



მეხისოვნე

ყოველთვიური გამოცემა

№1 აპრილი 2014 წელი

ფასი 3 ლარი



ირაკლი სენიაშვილი: გვ.8-10
“ჩვენ გვაქვს დრო იმისათვის, რომ გავლინ ვისიისთვის მოვამზადოთ”

მართო
მესამევი —
ქართოვი
ყენე
დარევი

გვ.28-30



31-0
გატალიონი
ავლანეთვი

გვ.42-43

ავს-ს სამხედრო ატაშე,
პოლკოვნიკი ჯაფ პარტმანი:
„ჩემთვის დიდი პატივიე
ქართული ქვეითების 23-0
გატალიონის წინაშე გამოსვლა“

გვ.16-17



სამეჩაგლოს
ოვი —
ვიწლის
გვირობე




გვ.13-15



“გავუვები ისე
მოგვეჩვივენე, რომ
შოკოლადებისთის
გაზაზებს კი
გვაკითხავდნენ“

გვ.24



მოგავალი ჯარისკაცი

გვ.35



Reuters

გიორგი სვიბლიანი 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი

* * *

თურმანო, მინდვრის კანჯარო,
 მტერთა დამცეხო თვალისა,
 კარზე მომდგარი დუშმანის
 არ შემრჩენელო ვალისა.
 ტოლებში გამორჩეულო,
 რკინით გამკვეთო ძვალისა,
 ვერაფერს გაკლებს სამსალა,
 გველის და ღრიანკალისა.
 თურმანო, ჩვენი ველების
 და მთების მამშვენებელო,
 გავეშებუღი მერნების
 მხედნელო, მაგელვებელო,
 შენის სიხაფით მხდალების

ომს შიგან მამგელეებელო,
 ქორო, დედლების თავზედა
 რისხვისა მათენებელო.
 წმინდა გიორგის რაინდო,
 მოყმეო აღვისტანაო,
 ცხრა მუხა აკვანს გირწევედა,
 ცხრა წყარომ პირი გბანაო.
 ცხრა დევი ხელით შაიპყარ,
 შაჰკოჭე, ჩაეც დანაო,
 ცხრა სიკვდილ ისე აოტე,
 წარბიმც არ შაგეყანაო.

მერაზ კოსტავა

მოგესალმები, ძვირფასო მკითხველო. გაცნობებ, რომ ჩემი ახალი წამოწყება ისეთ პასუხსაგებ საქმიანობას დავუკავშირე, როგორცაა, შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა. საკუთარ თავზე ვიტვირთე, ვაკეთო ის, რაც ჩვენს ჯარისკაცებს, ომის ვეტერანებს, გმირი შვილების გამზრდელ დედებს, დაობლებულ ბავშვებს, დაქვრივებულ მეუღლეებსა და, საერთოდ, სამშობლოს ყველა დამცველს სჭირდება და ეკადრება. მათ, ვინც იმედიანად უყურებს

მავს და განახორციელებს.

იგი, პირველ ყოვლისა, ჯარისკაცისა და ნაომარი ადამიანის ქომაგი იქნება, რამეთუ მწამს, რომ ჯარის მხარდაჭერაში, უპირველესად, ჯარისკაცის მხარდაჭერა მოიაზრება. ქართული ჯარის წარმატებას კი თითოეული ჯარისკაცის მოტივაციის ამალღებაზე ზრუნვა განაპირობებს. გზა არცთუ მოკლეა – გასული



რედაქტორის გვერდი

ჟურნალ „მეცხოვნეს“ გამოცემას, ვპირდები, რომ იგი უამრავი ჟურნალ-გაზეთის გვერდით აუცილებლად დაიმკვიდრებს ადგილს, რადგან ზუსტად ვიცი ჩემი მიზანი – გავაცოცხლო ყველა ის მოვლენა, ისტორია თუ ფაქტი, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას გადახდენია. მეამაყება, რომ ბევრი მათგანის უშუალო მონაწილე და მონაწილე ვარ. მეამაყება, რომ საქართველოს გათავისუფლებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში პირადად ვმონაწილეობდი. ვიდექი სამშობლოს დამცველთა გვერდით და, ღვთის წყალობით, მთელი ჩემი მრწამსით და შეგნებით, დღესაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გვერდით ვდგავარ.

საპატიო მოვალეობაა, მხნეობა შეჰმატო ჯარისკაცს, და მისი საქმიანობა ქვეყანას ამცნო, რითაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობ შეიარაღებული ძალების პოპულარიზაციას, მეორე მხრივ კი – საზოგადოებაში პატრიოტიზმს ამალღებ. სწორედ ეს მოვალეობა დავაკისრე საკუთარ თავს და გადავწყვიტე, დამეფუძნებინა არასამთავრობო ორგანიზაცია: „ შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისთვის“. ჟურნალი „მეცხოვნე“ სწორედ ამ ორგანიზაციის გამოცემაა, სადაც გაშუქდება ის პროექტები და ღონისძიებები, რომელთაც ორგანიზაცია – „შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისთვის“ – დაგეგ-

საუკუნის 90-იანი წლების ჩაუცმელი ჯარიდან საერთაშორისო მისიაში მონაწილე თანამედროვედ აღჭურვილ ჯარისკაცამდე... წინამდებარე ჟურნალი კი შეეხება და გააშუქებს ყველა საკითხს, რაც ყოფილ თუ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს უკავშირდებათ. ნამოჭრის იმ პრობლემებს, რაც მათ წინაშე არსებობს, სამზეოზე გამოიტანს ყველა ღირსეული ფორმიანის სახელს და ფეხს აუწყობს საერთაშორისო მისიებში ჩვენი ჯარის მონაწილეობას, რადგანაც ჩემი, როგორც ჟურნალის რედაქტორის, პოზიცია ასეთია – საქართველომ, როგორც მსოფლიო ცივილაზაციის ნაწილმა, მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ საფრთხეების პრევენციაში, რომელიც ადამიანების სიცოცხლესა და მათ ნორმალურ ცხოვრებას ემუქრება. ციხე – სამშობლო, მეცხოვნე კი მისი დამცველი, აზრით, გონებით, იარაღითა და, თუნდაც გმირი შვილის გაზრდით... ესაა ჟურნალის სახელწოდების საიდუმლო.

პირველი გამოცემა არ გამოირჩევა ავტორთა და დამოკიდებულებათა მრავალფეროვნებით. იგი, ძირითადად ჩემი სულის გამოძახილია. კარია, რომლითაც მე, ჩემი იდეებითა და მიმართულებებით, ქართულ საზოგადოებაში ახლებურად შემოვდივარ. ვეცადე, ჟურნალის ამ ნომრით, წლების განმავლობაში, ჩემში დაგროვებული ინფორმაცია, ისტორია, ემოცია და განწყობა

თქვენამდე მომეტანა. აქ ახალი არაფერია, მით უფრო ის, რომ „ან-მყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“. ახალი მხოლოდ ამ ჭეშმარიტების ჯარის სინამდვილეზე ასახვაა, რადგანაც ვთვლი, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, შეიარაღებული ძალების ფუძემდებლებს – აფხაზეთის ომის მონაწილეებს – სახელმწიფოში ის ადგილი არ უკავიათ, რაც მათ დამსახურებულად ეკუთვნით. ამიტომაც, ჟურნალის ფურცლები თანაბრად დაეთმობა შეიარაღებული ძალების წარსულს, რომელიც ცალსახად ჩვენი ქვეყნის გაზრდილი უსაფრთხოება და საერთაშორისო სამხედრო ასპარეზზე საქართველოს დიდი ავტორიტეტია. სწორედ ამ მიზნისკენ ვაპირებ სვლას და, ჩემეული ხედვებითა და ინიციატივებით, საქართველოს შეიარაღებული ძალებს სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ.

დასასრულ, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი ახალი საქმიანობის წამოწყებაში სხვადასხვა სახის დახმარება გამიწია. მათ შორის ქართველ ემიგრანტებს, ქალბატონებს, მაია ქუელიო-სახლთხუციშვილსა და ქეთი ორჯონიკიძეს, რომლებიც ჟურნალ „მეცხოვნეს“ პირველი შემომწირავები გახდნენ. ჟურნალისა, რომელსაც, ვფიქრობ, რომ სწორად მიიღებს მკითხველი და დროდადრო კიდევ შეიყვარებს.



დედის დღესთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრმა ასეთი წერილი ყველა იმ დედას გაუგზავნა, რომელთა შვილებსაც საქართველოს სახელი და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე გააქვთ; კაცთმოძულე ტერორისტებისაგან ავღანელ ხალხსა და მსოფლიო უსა-

ევდა, განსაკუთრებით კი ბავშვებთან იყო თბილი და მოსიყვარულე, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამჯერად კი ქალბატონი თეა იმით დაამშვიდა, რომ ავღანეთში მისი შვილი მართლა სამშვიდობო ოპერაციებს ასრულებს და ბრძო-

სიღბსი ჩვენი იმედი გვინდობს, თავდაცვის რაზმების მფარველია. ამ იმედიდან გათვითნებობა და რაიმეხერხეულიანი გადაწყვეტილება აღიარება. თქვენი შვილი თავდაცვით იტყვს სამშობლოს, რაც თქვენი სამსახურია. მინდა, მხარობა გავუცხადოთ, რომ ასეთი შვილი გავზარდეთ ჩვენს. გისურვებთ უსაფრთხოებას, მშვიდობასა და ბედნიერებას. რაღაც რაღაც გილოცავთ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიძე

ჯარისკაცის დედა. დედა, რომელიც შვილის დაბრუნებამდე დღეებს ითვლის და მონატრებასა და დარდს გულში მალავს.

ასეთ დროს მადლობისა და მილოცვის წერილის მიღება თავდაცვის უწყების პირველი პირისგან მართლაც რომ დიდ მხარდაჭერას

მადლობა ჯარისკაცის დედას

ფრთხობას იცავენ, და ყველგან – ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ, სამშობლოს სადარაჯოზე დგანან.

31-ე ბატალიონის წევრმა, 22 წლის მამია ბელქანიამ გასულ წელს მინისტრის მიერ გამოგზავნილი წერილები თავად დაურიგა გმირი შვილების დედას. ბევრ ოჯახში სამხედრო ფორმიანების გამოჩენას შიშითა და პანიკით შეხვდნენ, ჩვენს თავს უბედურება ხომ არ დატრიალდაო. მამიამ ის წუთები გაითვალისწინა და ავღანეთში მიმავალმა თვალცრემლიან დედას დაუბარა, დედი, ასეთი წერილი შეიძლება, შენც მოგიტანონ და არ შეგეშინდესო. ქალბატონ თეა ბელქანიას მინისტრის ბარათი 23-ე ბატალიონის ჯარისკაცმა, ბესო გოგიაშვილმა გადასცა. თავად ბესო ორჯერ იყო სამშვიდობო მისიაში, მხედრულ ვალსაც ღირსეულად იხდიდა და ავღანელელებსაც დახმარებას უწ-

ლებში არ არის ჩაბმული.

„მამიაც იგივეს მეუბნება. მამხრევებს, ასე მგონია, საქართველოში ვარო. ცოტა კი დავმშვიდდი, მივეჩვიე კიდევ, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. სულ ბოლოს ბიჭები რომ ჩამოასვენეს, ჩემმა შვილმა მამინ გადანყვიტა ავღანეთში წასვლა. კინალამ დავაკვდი ამ ამბავს, მაგრამ მე ხომ არ შემეკითხებოდა, ნავიდე თუ არაო? დედა, ეს არის ჩემი მოვალეობა, საქართველოს იქიდანაც ვემსახუროო. კიდევ წამოვალო, ამას წინათ მითხრა, ალაბო ხუმრობ-მეთქი, რა არის აქ სახუმაროო, ეწყინა. თავისი გადასაწყვეტია, მე ხელს ვერ შევუშლი, თუმცა მოსვენებული ვერ ვიქნები და სულ შვილზეუნდავიფიქრო“, – გვიამბო „ავღანელი“

ნიშნავს. „ძალიან მესიამოვნა და გამიხარდა, ასე რომ დამაფასა“, – ამბობს ქალბატონი თეა, რომელსაც, ვინ იცის, ფარაჯიანი ბიჭების დანახვისას გული საგულედან მაინც ამოუვარდა. არადა, ყურადღება და ამაგის დაფასება მართლაც უდიდესი ნუგეშია იმ დედებისათვის, რომლებმაც სამშობლოს ასეთი ვაჟკაცები გაუზარდეს.





საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დაჭრილი სამხედროები რეაბილიტაციის კურსს აშშ-ში გადიან

მხვედრა ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზარარ აჰმად ოსმანი მიიღო. მინისტრებმა საქართველოსა და ავღანეთს შორის თავდაცვის სფეროში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. უახლოეს პერიოდში ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის „სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის“ გაფორმება იგეგმება. საუბარი ეკონომიკური კავშირების განვითარებასაც შეეხო.

მხარეებმა ავღანეთში ნატოს ISAF-ის საერთაშორისო ოპერაციის მიმდინარეობაზე იმსჯელეს და 2014 წლის შემდეგ „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში საქართველოს მონაწილეობის საკითხიც განიხილეს. ყურადღება გამახვილდა ავღანეთში ადგილობრივი ძალებისთვის ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის გადაბარების პროცესზე.

ირაკლი ალასანიამ ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს ადგილობრივი უსაფრთხოების ძალებს რეფორმების განხორციელების პროცესში. საქართველო ავღანეთს ქართულ სამხედრო სავანმანათლებლო ინსტიტუტებში ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას სთავაზობს.

ოპერაცია კოლუმი სახელით „გრიფონი III“

ISAF-ის მისიაში მონაწილე 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციის სოფელ „ჩრდილო მუჰამადბადში“ წმენდის ოპერაცია „გრიფონი III“ ჩატარეს. იგი მონინალმდევის მოსალოდნელი ორგანიზებული შეტევის აღკვეთას ისახავდა მიზნად.

31-ე ბატალიონის „ალფა“ ასეულმა სოფლის იზოლირება ამერიკელი სამხედროებისგან დაკომპლექტებული მხარდამჭერი ჯგუფით განახორციელა. ოპერაციის შედეგად, მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო დასახლებული პუნქტიდან გასვლა და მომაკვნილებელი მასალის გატა-

ნა. მათ არც სხვა დაჯგუფებების დახმარების მიღების საშუალება მიეცათ. ობიექტის იზოლირებას დასახლებული პუნქტის წმენდა მოჰყვა, რომლის დასრულების შემდეგაც ქართველმა სამხედროებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა („შურა“) გამართეს. „შურაზე ყურადღება გამახვილდა სოფელში არსებულ პრობლემებზე, უსაფრთხოების საკითხებსა და ადგილობრივებთან სამომავლო თანამშრომლობაზე. „ალფა“ ასეულის სამხედროებმა მოსახლეობას



პირველადი სამედიცინო დახმარება ჩაუტარეს და საჩუქრებიც გადასცეს.

„გრიფონი III“ 12 საათს გაგრძელდა. ოპერაციას „ალფა“ ასეულის მეთაური, კაპიტანი ზაზა გორგოძე ხელმძღვანელობდა. მასში მონაწილეობა 130-მა ქართველმა და 14-მა ამერიკელმა სამხედრომ მიიღო. ჩართული იყო 24 ჯავშანმანქანა MRAP-ი. ასეულის უსაფრთხოებას ჰაერიდან „ოსპრი“-ს და „ჩინოკი“-ს ტიპის ორი საბრძოლო ვერტიკალური უზრუნველყოფდა. ოპერაციის მსვლელობას ადგილზე 31-ე ბატალიონის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი მუშველიანი და ტაქტიკური დაჯგუფების მეთაური პოლკოვნიკი პიტერ ბაუმგარტნი ზედამხედველობით დასრულდა.

„გრიფონი III“ წარმატებით დასრულდა. ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცები ბაზა „ლეზერნიკზე“ მშვიდობით დაბრუნდნენ.

„გრიფონი III“ იმ ოპერაციების სერიის გაგრძელებაა, რითაც 31-ე ბატალიონი საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონის სრულ კონტროლს ახორციელებს. ოპერაციამ ზემდგომი ამერიკული ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებას, დაგეგმვასა და განხორციელებაში მალაღი შეფასება დაიმსახურა.

თავდაცვის სამინისტრო დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვას განაგრძობს. საქართველოს მთავრობისა და უშუალოდ, პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, თავდაცვის უწყება 2008 წლის აგვისტოს ომსა და ISAF-ის მისიაში დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს მკურნალობის კურსის გასაველად აშშ-ში, სან დიეგოს კლინიკაში აგზავნის.

ამ ეტაპზე, პიტერ ჰარშის საპროთეზო კლინიკაში რეაბილიტაციის კურსს 8 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გადის. დაშავებულ სამხედროებს მექანიკურ პროთეზებს ბიო-მიკრო პროცესიანი პროთეზით უცვლიან. ამჟამად ისინი ახალი პროთეზების მორგებისა და შეგუებისთვის შესაბამის ვარჯიშებს გადიან და ახალი კიდურების მოხმარების ნებსებს ეუფლებიან. უახლესი თაობის ელექტრო პროთეზი სამხედროებს რთულ რელიეფზე გადაადგილებას გაუადვილებს. ექსტრემალური პირობების გამძლე ახალი პროთეზი ჯარისკაცებს მეტი აქტიურობის საშუალებას აძლევს. სამხედროების რეაბილიტაციის კურსს აშშ-ში ქართველი სამხედრო ექიმი, მაიორი ზვიად ბურძღლა ზედამხედველობს.

აშშ-ში პროთეზირების პროგრამის გავლის პარალელურად, დაჭრილი ქართველი სამხედროები სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას – სერფინგი, ფარინგო, ეტლის კალათბურთი, მშვილდოსნობა, თხილამურებზე სრიალი, გოლფი, ჩოგბურთი და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა. აქტიური ცხოვრების წესი მათი რეაბილიტაციის პროცესს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

სან დიეგოს საპროთეზო კლინიკაში რეაბილიტაციის კურსი თითოეული სამხედროსთვის ინდივიდუალურია. მათი შერჩევა დაზიანებების სიმძიმის მიხედვით ხდება. პროთეზირების კურსი პირველ ეტაპზე 6-მა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა. ისინი საქართველოში უკვე დაბრუნდნენ. პროთეზირების კურსს ეტაპობრივად ყველა ის სამხედრო მოსამსახურე გაივლის, ვისაც 2008 წლის აგვისტოს ომსა და ISAF-ის მისიაში დაშავების შედეგად კიდურების ამპუტაცია დაჭირდა.

სამედიცინო დაბრუნების შემდეგ, ყველა ჯარისკაცი საკუთარ ქვედანაყოფს დაუბრუნდება და შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებს მსახურს.



მაისი არ მომკვდარა, არცა სძინავს. ის მოგვიწოდებს სიფხიზლისა და ბრძოლისაკენ. არ გვმართებს უიმედობა, განთიადი მოახლოებულია“.

ეს სიტყვები ნოე ჟორდანიამ პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობიდან 17 წლის შემდეგ წარმოთქვა. მალე კოლხურ კოშკში ვაჟი გაჩნდა. ალბათ, იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნოე ჟორდანიას იმედს დიდი კონსტანტინეს შვილი, ზვიად გამსახურდია გააცოცხლებდა. მამამაც სწორედ ეს უწინასწარმეტყველა 16 წლის ზვიადს: „ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი, დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა შესძლო, გახდე ჩვენი ქვეყნის

9 აპრილი - დღე შპიონისა და დღე გაქაჩეულებისა

25 წელი 9 აპრილის სისხლიანი განთიადიდან... მე კი ძველებურად მგერის ცრემლს და ჩემში იგივე ემოციას ინვევს ერთადერთი ფარი და მახვილი, რითაც მტერს ღირსეულად დავხვდით: „სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!“ – შეძახილები, რომელმაც მაშინ ყველა ქართველი საოცარი სიამაყითა და სიამაყით აღავსო. 23 წელი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენიდან... ამ წლების განმავლობაში სამი ომი და მრავალი ბრძოლა გადაიტანა ჩვენმა სამშობლომ, რაც ქვეყანას მძიმე ფასად დაუჯდა. სიკვდილი, შიმშილი, სიცივე, ახლობელი ადამიანის დაკარგვა, უიმედობა, სასონარკვეთა, თვითმკვლელობაზე ფიქრი თითოეული ჩვენგანის თანამგზავრად იქცა. მაგრამ გზადაგზა ყველაფერს უკან ვიტოვებდით. ადამიანად ყოფნა და მამულომეობა გლოვისა და დარდის უფლებას არ გვაძლევდა. ასე მოვედით და ასე მივდივართ იქითკენ, სადაც ძლიერი სახელმწიფოს მწვერვალი გველოდება.

დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს ისტორიიდან: „ქართ-

ველმა ერმა ამ დღეს უარყო სხვისი ბატონობა და გადანყვიტა თვითბატონობა. 26 მაისს ქართველობა ერთსულოვნად გამოეყო ჩრდილოეთს, გამოვიდა მისი ტყვეობიდან. დალენა მისი ბორკილები და მოიპოვა თავისუფლება. საქართველო იშვა 26 მაისს, იშვა თავის ქვეყანაში, იშვა მსოფლიოში. და რა არის დღეს საქართველო? ის აღარ არის, მას მოუბრუნდა ძველი მტერი. მას მოეპარა ჩრდილოეთი და მოსტაცა სული ძლიერი. მან შეწყვიტა ერის მაჯისცემა და შეაბა ძველი ბორკილები. პატივყარილი, უფლებანართმეული, ენაამოგლეჯილი ქართველი ერი ბნელ სარდაფშია ჩამწყვდეული. მისი ერთგული იდეენება, მის ორგულს ფიანდაზად ეფინება. მრუდე გზაზე სიარული დაჯილდოებულია. ქართველი ხალხისათვის დედასამშობლო დედინაცვლად გადაქცეულა. მტერნი მოყვრულად თავს ეხვევიან და მოითხოვენ გუნდრუკის კმევას. მათ უგალობენ ქებათა ქებას. ხალხი ძაძებში გახვეულა. 26 მაისი აკრძალული, შებოჭილია, მაგრამ 26 მაისი მაინც ანათებს. ის მუდამ ახალია, მუდამ სანატრელია, მუდამ ცხოველია, ის ჩვენი მომავალია. 26

ღირსეული შვილი... გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მაღალი და ზეაღმტაცი ამბებისათვის“.

დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვება სწორედ ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. პროკლამაციების გავრცელებასთან ერთად ერის თვითგამორკვევაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველოს მოამბეს“, „საქართველოს“, „მატიანეს“. 1988 წლიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობა აღმავლობის გზას დაადგა. 1989 წლის 4 აპრილს კი აფხაზი სეპარატისტების საპასუხოდ თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო. სამედიცინო ინსტიტუტიდან დაძრული ხალხის ტალღა უფრო და უფრო ზვირთდებოდა. მანიფესტაცია მთავრობის სახლისკენ გაემართა. მანიფესტანტებმა მიმდებარე ტერიტორია დაიკავეს. სტუდენტი-ახალგაზრდობა საშიშროლოდ დაჯდა. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ.






იგივე მოთხოვნით მოშიმშილეები დასხდნენ სახელმწიფო ტელევიზიასთანაც. ეროვნული მოძრაობა პიკს აღწევდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ყველასათვის მოულოდნელად 6 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა ტანკები შემოგრილდნენ, რომელთაც ლულები აქციის მონაწილეებისთვის ჰქონდათ დამიზნებული. ეს ძალზე შემზარავი იყო, საშიშიც... ალბათ, ამიტომ თუ იხვეწებოდა უფროსი თაობა, შვილებო, სახლებში წადით, თქვენ არ გინახავთ 56 წელი, მაგრამ ადგილიდან არავინ იძვროდა. საპროტესტო აქცია 14 აპრილს – ქართული ენის დღეს უნდა დასრულებულიყო.

9 აპრილის დღისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები ბრძანების შესასრულებლად უკვე მზად იყვნენ. ბრძანება კი მიტინგის დარბევას გულისხმობდა. მოსკოვიდან თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გამოაგზავნეს. ოპერაციას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. 9 აპრილს, ღამის 4 საათზე დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ალყა შემოარტყეს. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ორლესული ნიჩბებითა და მომწამვლელი გაზით. რუსი ჯარისკაცები მომიტინგეებს ჯალათურად გაუსწორდნენ. სისხლიანი დარბევა მთავრობის სახლთან და სახელმწიფო ტელევიზიასთან მიმდინარეობდა. რის შედეგადაც დაიღუპა 21, ხოლო მონაწილე და დაშავდა ასეულობით ადამიანი.

მოედანზე მხოლოდ საშინლად დასახიჩრებული და ბარბაროსულად მოკლული ადამიანების გვამები დარჩა. გაირკვა რომ ქიმიური იარაღიც იყო გამოყენებული. ექიმები მონამღლეებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან ქიმიური აირის შემადგენლობა არ იცოდნენ. საიდუმლოს კი არავინ ამხელდა.

9 აპრილს დატრიალებულმა ტრაგედიამ ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო ალაზევია. ბედნიერია



ის ადამიანი, რომელიც ამ პროცესებს შეესწრო და მასში თავად მონაწილეობდა. საქართველო ბრძოლის ველს დაემსგავსა. სჭექდა რუსთაველის გამზირი. შემდეგ კი ეს მუხტი სრულიად საქართველოს მოედო. ახლოს იყო გამარჯვება – დამოუკიდებლობა, ერთ ხელშესახებზე.

ეროვნულმა მოძრაობამ კომუნისტები აიძულა, 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნები დაენიშნათ, რომელმაც ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოიყვანა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი კი, გასურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა? – გამარჯვებით დასრულ-

და: საქართველოს მოსახლეობამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სურდა. იმავე წლის 9 აპრილს, ეროვნული მოძრაობის პატრიარქმა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი კაცისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“



“ჩვენ გვაქვს დრო იმისათვის, რომ გავლით მისიონის მოვებზადოთ“

მალე ქართული ბატალიონი ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურ აფრიკაში გაემგზავრება. ქართული ქვედანაყოფები დარჩებიან ავღანეთშიც და 2015 წლიდან პოსტ-აისაფის ოპერაციებში მიიღებენ მონაწილეობას. რას გულისხმობს ეს ოპერაციები და რა ტიპის ძალადობასთან შებრძოლება მოუწევთ ჩვენს ჯარისკაცებს ცენტრალურ აფრიკაში, როგორი წარმოდგენა აქვს ნატოს სამხედრო კომიტეტს საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, ამ და სხვა საკითხებზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს ვესაუბრეთ.

– ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც არ არის ნატოს წევრი ქვეყანა?

– პირველ რიგში, ვთქვათ ის, რაც არის ფაქტი. ფაქტი კი არის ის, რომ ნატო საქართველოს უყურებს, როგორც განსაკუთრებულ პარტნიორს. ეს ერთი მხრივ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ საკმაოდ სერიოზული ძალებით ვმონაწილეობთ აისაფის სამშვიდობო მისიაში. ჩვენი ჯარისკაცები იქ ავლენენ მაღალ პროფესიონალიზმს და ჩვენ ამ ერთგულებას ძალიან გვიფასებენ. მეორე – აფასებენ ასევე იმას, რომ საქართ-

ველო მტკიცედ დგას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ამ მიმართულებით ქვეყანაში პროგრესია და უზარიათ, რომ ასეთი პარტნიორი ჰყავთ. ამიტომ პარტნიორის დაფასება ხდება სხვადასხვა ფორმებით, ამ შემთხვევაში იმით, რომ სამხედრო კომიტეტი თავის გასვლით სხდომას ატარებს საქართველოში, რასაც, როგორც წესი, არ აკეთებს. განსაკუთრებით – არანევერ სახელმწიფოებში.

სამხედრო კომიტეტი, ფაქტობრივად, არის ერთადერთი ორგანო, რომელიც სამხედრო მიმართულებით რეკომენდაციებს აძლევს ნატოს პოლიტიკის დროს სტრატეგიის განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, ისინი აფასებენ სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ შეიარაღებული ძალების მდგომარეობას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკასთან შეხება არ აქვთ, პოლიტიკური მესიჯია, როცა ისინი ჩამოდიან. მეორეს მხრივ, როდესაც შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებს აფასებენ პოზიტიურად, ეს ნატოსთვის ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სამხედრო ძალებში მიმდინარე რეფორმები შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. ეს ჩვენ გვჭირდებოდა და გვჭირდება დღესაც, რადგანაც წელს უელსში სამიტია, სადაც გვინდა, რომ პროგრესი დაფიქსირდეს და საქართველომ მეპი მიიღოს. ამ

ფონზე პოზიტიური დასკვნა, კარგი განცხადებები და მხარდაჭერა ძალიან კარგია ჩვენი ქვეყნისთვის, რათა საქართველომ მეპი მიიღოს.

– ბრიუსელში ქართული დელეგაციის ვიზიტისას განხილული იქნა ევროკავშირის მისიაში ჩვენი ჯარის მონაწილეობის დეტალებიც. კონკრეტულად რა საკითხებზე იყო საუბარი და რა რაოდენობის კონტინგენტის გაგზავნა მოხდება ცენტრალურ აფრიკაში?

– ცენტრალურ აფრიკაში, იცით, რომ არის კონფლიქტი. გაერომ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, რომ ამ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაში ჩართულიყო დასავლეთი, ცივილიზებული სამყარო. ევროკავშირმა ეს თავის თავზე აიღო, საფრანგეთი არის ამ საქმის მოთავე. საქართველოდან დაახლოებით ერთი სამშვიდობო ბატალიონი ჩადის. იქ, ძირითადად, რელიგიურ ფონზე არის კონფლიქტი მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის. მუსლიმანები, დაახლოებით, 14-16%-ს შეადგენენ, დანარჩენი ქრისტიანები არიან. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ეს დაპირისპირება სისხლისღვრით განვითარდა. ძირითადად, იყენებენ მანქეტებსა და შხამიან ისრებს. თუმცა იქ არ მიმდინარეობს სიმეტრიული ომები, იქ არის რაღაც ძალადობის გამოვლინება.

– ჩვენი ჯარისკაცები რომ არ არიან მომზადებული ასეთი ბრძოლებისათვის?

– ჩვენ გვაქვს დრო იმისათვის, რომ მოვემზადოთ. არამარტო ავუსხნათ, რა ტიპის კონფლიქტია და რა მისია აკისრია ჩვენს ასეულს, არამედ გავაცნოთ ადგილობრივი ტრადიციები და ჩვევები. მათი ნინასწარი მომზადება განხორციელდება და მთელი რიგი ღონისძიებები გატარდება.

– პოსტ-აისაფის ოპერაციებში ჩვენი ქვედანაყოფების ჩართვა როგორ მოხერხდება, შემცირდება კონტინგენტი თუ იგივე დარჩება, და, საერთოდ, რას გულისხმობს პოსტ-აისაფის ოპერაციები?

– პოსტ-აისაფის ოპერაცია, ძირითადად, გულისხმობს ადგილობრივი ძალების მხარდაჭერას. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა შიდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი არის ავღანეთის ხელისუფლება და ძალოვანი





უნეებები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გაუმკლავდებიან სხვადასხვა ტიპის საფრთხესა და გამოწვევას, მაშინ მათ ეყოლებათ მხარდამჭერი ძალები. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ მათ აღმოვუჩინებ დახმარებას და, ამასთანავე, დაგვავდებით მათი მომზადებითა და გადამზადებით.

- ეს პროცესი რამდენი წელი გაგრძელდება, ამ დროისათვის არის განსაზღვრული?

- ამაზე საუბარი ჯერ არ არის, მიმდინარეობს დაგეგმვა და დაგეგმვის პროცესში გამოჩნდება. არც კონტინგენტის რაოდენობაა ჯერ განსაზღვრული, შესაძლოა, შემცირდეს კიდევ.

- გაზაფხულზე საქართველომ ავღანელი სამხედროები უნდა მიიღოს. ვინ ჩაუტარებს მათ სწავლებას და რა ტიპის წვრთნებს გულისხმობს იგი?

- ჩვენს სამხედროებს საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვთ, გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, იმის მიხედვით, თუ რა სამხედრო მოთხოვნები იქნება, იმ მიმართულებით მოვამზადებთ, ჩვენთვის პრობლემა არ არის ნებისმიერი სამხედრო პროფესიით მათი მომზადება-გადამზადება.

- ბატონო ირაკლი, უკრაინაში მიმდინარე პროცესები რამდენად მოახდენს გავლენას საქართველოზე?

- პირველ რიგში, ნათელია, რომ კონფლიქტი არის დასავლეთსა და რუსეთს შორის, ამ შემთხვევაში ვიჭყლიტებით ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთსა და დასავლეთს შორის გეოგრაფიულად ვიმყოფებით. რუსეთს არ უნდა, თავისი გავლენის ზონები დაკარგოს, ძირითადად ეს პოსტ-საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ეხება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მისი გეო-პოლიტიკური ინტერესები, როგორც დასავლეთის, ასევე, სამხრეთის, და საერთოდ, ყველა მიმართულებით, რადგან ის არ არის პატარა სახელმწიფო...

ამიტომ, როცა ვსაუბრობთ, რომ ეს არის დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, დემოკრატიასა და არადემოკრატიას შორის ევროპის კონდინენტზე, მაშინ ჩვენ ვართ დასავლეთის მხარეს და ნებისმიერი გამარჯვება დასავლეთისა და დამარცხება რუსეთის ჩვენთვის ნიშნავს

ზოგადად დემოკრატიის გამარჯვებას. მოკლევადიან პერსპექტივებში შეიძლება ჩვენ უფრო ვიყოთ უკრაინისთვის საჭირო, ხოლო – გრძელვადიან პერსპექტივებში უკრაინა იყოს ჩვენთვის საჭირო. ასეა, მეგობრობაში როგორც ხდება, ერთმანეთს გვერდში უნდა დავედგეთ, როცა საერთო ინტერესები და მიზნები გვაქვს.

- როგორც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, 2017 წლიდან შეიარაღებული ძალები საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადავიდეს, ეს ხომ



„ჩვენი ჯარისკაცები იქ ავლენენ მაღალ პროფესიონალიზმს და ჩვენ ამ ერთგულაბას ძალიან გვიფასებენ“.

არ გამოიწვევს შეიარაღებული ძალების რიგების შემცირებას?

- არა, პირიქით. ჯერ ერთი, რომ 37 ათასია შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა და იგი პარლამენტის მიერაა დამტკიცებული, შესაბამისად, რაც მოაკლდება სავალდებულო სამსახურს, ის დაემატება საკონტრაქტოს. ასე რომ, შემცირება არ იგეგმება.

- ქართულ-ამერიკულ წვრთნებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. იგი ივნისში მეოთხედ ჩატარდება საქართველოში. ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას ორივე მხრიდან და, საერთოდ, როგორ შეაფასებდით ამ სწავლებას?

- შეიარაღებული ძალებისთვის წვრთნა ეს არის ჩვეულებრივი, ყოველდღიური პროცესი. ჯარი ემზადება, ყოველ დღე მეცადი-

ნეობს, წვრთნებს ატარებს. რაც უფრო მაღალი დონის, ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალი ინსტრუქტორები მოამზადებენ ჩვენს ჯარისკაცებს, მით უფრო აიმაღლებენ ისინი კვალიფიკაციას. ცხადია, ამ წვრთნებს ჩვენთვის აქვს პირდაპირი პროფესიონალური უნარ-ჩვევების გაძლიერების დანიშნულება.

- ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმეზე დაკავებულები იყვნენ სამხედროები დანაშაულის დაფარვისთვის. მათ სასჯელი მოიხადეს და ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას, რაც გულისხმობს მათ გამართლებასა და სამსახურებში დაბრუნებას. თუმცა ეს პროცესი ძალიანჭიანურდება. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი და უნდა ჰქონდეთ თუ არა ამ ადამიანებს იმის იმედი, რომ მათ მიმართ სამართლიანობა ნამდვილად აღდგება?

- სამართლიანობის აღდგენა ძალიან რთული პროცესია. ამ ორი სიტყვის უკან ყველა თავისებურად კითხულობს ყველაფერს. ის, რომ თავად სამართლის მიმართ მიდგომა შეიცვალა, მე ვფიქრობ, რომ ეს არის სამართლიანობის აღდგენა. სამართლის ჩარჩოებში, ამ ხელისუფლებას რისი გაკეთებაც შეეძლო, გააკეთა. მაგალითად ის, რომ ამნისტიით პოლიტპატიმრები გამოუშვა, შეკრებილობა გააუქმა, სამი მეოთხედით ყველას მოაკლო სასჯელი, ესეც პასუხი არის იმაზე, რომ ჩვენ რაღაც ფორმით უსამართლობის კომპენსაცია მოვახდინეთ. მაგრამ რიგითი მოქალაქეები თვლიან, რომ სამართლიანობის აღდგენა მათ ინდივიდუალურად უნდა შეეხოს. ასე რომ მოხდეს, უნდა იყოს ინდივიდუალური მიდგომა. მაშინ, როდესაც ქვეყანაში სასამართლოს გადამწყვეტილება არის საბოლოო, მე ვგულისხმობ ინსტანციების მიხედვით, არ არსებობს სხვა სამართლებრივი მექანიზმი, რომ ეს ყველაფერი გადაიხედოს.

თუ ჩვენ სასამართლოს კიდევ სასამართლოს შევუქმნით, მაშინ ეს პროცესი არ დასრულდება. დარაჯის დარაჯი გამოგვივა და შეიძლება, უსასრულობამდე გაგრძელდეს. ეს არის ძალიან რთული, ამიტომ პროკურატურა ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს. პრეტენზიებია, რომ

ბავშვიკებულის სული (მე-7 რაზმის ჯარისკაცთა ცხოვრებიდან)



მტკიცება არ უნდა იმ დებულებას, რომ ერის ძლიერება წარმოუდგენელია გარეშე შეგნებისა და მოქალაქეთა თავისი „მე“-სი. ნათლად გათვალისწინება იმისი, თუ რანი ვართ, რანი უნდა ვიყავით, – ფუძეა ჩვენი არსებობისა, აქაა საწინდარი ჩვენი ძლიერებისა და კეთილი მომავლისა.

ამ მხრივ თუ შევხედავთ ჩვენს მდგომარეობას, დამაკმაყოფილებელ სურათს ვიხილავთ. ის ბინდი გონებისა, რომელიც გადაკრული ჰქონდა ქართველს ძველს წყობილებაში, გადაიფანტა, გაჰქრა და მის ნაცვლად ვხედავთ მოქალაქეს გაღვიძებულს, გაცნობილს, ბინდომორებულს, რომელსაც ფრიად აინტერესებს თავისი თავი, როგორც

სამშობლოს ერთგულს, როგორც მოქალაქეს, რომელზედაც არის დამყარებული სამშობლოს ბედი და უბედობა. შორს არ წავალ, ამ აზრის დასამტკიცებლად ავიღებ მე-7 რაზმის ჯარისკაცთა ცხოვრებას.

ამ რაზმში არსებობს კულტურულ-განმანათლებელი სექცია, რომელსაც სათავეში უდგას ინსტრუქტორ-მასწავლებელი ბ.ი. მინდელი. ამ უკანასკნელის მეცადინეობით დაარსებულია სამკითხველო, რომლიდანაც ნელი-ნელ სარგებლობენ ჯარისკაცები წიგნებით. გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები და სხვა. გუნდებში სწარმოებს მუშაობა წერაკითხვის უცოდინარ ჯარისკაცებთან შესემნილ ჯარისკაცთა ან ოფიცერთა

მიერ. ამ უცოდინართა ჯგუფიდან გამოყოფილია წერა-კითხვის მცოდნენი, ზოგი ცოტა თუ ბევრად მომზადებულნი, რომელთაც სწავლის წყურვილი, შედარებით, გაღვიძებული აქვთ. ამგვარ ჯარისკაცებისათვის რაზმის თეატრის დარბაზში სისტემატურად იმართება ლექცია-საუბრები ყოველდღე საქართველოს ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და ლიტერატურიდან.

აი, მოკლედ სურათი მე-7 რაზმის ჯარისკაცთა კულტურული ცხოვრებისა. აღწერს ყველაფრისა ძნელია და, ნამეტნავად – გადაცემა იმ მდგომარეობისა, სიცოცხლე-ხალისისა, რომელსაც იჩენენ ჯარისკაცები რომელიმე საუბრის დროს. ცოცხალი გამომეტყველება, გაორკეცებული ყურადღება და დაჭერა ლექტორის ყოველი სიტყვისა, ის სიცხოველე და გაორკეცებული წყურვილი სწავლის შეძენისა, რომელიც გამოკრთის ყოველი ჯარისკაცის მიხვრა-მოხვრასა თუ სახეზე, – სანუგეშო სურათს იძლევიან და თუ დღევანდელ წყობილებას რაიმე ნაკლს ამჩნევს ადამიანი, – ყოველივე ეს უშინაარსოა და ამასთანავე უშიშარი ხდება ჯარისკაცის ამისთანა სიცოცხლის დანახვაზე. ჭეშმარიტად, აღმდგარია ქართველური სული, სული მებრძოლი, არა მარტო მშობლიური კერის მტრის შესამუსრავად, არამედ მშობელი ერის კულტურის შესაძენად. დიდი იმედია, რომ ჩვენს ქვეყანასაც ეყოლება მცველი მოქალაქე – შეგნებული, გაღვიძებული, რომელსაც მტკიცედ ექნება შეგრძნობილი სამშობლოს თავისუფლების სიყვარული და მისი დაცვის აუცილებლობა, და რომ ეს ასეა და ასე იქნება, ამის მთქმელია გაღვიძებული სული გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ჯარისკაც მოქალაქისა.

**ჯარისკაცი პ.პარმანიშვილი
ურუნალი „მხედარი“. 1920 წელი.**

პროკურატურა არ არის ეფექტური. ეფექტური, შეიძლება, არის, მაგრამ იმ პირობებში, როცა ერთ წელიწადში სამასმა პროკურორმა მიიღო 50 ათასი სარჩელი, წარმოიდგინეთ, ახლა, ერთმა პროკურორმა როგორ უნდა განიხილოს ამდენი სარჩელი, მაშინ, როცა, შეიძლება იგი ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საჩივრით იყოს დაკავებული?! ამას ემატება კომპენსაციის საკითხიც. ზოგი ამბობს, არ მინდა კომპენსაცია, ოღონდაც სამართლიანობა აღდგეს და მე უდანაშაულოდ მცნონო. მაგრამ ეს ასე არ არის. „მე არ მინდა“ იმას არ ნიშნავს, რომ ამ

უფლების ჩამორთმევა ვინმეს შეუძლია. თუ სასამართლო გაამართლებს, ამ ადამიანს ავტომატურად უჩნდება უფლება, რომ მოითხოვოს კომპენსაცია იმ დაკარგული წლებისა და ციხეში ჯდომის, ფსიქოლოგიური და მორალური ზარალის გამო. ისევე, როგორც ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში მოითხოვოს იმ ქონების დაბრუნება, რომელიც, შეიძლება, მესამე-მეოთხე პირს ჰქონდეს. ე.ი. რადგან სახელმწიფომ დააშავა, მან უნდა გადაუხადოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღარიბაშვილმა კი არ უნდა ჩაიყოს ჯიბეში ხელი, არამედ, თითოეულმა ჩვენთაგანმა და მივცეთ იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ვილაცას უსამართ-

ლოდ წაართა ქონება. ამის რესურსი კი ქვეყანას არ გააჩნია.

მარტო „ჩემი“ და „მე მინდა“ არ არის სწორი. სამართლიანია, მაგრამ შეუძლებელია ამ პირობებში. ეს არის გულახდილად ნათქვამი. სახელმწიფო იმიტომ არის ერთი ოჯახი, რომ ერთმანეთს უნდა გავუგოთ. ძალიან მინდა, რომ ყველა ქონებაჩამორთმეულს დაუბრუნდეს თავისი ქონება. ძალიან მინდა, რომ სამართალი ერთ დღეში აღდგეს, რატომაც არა, რა ჯობია სამართლის ზეიმს, მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ გვინდა, რომ კანონის ფარგლებში მოვექცეთ და არ ვიყოთ მოსამართლის მოსამართლე.

ესაუბრა ზაირა მიქაბაძე

პროექტი

ერთი დღე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში

„ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ პროგრამის მონაწილემ, მოხალისე პედაგოგმა, მარი ბობოხიამ შემომთავაზა, მოდი, ჩვენი სკოლების მოსწავლეები რომელიმე სამხედრო ნაწილში ექსკურსიაზე წავიყვანოთო. მისი იდეა ძალიან მომეწონა, მაშინვე ავიტაცე და ასე ჩაეყარა საფუძველი პროექტს: „ერთი დღე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“. მას მხარი თავდაცვის სამინისტრომაც დაუჭირა და მოგვცა საშუალება, მიგვეღო სწორედ ის შედეგი, რისთვისაც ამ პროექტში ეთნიკური უმცირესობის ბავშვები ჩავრთეთ.

ვაზიანის მე-4 ბრიგადაში გამგზავრებამდე მარნეულისა და სოფელ ყიზილაჯლოს პირველი საჯარო სკოლების მოსწავლეებს წარმოადგენა შევუქმენით საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, მის ისტორიაზე, როლსა და მნიშვნელობაზე როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მსოფლიო უსაფრთხოების დაცვის საქმეში. აგრეთვე, იმ სამხედრო ტექნიკასა და ქვედანაყოფზე, რომელთაც სამხედრო ნაწილში ნახავდნენ და გაეცნობოდნენ. ვუამბეთ მე-4 ბრიგადაში დისლოცირებულ 42-ე ბატალიონზე. ვუთხარით, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს შეიარაღებული ძალების პოპულარიზაციასა და განმტკიცებაში. იგი რამდენჯერმე მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში. ბოლო მისიის შესრულების დროს კი, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ტერორისტებისაგან მოსახლეობის დაცვისას, 10 სამხედრო მოსამსახურე დაეღუპა. დავპირდით, რომ თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, მოსწავლეები დაათვალიერებდნენ სამხედრო ნაწილის ტერიტორიას, მის სამწყობრო მოედანს, ყაზარმებს, სპორტულ დარ-

ბაზს, სასადილოსა და სამხედრო ტექნიკას. გაეცნობოდნენ, თუ როგორ ცხოვრობენ ჯარისკაცები, შეხვდებოდნენ მათ, გაესაუბრებოდ-

ჯართან, ინტერესით ათვალიერებდნენ მათთვის საგანგებოდ გამოფენილ სამხედრო ტექნიკას. სამწყობრო მოედანზე სამხედრო მარშზე ფეხშენციობილ ჯარისკაცებსაც თბილ მზერას აყოლებდნენ. ჯარისკაცები მათ დაწვრილებით უხსნიდნენ თითოეული ტექნიკისა და შეიარაღების დანიშნულებასა და თავისებურებებს. ბავშვებმა დაათვალიერეს ყაზარმები. ნახეს, თუ როგორ სუფთად და მოწესრიგებულად ცხოვრობენ ჯარისკაცები. გაეცნენ თეორიული სწავლების კლასსაც. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლბსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპულთა სტენდის დათვალიერებამ კი განწყობა ყველას დაგვიმძიმა. იქვე იყო თავდაცვის სამინისტროს მიერ დანესებული პრიზიცი „ბრძოლებში დაღუპულ ჯარისკაცთა თასი“, რომელიც ბრიგადებს შორის გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის, ამჯერად, მე-4 ბრიგადის სიგელებით, დიპლომებითა და მედლებით დახუნძლულ კედელს ამშვენებს. ტრენაჟორებისა და სპორტული დარბაზები, რომლებიც ჯარისკაცთა სავარჯიშოდ და განსატვირთავადაა განკუთვნილი, მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ და იქ არცთუ ცუდი სპორტული მონაცემები გამოავლინეს. ბრიგადის სააქტო დარბაზში მოსწავლეები საგანგებოდ შეახვედრეს 42-ე ბატალიონის წევრებსა და ხელმძღვანელობას. ბატალიონის ყოფილი მეთაური ირაკლი კალანდაძე მათ ძალზე თბილად და სიანტერესოდ ესაუბრა იმ ისტორიებსა და მიღწევებზე, რაც ბატალიონს თავისი არსებობის განმავლობაში ჰქონია. ბავშვებმა განსაკუთრებული ინტერესი საერთაშორისო მისიაში ქართული ჯარის მონაწილეობის თაობაზე გამოამჟღავნეს. ბატალ-



ნენ და შეკითხვებს დაუსვამდნენ. ლია კარის დღე სამხედრო ნაწილში ძალზე შთაბეჭდავი აღმოჩნდა. ბავშვები, რომელთაც აქამდე არასოდეს ჰქონიათ შეხება ქართულ





იონის უფროსმა აუხსნა, რომ მათი ტოლი გოგო-ბიჭები ავლანეთში ტერორისტებისაგან ილუპებიან და საქართველომ, როგორც დემოკრატიულმა და ევრო-ატლანტიკური კურსით მავალმა ქვეყანამ, მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს. დღის ბოლოს კი სტუმრებს სამხედრო ნაწილის სასადილოში უგემრიელესი და მრავალფეროვანი სადილით გაუმასპინძლდნენ.



მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეები ჯარისკაცურად მონაწილეობდნენ და დღის ბოლოს მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს. დღის ბოლოს კი სტუმრებს სამხედრო ნაწილის სასადილოში უგემრიელესი და მრავალფეროვანი სადილით გაუმასპინძლდნენ.

მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეები ჯარისკაცურად მონაწილეობდნენ და დღის ბოლოს მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს. დღის ბოლოს კი სტუმრებს სამხედრო ნაწილის სასადილოში უგემრიელესი და მრავალფეროვანი სადილით გაუმასპინძლდნენ.



სახელო“, – მიუგო ვაშაყმაძემ.

ასე დამთავრდა ექსკურსია ვაზიანის მე-4 ბრიგადაში. ხოლო პროექტი – „ერთი დღე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“ კვლავაც გრძელდება. მის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ჩვენი დახმარებით, ექსკურსია ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურის აზერბაიჯანულმა სკოლამაც მოაწყო. სამხედრო ნაწილში სტუმრობამ აზერბაიჯანულ ბავშვებში პატრიოტიზმის ამალღებასა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის სურვილის გაღვივებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამავე დროს, მათ სახელმწიფო ენის დაუფლების მოტივაციაც გაუზარდა. ენა რომ უკეთ გვცოდნოდა, უფრო მეტს გავიგებდითო, – გულისტკივილით მითხრეს ექსკურსიის დასასრულს.

უდავოა, რომ ჯარი ვაჟაყმაძეებს, გამძლეობას, სიმამაცეს, მოვალეობას, პასუხისმგებლობას, ერთგულებას, სიყვარულს, პატრიოტიზმს ავითარებს ადამიანში და მას კაცად აყალიბებს. ამიტომ, სკოლის პედაგოგებო, თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული კურსი – ჯარის გამჭვირვალობა – გაძლევთ საშუალებას და ასტუმრეთ თქვენი მოსწავლეები სამხედრო ნაწილებს, რაშიც დახმარებასა და მეგზურობას ჩვენ გაგიწევთ.





სოფელ შინდისში 17 გვირი ქართველის მემორიალი

2008 წლის 11 აგვისტოს, სოფელ შინდისის რკინიგზის სადგურის მახლობლად, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის 17 ჯარისკაცი რუსულ მოტომსროლელ ასეულთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. რუსებმა ქართველი მე-ბრძოლების წინააღმდეგ თითქმის ყველანაირი იარაღი გამოიყენეს. ესროდნენ ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნიდანაც. ბიჭებს მტრისთვის ზურგი არ უჩვენებიათ. ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე

ჩათვალეს, რომ ის ადამიანი ბოროტია“, – ამბობდა ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე დაბრძენებული ბიჭი, და შიშზე გამარჯვებას სიყვარულიც კი შეაღია, დედ-მამის, დის, სატრფოსა და სამშობლოს სიყვარული. ახლა მის საფლავზე სახელმწიფო დროშა ფრიალებს. ისიც გაუტეხელ, გამარჯვებულ ქვეყანაზე ოცნებობდა და ამიტომაც დადგა სამშობლოს სადარაჯოზე.

მიხეილ დვალისვილი 1986 წლის 7 ივნისს ვანის რაიონის სოფელ მუქეთში დაიბადა. სკოლაც იქვე დაამთავრა. მას ჯარისკაცობა სურდა, მშობლებს კი – შვილის იურისტობა. მათ ხათრი არ გაუტეხა და ქუთაისის პეტრინის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. ჯარში განვევის დროც დაუდგა. თურმე გული ანუხებდა. უარი უთხრეს. ექიმს 50 ლარი გადაუხადა და სამედიცინო კომისია ისე გაიარა. ექიმების მოქრთამვა კიდევ ერთხელ მოუხდა – სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ხელი ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა და სენაკში დისლოცირებული მე-2 ბრიგადის საინჟინრო ბატალიონში კაპრალად ჩაირიცხა. აგვისტოს ომმა ერთი წლის შემდეგ მოუხწრო. ბრძოლა ჩვენ არ გვეხებაო, მშობლებს ამით ანუგეშებდა და ატყუებდა, ოსიაურში ვდგავართ და სენაკში დაბრუნების ბრძანებას ველოდებითო. ამ დროს იგი ფრონტის შუაგულში ტრიალებდა.

რუსული არმიის შემოსვლისა და მის მიერ განხორ-

სამხედრო ომი – შინდისის გვირი

იბრძოდნენ. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ნათლია და ნათლული, ალექსანდრე ონიანი და რომან ზოიძე. ალექსანდრე ონიანს დაჭრილი ნათლული მუხლებზე ეწვინა. ხელში კი გაუხსნელი ყუმბარა ეჭირა. როდესაც შეატყო, ტყვია-წამალი ილეოდა და ბრძოლას აგებდნენ, გადანყვიტა, მტერს ხელში არცერთი არ ჩავარდნოდა. „მამაო ჩვენო“ ხმამალლა წარმოთქვა და ყუმბარა გასსნა...

სოფელ შინდისში იქაური მოსახლეობისა და უკანდახეული ქართული ქვედანაყოფების დასაცავად თავი გასწირეს და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გმირებად შევიდნენ: მიხეილ დვალისვილი, ზვიად კაცაძე, ილია გაბუნია, ალექსანდრე ონიანი, რომან ზოიძე, რუსლან ნულაძე, კახა კოშაძე, ფელიქს კაკაურიძე, ემზარ ნილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, თეიმურაზ ბერიძე, თამაზ მელქაძე, შმაგი კუბატაძე, ირაკლი ჯანელიძე, ამირან ბარამია, ნიკოლოზ ფორჩხიძე.

ის გაუგებარე ქვეყანაზე ოცნებობდა

„სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ ადამიანიდან დავალებული“, – ეს სიტყვები 22 წლის მიხეილ დვალისვილს ეკუთვნის. იგი ყოველთვის გრძნობდა ამ მოვალეობას, ბედნიერებისა თუ უბედურებისას, სამშვიდობოსა თუ ბრძოლის ველზე და შიშსაც ამგვარი მოვალეობის შეგრძნებით ამარცხებდა. „თუ ადამიანს შიში გააჩნია,

ცივლებული დაბომბვის შემდეგ ქართულმა ქვედანაყოფებმა უკან დახევის ბრძანება მიიღეს. 2008 წლის 11 აგვისტოს, დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაც დაიდო. კოლონა გორისკენ დაიძრა. მათ შორის მე-2 ბრიგადაც იყო. გზაში საცობი შეიქმნა. მიშიკო დვალისვილმა სამხედრო სამსახური სამაჩაბლოში გაიარა. აქაურობა თვალდახუჭულმა ვიცო, მეგობრებისთვის უთქვამს და მათ გორისკენ მიმავალ მოკლე გზაზე მიუთითა. 7 მანქანა უკან დაბრუნდა. 50-მა კი წინ გზა განაგრძო. საუბედუროდ, სარდლობის გარეშე დარჩენილი ჯარი უკან გამოსვლას ასე არაორგანიზებულად აწარმოებდა და არც მონინალმდეგის განლაგების შესახებ ფლობდა ინფორმაციას.

რუსული ბატალიონი შინდისის რკინიგზის სადგურთან მანამდე ჩასაფრდა, სანამ აქ ქართველი ჯარისკაცები გამოჩნდებოდნენ. ტანკებზე ხუთჯვრიანი დროშები ფრიალებს. „ჩვენები არიან, ამათ გაყვეთ“, – თითქმის ერთხმად შესძახეს მეომრებმა და მანქანები წინ მიმავალი ტანკების ნაკვალევს მიჰყვა. თურმე ომს ყველაფერი ეპატიება, მათ შორის მონინალმდეგის დროშის ქვეშ ჩადენილი მუხთლობაც. მოულოდნელად რუსებმა ტანკების ლულები სამშვიდობოს მაძიებელ ქართველ ჯარისკაცებს მიუშვირეს. ჯერ პირველი მანქანა აუფეთქეს. კიდევ ერთი აფეთქების ხმა, ახლა ბოლო მანქანას მოედო ცეცხლი.





მტრის მიერ განადგურებული საინჟინრო ბატალიონის ოცეულის მანქანები

შუაში მყოფი მანქანები ჩაიხერგა. ვერც წინ გადაადგილდებოდნენ, ვერც – უკან. ამ დროს მიშიკო დვალის შვილი ტელეფონით დედას ესაუბრება. პირველი შოკი დედამ მაშინ მიიღო, როდესაც შემზარავი აფეთქების შემდეგ შვილის ხმა შეწყდა. დედის განწირული ძახილი მიშიკოს აღარ ესმოდა. იგი მეგობრებისა და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა. იმ სიცოცხლისა, რომელიც მას, როგორც ადამიანს, ბევრ რამეს ავალდებულებდა, მათ შორის – სამშობლოსათვის თავდადებასა და ლამაზად სიკვდილს. ისიც მხოლოდ ასეთ სიკვდილზე ოცნებობდა.

„გუტვო უდრეკად, ბოლო წუთამდე, სიკვდილსაც მხოლოდ დიმილით ველით...“

ეს სტრიქონები ომამდე დაწერა და ამ წინათგრძობამ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი 21-ე საუკუნის გმირად აქცია. გადარჩენილი მეომრები მანქანებიდან გადმოსვლასა და პოზიციების დაჭერას ახერხებენ. ხუთი ჯარისკაცი მამინვე იღუპება. ეს იყო ნაპერწკალი, რომელიც ბრძოლის ჟინს მოედო და ქართველი ბიჭები უთანასწორო ბრძოლაში ჩააბა. აქეთ მოდიო, მიშიკოს ხელით ანიშნებს სოფელ შინდისის ერთ-ერთი მკვიდრი და შედარებით უსაფრთხო ადგილისკენ იხმობს. თავი დამანებეო, ხელს აუქნევს ქართველი ჯარისკაცი, რომლის ამოცანა თავის შეფარება კი არა, მოწინააღმდეგის განადგურება და ბრძოლას აგრძელებს. რუსები დამხმარე ძალას იძახებენ. „ესენი ვინ არიან, ეშმაკები თუ ადამიანები?!“, - გაჰყვირის რუსი ოფიცერი და მთელ ბატალიონს უმეთაუროდ დარჩენილი ქართველი ბიჭების წინააღმდეგ შეტევისკენ მოუწოდებს.

„11 აგვისტო... ცხინვალის გასასვლელთან რომ მივედით, ჩვენების საქმე ცუდად იყო, ქართველები თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ, მიცვალებულებიც გვყავდა და დაჭრილებიც. ესენი ვინ არიანო, ყვიროდა მეთაური, ეშმაკები არიან თუ ვინ?! – უკვე ერთი საათია, ასეთ დღეში ვართ. 15 წუთში კიდევ ერთი ჯგუფი წამოგვეშველა თავისი ტექნიკით. მოკლედ, 2 ჯავშანმანქანა და 1 ტანკი გვყავდა და 60 ჯარისკაცი ვიყავით. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა. როგორც გავიგეთ, მხოლოდ

ოლოდ თორმეტი ქართველი ჯარისკაცი გვებრძოდა, მხოლოდ თორმეტი“, – რუსი ჯარისკაცის, საშა დროზდოვის მოგონებიდან. თვითმხილველების გადმოცემით, ქართველი მეომრების ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ რუსებს დახოცილებისათვის იარაღიც კი არ აუყრიათ. პირიქით, რამდენიმე წუთი ქუდმოხდილნი მდგარან იმ ადგილას, საიდანაც გაცეცხლებული ქართველები წინააღმდეგობას უწევდნენ.

„ცინკის“ კუბოსთან ზოდესაც მოვა, თვალცრემლიანი მშობელი დედა, ვთხოვ, მწარე ცრემლით ნუ დამიტირებს, ზადგან ვაჟკაცი ბრძოლაში კვდება.“

ასე ხედავდა მიშიკო დვალის შვილი თავის მომავალს. წერდა და შვილის აზრებით გულდამძიმებულ დედას უხსნიდა, როგორც მენერება, ისე ვწერო. ის კი, რატომღაც, წინასწარ გრძნობდა მოახლოებულ განსაცდელს, რომელიც საკუთარ ხალხსა და სამშობლოს ელოდა. ამ განსაცდელში კი თავის როლსაც ხედავდა და იმ ადგილსაც, რომელიც ისტორიამ ძალზე ადრეულ ასაკში მიაკუთვნა. დღეს კი ყველამ უნდა იცოდეს საქართველოში იმ 12 ბიჭის გმირობის შესახებ, რომლებმაც თავისი ვაჟკაცობით ზურგი გაუმაგრეს უკანდახეულ ქართულ ჯარს და თავად შინდისის მოსახლეობა კი განყვეტი საგან იხსნენ. მათ დრო აჩუქეს აქაურ მოსახლეობას, სამშვიდობოს გასულიყვენ. უკანდაბრუნებულმა შინდისელებმა ნაომარ სოფელში მემორიალი აუგეს მათთვის უცნობ გმირებს, რომელთა წინამძეც საუკუნეების განმავლობაში ქედს მოიდრეკს ყველა თაობის შინდისელი.

დედას, როგორც მინაბრება

„დედა, არაფერი ინერვიულო, რა არის სანერვიულო?! იმ დღეს რომ ატირდი, მეც ვტიროდი, მაგრამ მხოლოდ გულში, როგორც ვაჟკაც ჯარისკაცს ეკადრება. ისე კი ვიცინოდი, მაგრამ ეს ცრემლიანი სიცილი იყო...“ – დედისათვის მიწერილი ბარათიდან.

სამაჩაბლო მშობლიურ კუთხ- 



ესავით შეიყვარა. ორი წელიწადი ამ მიწის სუნთქვით სუნთქავდა. მის გათავისუფლებაზე ოცნებობდა და თავის განცდებს შემდეგ ლექსებად აქცევდა.

**„წამოვიდოდა მტრის ტყვიას,
მსგავსად წვიმის და სეტყვისა,
გულმკერდს უხვედა მეომრებს,
მათ დედებს ვინ ზას ეტყვისა.
იბოძებოდა ქართული
სოფლები, მრავალწლიანი,
ბრძოლის ველიდან ისმოდა
მომაკვდავთ ხმა ცრემლიანი,
ბევრ დედამ ახლაც არ იცის
საფლავი თავის შვილისა,
ან ელოდება ცოცხალსა,
ან მის სურათზე სტირისა.
მიუხედავად ქართველთა
დამარცხებული ბრძოლისა,
სამაჩაბლოში იხარებს
ვარდი, დაღუპულთ ხსოვნისა“.**

მიხილ დვალისვილს ლამის ეს წინასწარმეტყველება აუხდა. საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემდნენ, რომ ქართველი მეომრები ალყაში იყვნენ მოქცეულები. მათი ბედის გამკითხავი კი არავინ იყო. რუსული მხარისგან სამი დღე ითხოვდა საქართველოს პატრიარქი შინდისში შესვლას. ბოლოს შეთანხმება შედგა და უწმინდესმა უმონყალოდ დაყრილი ბიჭები ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოიყვანა. ტომარაში გახვეული ვაჟკაცი მოჰგვარეს გამწარებულ ოჯახს. დედას წამიერად გაუელვა იმ სტრიქონებმა, სადაც შვილი თავის მომავალს – ვაჟკაცურ სიკვდილს აღწერდა და რეალობას მოსწყდა. მიშიკო მეორე დღესვე დაკრძალეს. დედამ კი ომში წასული შვილის ლოდინი განაგრძო. ეკლესიის წყალობით, მან სინამდვილე აღიქვა და მოგონებებს დაუბრუნდა. იხსენებს იმ საბედისწერო შემთხვევასაც, რომელმაც შვილი მკერდიდან სამუდამოდ მოჰგლიჯა.

„იქნებ, უცნებ მოკვდა, მაგრამ იქნებ ინვალია, დაჭრილი იყო და იძახდა, დედა, მიშველეო. ეს რომ მახსენდება, გიჟს ვემსგავსები. ტანკები დაუნახავთ ქართული დროშებით. აქეთ წამოდითი, დაუძახიათ. ქართველები არიან, ბიჭებო და წასულან. იმ წუთში მე მელაპარაკებოდა მიშიკო, მოვდივართ, დედა, უკვე მანქანაში ვსხედვართო. გაისმა აფეთქების ხმა და ტელეფონი მამინვე გაითიშა. პირველი მანქანა თურმე ცარიელი მოდიოდა. მხოლოდ მძღოლი იჯდა. ზვიადი ერქვა, მოკვდა



საწყალი. პირველი და ბოლო მანქანა ააფეთქეს, გზა ჩაუკეტეს. მიშიკო მესამე მანქანაში მჯდარა. ვრეკავდით და არავინ გვპასუხობდა. ბოლოს ამხანაგმა გვიპასუხა. აფეთქება მართლა მოხდა, მაგრამ მიშიკო ცოცხალი იყო, გარბოდა და ერთი დაჭრილი მიჰყავდაო.

17 ბიჭი ყოფილა. 5 გაქცევისას მოუკლავთ. გამწარებულან, უკან მობრუნებულან და სროლა აუტყებავთ. იცით, რამდენი დაუხოცავთ? თვითონ შინდისელები ამბობენ, მაგ 12-მა ბიჭმა ჩვენი სოფელი იხსნა, 300 ადამიანი გადაგვარჩინაო. სამჯერ გამოუძახებიათ რუსებს დახმარება. ისეთი პოზიცია ჰქონიათ, ტყვიები რომ არ გამოლეოდათ, ვერაფერს უზამდნენ. სახლში ყველაფერი მოჰყვა. ავტომატი არ აურთმევიათ. ტელეფონიც კი ჯიბეში ელო. მაგ ტელეფონმა დამლუბა, მატყუებდა, ოსიურში ვარო, თორემ მამამისი წავიდოდა და იმ ბიჭებს ყველას გამოიყვანდა. დათო ნაომარია და ამას მოახერხებდა. უფროსობა რომ გაიქცა, მაგან გამოიწვია ქოსი. რა უფლება გაქვს, გარბიხარ და ჯარისკაცს ტოვებ?! ჩემთვის წელთაღრიცხვა 2008 წელს შეჩერდა“, – ყვება დედა, რომელმაც შვილს საფლავში თავისი წილი სიცოცხლე ჩააყოლა. მიხილ დვალისვილი კი ის ჯარისკაცი აღმოჩნდა, რომელმაც გამირობისათვის ძალზე პატარა ასაკში შეძლო, ლექსში ხატოვნად ნათქვამი ბრძოლის ველზე სინამდვილედ ექცია:

**„ვინ ვარ მომავლის, ამას ვერ გეტყვით,
დღეს კი დამჩნავის ბედი ყვავივით,
ერთი უბრალო კი ვარ პოეტი,
მაგრამ ჩემს აღმართს მაინც ავიფლი.
ბედმა ნაპირზე ზომ არ გამჩიოს,
ზხას გავიკაფავ ეკალ-ბარდებით,
მერე კი, ალბათ, სხვა ზომ არ იყოს,
ამ ლექსებითაც შეგიყვარდებით“.**



AGILE SPIRIT – აგაიანი სული

აშშ-ს საზღვაო ქვეითებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთობლივი სწავლება – „Agile Spirit“, რაც ქართულად „ამტან სულს“ ნიშნავს, საქართველოში ქართულ-ამერიკულ სამხედრო წვრთნებს ითვალისწინებს და პირველად 2011 წელს ჩატარდა. სამი წელია, სამხედრო წვრთნები ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე იმართება. მისი მიზანი სამშვიდობო ოპერაციების უნარჩვევების გაუმჯობესება და აშშ-სა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაა. 2011 წელს ჩატარებულ სწავლებაში რუმინეთში დისლოცირებული, ამერიკის შეიარაღებული ძალების – შავი ზღვის მე-12 როტაციული ძალების 350 საზღვაო ქვეითი მონაწილეობდა. 2012 წელს

კი, მე-11- როტაციული ძალების მეტროპოლიტი. 2011 და 2012 წლებში ამერიკელ საზღვაო ქვეითებს პარტნიორობა საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითმა ბრიგადამ გაუწია. საცეცხლე და ტაქტიკური წვრთნები, შენობების ტერორისტებისაგან განმეხდა, ამბოხებულთა დაკავება, ჩხრეკა-კორდონისა და ტერიტორიის განაღმეითი ოპერაციები – ეს იმ სიმულაციურ საბრძოლო მოქმედებათა ჩამონათვალია, რომელთა განხორციელებაც მართლა უხდებათ ჯარისკაცებს ავღანეთში.

Agile Spirit – 2013 გასული წლის გაზაფხულზე გაიმართა და მასში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის შავი ზღვის როტაციული ძალების 350 სამხედრო მოსამსახურე და ავღანეთიდან

დაბრუნებული მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი მონაწილეობდა. ბატალიონი, რომელიც სამშობლოში უდანაკარგოდ დაბრუნდა.

სწავლების გახსნის დღეს გაზაფხულისთვის უჩვეულო ამინდი იყო. ცივ, წვიმანარევ ქარში ქართული დროშის ქვეშ იდგნენ ავღანეთის გაუსაძლის კლიმატში გამოწრთობილი 23-ე ბატალიონის ჯარისკაცები. ქართველი სამხედროების შემართებით აღძრული სიამაყის განცდა საქართველოში ამერიკის სამხედრო ატაშეს სიტყვებმა კიდევ მეტად გაამძაფრა.

„ჩემთვის დიდი პატივია 23-ე ბატალიონის წინაშე გამოსვლა და საუბარი“, – განაცხადა ჯეფ ჰართმანმა ცერემონიაზე. ამერიკელმა ინსტრუქტორმა, რიჩარდ ბენინგმა კი ქართულ-ამერიკული წვრთნები ასე შეაფასა: „წვრთნები ორივე მხარისთვის სასარგებლოა. ჩვენ ქართველებისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ, ისევე, როგორც ისინი ჩვენგან. ერთმანეთს გამოცდილებასა და უნარჩვევებს ვუზიარებთ. ყველა ქვეყანას თავისი ხედეა აქვს და მათი გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანია“.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი Agile Spirit – ის შესახებ საუბრობს: „შეიარაღებული ძალებისთვის წვრთნა ეს არის ჩვეულებრივი, ყოველდღიური პროცესი. ჯარი ემზადება ომისთვის, ამიტომ ყოველ დღე მეცადინეობს, წვრთნებს ატარებს. რაც უფრო მაღალი დონის, ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალი



ინსტრუქტორები მოამზადებენ ჩვენს ჯარისკაცებს, მით უფრო აიმაღლებენ ისინი კვალიფიკაციას. ცხადია, ამ წვრთნებს ჩვენთვის აქვს პირდაპირი პროფესიონალური უნარ-ჩვევების გაძლიერების დანიშნულება“.

მისიამოვლილი ქართველი ჯარისკაცები კი სასწავლო ოპერაციებში ისეთი სიფრთხილითა და პროფესიონალიზმით მოქმედებდნენ, რომ ძნელი იყო, თავი ნამდვილ ომში არ წარმოგედგინა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ამერიკელი საზღვაო ქვეითების მეთაურს, სტივენ ვოლფვეულმს:

„დიდი მადლობა 23-ე ბატალიონის წევრებს, რადგან გაგვიზიარეს ის გამოცდილება, რომელიც მიიღეს ავღანეთში. ამ სწავლებაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ვაჟაკობას, პროფესიონალიზმსა და მეგობრობას არ აქვს ეროვნება. მოხარული ვარ, რომ იქ, ცხელ წერტილში ამერიკელ ქვეითებს ექნებათ ქართველების იმედი, ისევე, როგორც ქართველებს – ამერიკელებს. მინდა, გისურვოთ წარმატება და სახლებში მშვიდობით დაბრუნება. მოუთმენლად ველი მორიგ სწავლებას“.

მორიგი ქართულ-ამერიკული სწავლება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე წლის ივნისში კვლავ გაიმართება. 23-ე ბატალიონი კი გაზაფხულზე დატოვებს სამშობლოს და ნატო-ს ჯარმობთან ერთად ავღანეთის სამშვიდობო მისიაში კიდევ ერთხელ მიიღებს მონაწილეობას. ჩვენც ვუსურვოთ ჩვენს ბიჭებს, და მათთან ერთად კოალიციის თითოეულ ჯარისკაცს, მისიის წარმატებით შესრულება და შინ მშვიდობით დაბრუნება.



ომის სინდრომი

წერილი, რომელიც ინტერნეტით გავრცელდა, მეომარი კაცის ფსიქოლოგიას ზედმიწევნით გადმოსცემს. ომმა დალი დაასვა ყველას, ვინც ომში კაცის კვლა ისწავლა, ვინც სიკვდილს თვალეზში ჩახედა, ვისაც მეგობარი მოუკლეს და ვისაც სიცოცხლე მძიმე ტვირთად დაანვა. ომის სინდრომი – ეს მძიმე და აუტანელი დაავადება მძვინვარებს დღესაც და ომგამოვლილ ბიჭებს აიძულებს, იმ კადრებით იცხოვრონ, რომელიც მათივე მონაწილეობით 20 წლის წინ ხდებოდა.

წვილი ომიდან დედა!

იცი, აქ ისვრიან, სულ ისვრიან. მართლა ისვრიან. ეს ტყვიებიც მართლა კლავს. ბიჭები, ღიმილიანი ბიჭებიც მართლა კვდებიან. დედა, იცი, ხუთი დღის წინ პირველად მოვკალი კაცი, მეც ვესროლე. დედა, ეს ჯოჯოხეთია, სადაც უნდა გადარჩე, სადაც უნდა დაასწრო, თორემ დაგასწრებენ. უკვე ბევრს დაასწრეს და ბევრი გაცივდა. დედა, ჩამქრალი თვალები დამჩემდა. ღამით წითელი ტყვიების ქროლვა მესიზმრება და ბიჭების ხმა მესმის. ვიტყვი, ოღონდ ვეღარ განვიცდი, დედა, ვხედავ და აღარ მტკივა, სისხლი მდის და ვხედეები. იცი, ხუთი დღის წინ ირაკლი მოკლეს. ხომ გახსოვს იკა, ერთად ვსწავლობდით, მხიარული

ბიჭი. მე მხოლოდ გასროლიდან გასროლამდე ვცოცხლობ. ხუთი დღის წინ ირაკლისაც დაასწრეს, დედა. ვერ მოასწრო სროლა. გახედა, არ ესროლა. იარაღი დაუშვა. ვაჟაკი ბიჭი იყო, მისი მოკვლა საცოდაობას დაატრიალებდა და არ მოკლა. მანაც დაუშვა იარაღი, დაინდეს ერთმანეთი. იკამ გამომხედა და აცრემლებულმა მითხრა, ამის მოკვლა საცოდაობაა, შეხე, რა ბიჭია, ეს რომ მოკვლა, რა ნამუსით ვიცხოვროო და გაიღიმა. ხომ გახსოვს, დე, როგორი ღიმილი ჰქონდა. მაგრამ სხვებმა არ დაინდეს! სხვამ ესროლა იკას! და ღიმილიანი დავარდა.. აღარაფერი უთქვამს. ირაკლის სისხლის სუნი დადგა ჰაერში. იქ ცოდვის





დღე დატრიალდა, დე. იცი, რა მოხდა? იმან, იმ ბიჭმა, თავისიანი მოკლა, არ დაინდო, არ აპატიო ომის მეგობარი რომ მოუკლეს, არავის აპატიო! ხომ გესმის ჩემი? შენ უნდა გესმოდეს, სხვა გზა არ გაქვს. უნდა გესმოდეს, რომ ერთდროულად ორი კარგი ადამიანი ნავიდა ამ ქვეყნიდან... და ვისროლე, ვისროლე და ტყვიას გაგყევი. მთელი სული ჩავატანე, მიზანს ვერ აცდებოდა, არ ჰქონდა უფლება რომ ასცდენოდა, არა! ვიგრძენი, რომ გაიარა ცივი ჰაერი, კვამლია როგორ გააბო ჰაერში გზად შემხვედრი ფიფქები. მეც დავასწარი სხვას. და მერე გაისმა ხმა, ის საშინელება, რომელიც ყოველ ღამე მესმის. 22-25 წლის ჯერ კიდევ ნორჩი შუბლის ძვალი გატყდა, დედა! და ის ტყვია მე ვიყავი. იმ ღამეს არ დამძინებია. ორივე გამოვიტირე. დილით უკვე ცარიელი ვიყავი და ომმა ისევ სიკვდილის ისრებით გამავსო. ბევრის თვალებში ჩავაქრე სინათლე, ბევრს ვანანე დაბადება, დედა. მე შევიცვალე. მე აღარ მტკივა, მე აღარ ვნანობ.

ყველაფერი მავინყდება ნელ-ნელა. იცი, რა მენატრება? ჩვენს ნაძვებში მინდორზე ნამონოლა, ჩემს საყვარელ ბიძაშვილებთან ერთად ისევ ფაცხის აშენება მინდა. რომ ჩამოვალ, ავაშენებ, დე. დედა, თუ არ დავბრუნდი, ბევრი იტირე, ყველას გააგებინე, ყველამ იტიროს! ვიცი, რომ ბევრს დავენყვეტ გულს. მამამ იცის, როგორ უნდა გაუძლოს, ის კაცია და გამიგებს. ჩვენ

კარგი მეგობრები ვიყავით. დედა, შენი შვილი უკვე კაცია. ტყვიებში გაიზარდა. გული მწყდება. მინდოდა, ვინმე მეც მყოლოდა, ვისაც მოუნდებოდა ჩემთვის გულის გადაშლა, ვინც მომეფერებოდა, ვინც ჩემს მკლავზე დაიძინებდა, ვის თმებშიც თავს ჩავრგავდი, ბავშვები მინდოდა... ორი ბიჭი და ნაბოლარა გოგონა. მე ეს ვერ გამოვცაღე დედა, ვერ ვიცხოვრე..

მე თუ ვერა, ბიჭები დაბრუნდებიან. ვინმე აუცილებლად დაბრუნდება. ის იყოს ჩემ მაგიერი. გადარჩენილ ბიჭებს მოეფერეთ. აქ ხომ ყველას ერთი დედა გყავს, აქ ხომ ერთი სახელი გვქვია ყველას...

დედა, იცი, აქ ისვრიან, სულ ისვრიან. მართლა ისვრიან, ეს ტყვიებიც მართლა კლავს. მე შევიცვალე. მე აღარ მტკივა, მე აღარ ვნანობ...

აღსარება

არასოდეს მიცდია, შინაგანი განცდა ვინმესთვის თავს მომეხვია. თვით აფხაზეთის ომშიც კი. ეს „აღსარება“ ჩემს არქივში მხოლოდ ჩემთვის მქონდა გადანახული, მაგრამ რატომღაც მისი სამზეოზე გამოტანა მომინდა, რადგანაც ჩავთვალე, რომ იგი მხოლოდ ჩემი ადამიანური სისუსტის გამონახულება არ არის, იგი ჩემი თაობის მეზობლების საერთო განცდა და გულისტემაა.

წაგებული ომიდან შინ დაბრუნებას ვაჟკაცობის დაკარგვა ჰქვია. ვიცი, რომ ჩემსავით მრავალი მეომარი ფიქრობს. 1941-45 წლების სამამულო ომის მონაწილეებს დღესაც მედლები და ორდენები უმშვენებთ მკერდს,

როცა ერთად იკრიბებიან. აფხაზეთის მეზობლებს კი სამხედრო ფორმის ჩაცმაც ესირცხვილებათ. „ტყუილად დაგვბოცეს, მოგვატყუეს, გვილაღატეს“, – ეს სიტყვები მათი ბაგეებიდან არ ქრება აგერ, ამდენი წელიწადია. და მაინც, აქვს კი ვაჟკაცისთვის ომში წაგებას მიზეზი? ალბათ, არა და სწორედ ეს პასუხისმგებლობა ტანჯავთ და კლავთ მათ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რადგანაც ნაომარი ბიჭები დღესაც იღუპებიან.

აფხაზეთში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ის აფხაზეთი და ომის დროინდელი სულ სხვა იყო. არაფერია იმაზე შემზარავი, როდესაც მინას გიბომბავენ, გითხრიან, გისახიჩრებენ და შენ გრძნობ, როგორ ტკივა შენს მინას ტანკის ყოველი გავლა-გამოვლა. როგორც მშობელი შვილის დაკარგვას, ისე განვიცდი აფხაზეთთან სიმორეს. ტრანსპორტით გადაადგილება დანაშაულად მიმაჩნდა, ფეხით დავდიოდი, ვეხებოდი, ვენაფებოდი ჩემს მინას და საოცარი სიამაყით ვივსებოდი, რადგანაც ამით მტერზე გამარჯვებას ვგრძნობდი.

ისინი შორიდან, მოპარვით, ქურდულად გვგომბავდნენ. ჩვენ კი ვიდუქით და ჩვენს მამულთან ერთად მკერდს ვუშვერდით მათ ბომბებს. ამ განცდას არაფერი შეედრება ქვეყანაზე. მამულს მკერდით გადაეფარო, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ჩვენ ამის განცდის საშუალება მოგვეცა აფხაზეთში. ვნერდი... ავტომატის კონდახზე მენყო ფურცლები და ვნერდი. ტამიშის ნაწვიმარ მინას ჩემი სხეულით ვიფარავდი. მე მას ვათბობდი და იგი – მე. „მინა ხარ და მი-



სამაჩაბლო და აფხაზეთი – ისტორია და ტკივილი ჩვენი

90-იან წლებში, როდესაც პირველად გაღვივდა ოსური სეპარატიზმი სამაჩაბლოში, მერაბ მინდიაშვილი, იგივე „ვირო“, თავის მინა-წყალსა და სახლკარს იარაღით იცავდა. ასეთ ხალხზე პირდაპირ ნადირობდნენ სეპარატისტები. მით უფრო, რომ „ვირო“ ხეობაში ვაჟკაცობით ისედაც ცნობილი იყო.

1991 წლის 18 მარტი... 11 ქართველ ბიჭს ოსი სეპარატისტები წვერიახოს გზაზე უსაფრთედებიან და ცეცხლს უხსნიან. მათ შორის 7 მიმალვას ახერხებს. „ვიროს“ გაქცევა არ უცდია, მანქანაში ქვისლი, მერაბ საბარელი ეგულებოდა. ზურაბს ოსები იქვე ხვრეტენ. „ვირო“ მათ წინააღმდეგობას უწევს. ბოლოს იპყრობენ, ხეზე აბამენ და ქვემოდან ცეცხლს უნთებენ. მერაბ მინდიაშვილმა მტერს შემინებული სახე არ აჩვენა. ცეცხლმოკიდებული ვაჟკაცი სიცოცხლის ბოლო წუთამდე „შავლეგოს“ მღეროდა.

ეს ამბავი ლეგენდად დადიოდა საქართველოში და იგი ვერც აფხაზეთის ომის ტრაგიკულმა ისტორიებმა გააფერ-მკრთალა. ორი წლის შემდეგ, 1993 წლის

ცეცხლში ნამლერი „შავლეგო“



კეხვის ციხე

ზაფხულში პირადად ვიყავი ამ ლეგენდარული გმირის საფლავზე. სამაჩაბლოელ მეომრებს წესად ჰქონდათ, როცა დროს მოიხელთებდნენ, „ვიროს“ საფლავი აუცილებლად უნდა მოენახულებინათ. ქემერტის სასაფლაოზე მარცხნივ გერის წმინდა გიორგის ტაძარია, მარჯვნივ კი – მერაბ მინდიაშვილის საფლავი,

უბრალო სამაჩაბლოელი ბიჭის, რომელმაც თავისი სიკვდილით გამძლეობის მაგალითი მისცა ხეობელებს. ერთხელ ოსიც კი ასულა მის საფლავზე და „ვიროს“ სახელზე ცხვარი შეუწირავს გერის წმინდა გიორგისათვის.

წად იქეც“, – ამ სიტყვების სიცხადეს განსაკუთრებულად ვგრძნობდი მაშინ. თითქოს ყოფიდა ჩემში მინის ელემენტები და სწორედ ეს ყვილი ამარცხებდა სიკვდილის შიშს.

სულ სხვა სუნი ჰქონდა ბრძოლის ველზე მინას. ყვავილის, ბალახის, დენთის, კვამლის სუნი ერთმანეთში ირეოდა. ამას ეზავებოდა ივლისის მზით გამთბარი ნაწვიმარი მინის ოხ-შივარიც და ყველაფერი ეს ჩემს სხეულშიც ტრიალებდა, რადგანაც ზედ ვეკვროდი მინას, როგორც იმ წუთში ერთადერთ ჭირისუფალს. ყველა გასროლაზე კანი მეწვოდა და ტყვიის სუნი მომდიოდა, და ამ განცდებს მშობლიური ქვეყნის სიყვარული მაძლევინებდა.

ეს ორომტრიალია, ამდენი წელი რომ თან მსდევს და სიკვდილამდე ჩემი ერთგული თანამგზავრი იქნება. არ ვიცი, რა დავარქვა ამას, ნოსტალგია, სევდა, მონატრება, შიში, ნერვული აშლილობა, ირეალური სამყარო თუ რა... ამ ძებნაში გასულა წლები. მე კი დღესაც საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სიკვდილზე მეტად მეშინია. ვცხოვრობ ჩვეულებრივად, ვაგრძელებ სიცოცხლეს, ვზრდი შვილებს,

ჩემი შინაგანი სამყარო კი უზილავი ძაფით კვლავ აფხაზეთის სისხლიან დღეებს არის დაკავშირებული.

* * *

ერთი სამხედრო პირი წერს ომზე, შენ საბრძოლველად მიდიხარ, ამ დროს კი ვიღაცას ვახშამზე ღვინის ამოღება ეზარება, ლუკმა კი უღვინოდ ყელში არ გადადისო. 4 ივლისი თენდება. ცა ფეხად ჩამოდის. არც შუქია, არც სანთელი გვაქვს. ისე ბნელა, თითს თვალთან ვერ მიიტან. მიუხედავად იმისა, რომ სკამებზე ვინექი და გვერდები მტკიოდა, ადგომა და ბრძოლის ველზე წასვლა მაინც მიმძიმდა. ნუკრი ცუკოშვილმა გამოიარა და ფეხი ნამკრა, არ მოდიხარო? ნამოვხტი. ბათინკებით ვინექი და ჩემს მომზადებას რა უნდოდა?! წვიმაში პირი დავიბანე და წავედი.

ამდენი ადამიანი ტყვია-ნამლითა და ჩვენ-ჩვენი იარაღით „ურალზე“ უნდა მოვთავსებულიყავით. ცხვირ-პირში ქარში არეული ტალახიანი წვიმა გვცემდა. ცალ ფეხზე მდგარმა ვიმგზავრეთ სოფელ კინდლამდე. იქ კოცონთან ახლოს დამსვენს. სველი ტანსაცმელი ტანზე შემამრა. სითბომ და უძილობამ ერთიანად მომთენთა

და მუხლებზე თავჩარგულს მიმეძინა. მესიზმრება, ლექციებზე ვზივარ, ჩემი ჯგუფელები კი ხმამაღლა იცინიან. ამ დროს ბატალიონის უფროსის ბრძანება ჩამესმა, გავდივართო. სიზმრის დათმობა მენანებოდა, იქნებ ჩემი მეგობრების სახეებს უკანასკნელად ვხედავ-მეთქი.

იმ დღეს მრავალჯერ გავავლე პარალელი აღმოდებულ აფხაზეთსა და მხიარულ თბილისს შორის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. სად არიან ჩემი მეგობრები და სად ვარ მე? – ეს კითხვა ბევრჯერ დავუსვი საკუთარ თავს, მაგრამ ჩემთვის აფხაზეთში წასვლა არავის დაუძალეობია. უბრალოდ, მე სხვანაირად არ შემეძლო. დღეს ნანახისა და გადატანილის განცდა მტანჯავს, მაშინ კი მოვალეობის გრძნობა მტანჯავდა. თუმცა ეს ვალი მოვიხადე, პასუხისმგებლობა მაინც ტვირთად მანევს, რომ მეც წაგებული ომის მონაწილე ვარ.

რომ მოვმკვდარიყავი, ჩემს მეგობრებთან ერთად მემორიალურ დაფაზე ვიქნებოდი, ახლა ვინ ვარ-მეთქი? – ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. იქნებ ჯობდეს კიდევ სიკვდილი წაგებული ომიდან შინ დაბრუნებას...

«ყველაზე მეტად იმ საფლავის დარდი მაქვს, ძალიან ძნელია, საყვარელი ადამიანი დატოვო და წამოხვიდე, – ცრემლი ეჩხირება მზია მინდიაშვილს, „ვიროს“ მეუღლეს, და სათქმელის გაგრძელებას ვეღარ ახერხებს, – მაგრამ მითხრეს, არც საფლავებისთვის და არც ეკლესიისთვის ხელი არავის უხლიაო».

ქალბატონი მზია იმ საზარელი ტრაგედიისას მეოთხე შვილს ელოდებოდა. იგი აქამდე სასოებით ინახავდა ზვიად გამსახურდიას წერილს, რომლითაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გმირის ოჯახს უსამძიმრებდა და დაკრძალვას ვერ ვესწრებო, პატიებას სთხოვდა.

– ბავშვობიდან ძალიან ღონიერი იყო და ამიტომ პაპამ „ვიროს“ შეარქვა, ისედაც სულ დიდ ბიჭებთან აჭიდავებდნენ. ხეობასაც მერაბის დიდი იმედი ჰქონდა. რაღაც ფანატიკურად იყვნენ მასზე დაიმედებულნი. ავტომატის გარეშე სახლიდან არ გავიდოდა. ალბათ, ბედისწერა იყო, იმ დღეს მხოლოდ „ნაგანი“ წაიღო. ჩასაფრებულ ოსებს სროლა აუტეხავთ. ჩემი სიძე მაშინვე მომკვდარა მანქანაში. მერაბი გადმომხტარა და, ბიჭებო, გავიცქეთო, დაუყვარია. ჩემი სიძე რომ არ გადმოსულა, უკან დაბრუნებულა. თვითონაც გაუსვრია. მის სროლაზე ორი ბიჭი კიდეც დაცემულა. ბოლოს შეუპყრიათ და ხეზე მიუბამთ. არაბეთელი ბიჭი იყო მათ შორის, 11 ტყვია მოხვდა და სასწაულად გადარჩა. მან გვიამბო, ცეცხლშენთებულები „ვიროს“ სიკვდილს „შავლეგოს“ სიმღერით შეხვდაო, – იგონებს მზია მინდიაშვილი, რომელსაც ქემერტისა და მეუღლის საფლავის გასახსენებლად მხოლოდ ახლობლებში შეგროვებული სურათებიღა შემორჩა.

3ტირი... ავჯინ ყველა ერთად ვიყავით

მაპატიე, უყვავილებოდ რომ გენვიე. არ მეგონა, შენამდე თუ მოვალნევიდი. ცხინვალისკენ მიმავალს გზად „ურალი“ წამომენია. ერთს შენი სურათი ეკეთა მკერდზე. ასე გავიცანი შენი მეგობარი ლევან კასრაძე. სწორედ მან ამომიყვანა

შენს საფლავზე. გამხმარი ვარდები და ძალიან ბევრი მინა გაყრია, კახა...

კვირას „მალიშა“ დავკრძალებდი. ორშაბათს ნანლიში დავრეკე, ნუგზარი მოვიკითხე. ნუგზარმა დეიდაშვილი წაასვენა კეხვშიო, მიპასუხეს... მასს-ოეს, ბაბუშერაში რომ მოაკითხე, მეომრებმა თქვეს, ნუგზარ კახნიაშვილს ძმა ჩამოუვიდაო. გამიკვირდა, საერთოდ არ ჰგავდით ერთმანეთს. რა ვიცოდი, თურმე მართლა ძმებივით ყოფილხართ შეზრდილები. ალბათ ამიტომ ვერ გაიმეტე დეიდაშვილი, რომ ცალად ებრძოლა, ვერც ის გიმეტებდა. ასმეთაური იყო, უარი გითხრა ბატალიონში ჩარიცხვაზე. არ მოეშვი. მერე ხშირად მეუბნებოდა ხოლმე, ბრძოლაში, როდესაც საკუთარი თავიც კი არ მასხენდებოდა, ძნელია ჩემს გვერდით საკუთარი სისხლი და ხორციო.

– დედა მოგიკვდეს, შვილო, – გარდაცვლილ შვილს გათენებამდე უნთებს სანთელს ქალბატონი ნათელა, – შენ უნდა დაგეტირებინე და მე გტირივარო. სანოლზე ჯარისკაცური ფარაჯა ასვენია. მარტო დედას არ მოკვდომია კახა მეშვილდშივლი. ყველასათვის გაუნელებელ ტკივილად დარჩა 23 წლის მეომარი.

სამაჩაბლომ და აფხაზეთმა ნაადრევად დაავაჟკაცეს კახა და ნუგზარი. რამდენჯერ მიფიქრია, განა ბევრია ამ ათნაირი ვაჟკაცი, ალბათ, ომიდან დაბრუნებულებს სოფელი ზარ-ზეიმით ეგებება-მეთქი. ზარით მართლა შეგეგება, კახა, გლოვის ზარით შეგეგება კეხვი...

ქალბატონი ნათელა: „სახლი მიწისძვრამ დაგვიანგრია, დროებით სხვის ქერს შეგვაფარეს, ორი პატარა ოთახი გამოგვიყვეს. მეუღლე ოთხი წლის წინ გარდამეცვალა. ორი ვაჟი მედგა გვერდით. სამაჩაბლოდან ომმა აფხაზეთში გაიტყუა კახა. როგორ არ ვემუდარე, საკმარისია, შვილო, აწი შენს დანგრეულ სახლ-კარს მიხედე-მეთქი. არ დაიშალა, ჩემს მეგობრებსა და სამშობლოს ვერ ვუღალატებო. წავიდა... ერთ კვირაში ჩამოვალო, დამიბარა. ზუსტად ერთი კვირის თავზე დამიბრუნდა. ქურთაში ვიყავი სამსახურის საქმეზე. უკან რომ ვბრუნდებოდი, სასწრაფო დახმარების მანქანა შევნიშნე. ჩვენსას არა ჰგავს, ალბათ საა-

ვადმყოფოდან გადაჰყავთ ვინმე-მეთქი, გავიფიქრე. რა ვიცოდი, ჩემი კახა თუ მოჰყავდათ. ნუგზარს დაუწახივარ. ვერ დანია დედას მკვდარი შვილი, გზიდან გადაახვევინა მანქანას...“

კახა, მე შენს საფლავზე ბალახები მოვთხარე. „მალიშას“ საფლავიდანაც წამოვიღე მინდვრის ყვავილები. ასე გეფერებით შორიდან. გახსოვს, ბაბუშერაში საქმელი რომ გააკეთე? მაშინ ყველა ერთად ვიყავით, შენ, „მალიშა“, გონა, კობა, ზაზა... მერე სადღეგრძელო შესვით, ვინც ჩვენს შორის პირველი წავა იმ ქვეყნად, იმისი მოგონება იყო-სო. მე ტირილი დავიწყე. შენ გეგონა, ვილაცამ მანყენინა. რას იფიქრებდით, თუ თქვენზე ვტიროდი, არ გემეტებოდათ სიკვდილისთვის ერთმანეთი. ორ ივლისს თხუთმეტი მეომარი დაგეჭრათ მხოლოდ. გიხაროდათ, უმსხვერპლოდ რომ გადაიტანეთ იმხელა ბრძოლა. არ გეგონათ, სიკვდილი თუ დაამარცხებდა თქვენში რომელიმეს. ისეთი ჟრიაამულით აიშლებოდით ხოლმე, თითქოს საბრძოლველად კი არა, ყანის სათონნად მიდიოდით. პირველმა „მალიშამ“ შეაჩერა თქვენი ჟრიაამული. სულ დაკრძალვებზე და ორმოცებზე დავდივართ, კახა. შენი თანამებრძოლები ამბობდნენ ამას წინათ, ნეტავი სამხიარულო სუფრა თუ გველისებო. ახლა შენი ორმოცისთვის ვემზადებით, ისე დაფუფუსებთ, თითქოს ქორნილი იყოს შენი.

განსაკუთრებული იყავი-მეთქი, ვერ გეტყვი, რადგან ყველანი კარგები და კეთილები იყავით. მაგრამ რაღაცით მაინც გამოირჩეოდი სხვებისგან. ერთხელ, ყველი რომ გამოგვიგზავნეს თბილისიდან, თავი გაიგიჟე, სანამ დიდი თავი არ შემატანინე ჩვენს არაქართველ მეზობლებთან.

ომი რომ დამთავრდება, ცოლი უნდა შევირთოო, გითქვამს, პატარძალს ელოდა დედაშენი, მკერდშენგრეული ვაჟკაცი კი დაუბრუნდი უკან...

მოკლული ვარდები გაყრია გულზე, მაპატიე, უყვავილებოდ რომ გესტუმრე. არ მეგონა, შენამდე თუ მოვალნევიდი. ახლა შენს საფლავთან ვარ ჩაჩოქილი და ვტირი. ვიცი, ვერაფერს გშველის ჩემი ცრემლები, მაგრამ მაინც ვტირი კახა...

1993 წელი



პ.ს. 15 წლის შემდეგ სამაჩაბლოში დატრიალებულმა ტრაგედიამ მინასთან გაასწორა ძირძველი კეხვი. კახა მეშვილდშივლის კარ-მიდამოს მსგავსად ყველა ეზო ნასახლარს დაემსგავსა. იმასაც ამბობენ, სასაფლაოები „ბულდოზერებით“ გადაასწორესო. ალბათ კახას საფლავზე უფრო მეტად იძიეს შური, რადგან შავ მარმარილოზე ამოტვიფრული სამხედრო ფორმიანი ქართველი მეომარი მტერს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

დაბრუნება

„ეს საქართველოა!“ – ასე დავსძახეთ ყველამ ერთად, როცა ტრაპზე გადმოვედით და მერე დავადგით ფეხი ქართულ მიწას“, – ეს ავღანეთიდან დაბრუნებული ჯარისკაცის სიტყვებია, რომელიც მთხოვს, თავისი ვინაობა არ დავნერო, მე კი მიწოდდა, იმ ბიჭების სახელი, რომლებიც სამშობლოს ასე შორიდანაც ასახელებენ, მთელ ქვეყანას გაეგო და სცოდნოდა.

2012 წელს 23-ე ბატალიონის 750-მა ჯარისკაცმა მისია მსხვერპლის გარეშე შეასრულა. ბოლო ნაკადს, 240 მეომარს, თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალა-

ნახევარია. აეროპორტიდან ცოტა მოშორებით კარვებში ვართ და საათებს ვითვლით. ორ დღეში სამშობლოში ვიქნებით, მაგრამ სადაც საქართველოს დასჭირდება, ყოველთვის იქ დავდგებით“. საქართველოს კი ეს გაბედული, ნამდვილ მეომრებად ჩამოყალიბებული ბიჭები დღეს ძალიან სჭირდება. ნატოში განვევრიანება და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ავღანეთში ყოფნას მოითხოვს, და იმ სამხედრო ოპერაციების შესრულებასაც, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგაა მიმართული.

ჯარისკაცები თვლიან, რომ საქართველოსთვის საპატიო მოვალეობაა, საერთაშორისო ინტერესებს ემსახ-

თავდასხმები იქ ჩვეულებრივი ამბავია. ხშირად ისვრიან სნაიპერებიც. „ამ დროს ტვინით უნდა იმოქმედო. შეიძლება, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ჩაიცვა ჯავშანწილეტი და მეოთხედ აღარ ჩაიცვა იმ სიტყვები, რადგან იტყვი, მაინც არ მესვრისო. მაგრამ როცა დაგინახავს, რომ არ გაცვია, სწორედ მაშინ გესვრის“, – მიყვება ერთ-ერთი ჯარისკაცი.

იგი დანვრილებით საუბრობს იმ საფრთხეებზე, რომლებიც ყველა ჯარისკაცს ემუქრება ავღანეთში: „გზებზე გვიდებენ უზარმაზარ ნაღმს, რომელსაც „აიდი“ ჰქვია. ამ ბომბებს სასუქისა და სხვადასხვა ნივთიერებისაგან თვითონვე აკეთებენ და ძალიან ძლიერია.

ავღანეთიდან დანახული საქართველო

სანია პირადად დახვდა და მეომრებს შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. „გმირები ხართ, ვაჟკაცები ხართ, გვეუბნებოდა მინისტრი და ხელს სათითაოდ გვართმევდა. ტრაპზე რამდენიმეს ერთად შეგვეძლო ჩამოსვლა, მაგრამ როდესაც დავინახეთ, რომ ტრაპთან მინისტრი გველოდებოდა, ერთ რიგად მოვეწყვეთ და ისე ჩამოვედით. მის დახვედრას ნამდვილად არ ველოდით. როცა სამსახურს გიფასებენ, ეს საოცარი სიამაყის განცდაა“, – ამბობენ ავღანეთიდან დაბრუნებული მეომრები. მანამდე კი მათ ავღანეთში ინტერნეტით დაფუკავებინდი და პირველი შთაბეჭდილება ქართველ ჯარისკაცზე ასე შემექმნა. აფხაზეთის ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეწირული მეომრების გაგრძელება, ავღანეთში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში მონაწილე ჯარისკაცებში ვნახე. იგივე პატრიოტიზმი; იგივე საბრძოლო სულისკვეთება; იგივე უბრალოება და ვაჟკაცობა. ავღანეთიდან დაბრუნებული ბიჭები საკუთარ თავზე ძალზე ძუნწად საუბრობენ.

„ეს საქმე პატარა საქართველოს სახელია, და ყველანი მზად ვართ, მეტი და მეტი გავაკეთოთ სამშობლოსთვის“, – ავღანეთიდან მწერს 22 წლის ჯარისკაცი. პათოსი ერთნაირია, სიამაყით სავსე და ამბულელებელი. „როგორც ქვეყანას დასჭირდება, ისე მოვიქცევით. მე მზად ვარ ყველაფრისათვის, – ესეც ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდში მყოფი ქართველი მეომრის სიტყვებია. – ახლა აქ ღამის სამის



ურს. ამასთანავე, მათი თქმით, მისიაში მონაწილეობით ისინი საბრძოლო გამოცდილებასაც იღებენ. „ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც შეუძლია. ჩემები საერთოდ წინააღმდეგები იყვნენ, ჯარში მემსახურა, მაგრამ ავღანეთშიც ვიყავი და კიდევ ვაპირებ წასვლას“, – მიმხელს ჯარისკაცი. თითქმის ერთ ოცეულს ვესაუბრე, ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ავღანეთში მეორედ უფრო მეტი საბრძოლო გამოცდილების მისაღებად წავლენ.

რას აპოტიხან და რა საფრთხის წინაშე არიან ქართველი მეომრები ავღანეთში?

ბიჭები ამბობენ, რომ ავღანეთში „ტვინით ომი მიდის“. ანუ, არ უნდა მოტყუვდე და ყურადღება არ უნდა მოადუნო. ნაღმების დადება, დანადგომი სიგარეტის შეთავაზება, გადაბირებული პოლიციელებით განხორციელებული

18-22 ტონიან დაჯავშნულ მანქანას შუაზე წყევტს. იგი პულტით იმართება, ზოგი დროზეა დაყენებული. ერთხელ ერთ კილომეტრში აღმოვაჩინეთ ასეთი კაბელი. იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენს ჯარისკაცს მოაწოდეს სიგარეტი, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერება იდო. მოკლედ, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ რამე არ დაგემართოს. ყველანაირად ცდილობენ, მწყობრიდან გამოგიყვანონ, დაგასახიჩრონ. ერთადერთი ბატალიონი ვართ, უდანაკარგოდ რომ ჩამოვედით, ამერიკელებსაც კი უკვირდათ, რას აკეთებთ ისეთს, კაცი რომ არ დაგლუპვიათო?! ეს იყო ჩვენი სწორი მოქმედების შედეგი. როცა შენს საქმეს ყურადღებით მოეკიდები, არაფერი მოგივა.

ასეთი შემთხვევა იყო, ჩემი მანქანით ვპატრულირებდით, როცა გავედით





სამოქმედო რაიონის ბოლოში და უნდა მომეხვია. ჩვენმა ჯარისკაცმა სიბნელეში დაინახა, რომ ვიღაცამ ტომარა დაგვიგდო და ხოხვით გაიქცა. მივედი, გავხსენით და შიგ 45 კილოგრამიანი „აიდი“ აღმოვაჩინეთ. იმხელა იყო, მარტო ჩვენს მანქანას კი არა, მეორესაც ააფეთქებდა. დაფურეკეთ ამერიკელებს, მოვიდნენ და გააუფლებლყვეს. ისეთი სწრაფები არიან ტერორისტები, შეუძლიათ 30 წამში დაგიდონ უზარმაზარი ნაღმი. ამერიკელებს ვიდეოთვალი აქვთ დაყენებული, რომელიც 5კმ-ის რადიუსზე აკონტროლებს ტერიტორიას იგი ძალიან გვეხმარებოდა. ვინც ნაღმს დაეძებს, იმას ნაკვალევში უნდა მისდიო. სილაზე ნაფეხურები რჩება და ამის გაკეთება ადვილია. ოდნავ ფეხის აცდენა და შეიძლება, ნაღმზე აფეთქდე. ჩვენ კი სულყველა ჩამოვედით, მაგრამ ვინც ჩვენ ჩაგვანაცვლა, იმათ დაეღუპათ ერთი მეომარი, რამდენიმე კი დაიჭრა. 5 დღის ჩამოსულები იყვნენ, ჩვენი ბაზიდან ერთ კილომეტრში იმყოფებოდნენ, ალყაში მოაქციეს და სროლა აუტეხეს. იქვეა სოფელი, საიდანაც სულ გვესროდნენ ხოლმე. ამ ამბის შემდეგ ჩვენებმა ოპერაცია ჩაატარეს, რომლის დროსაც იარაღი და ნაღმები ამოიღეს. მოკლედ, არ უნდათ, რომ კოალიციური ჯარები იყვნენ თავიანთ ქვეყანაში. სულ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ არიან და სიცოცხლე არც ადარდებთ, თავს შეგაკლავენ. იყო შემთხვევები, როცა ტერორისტებისაგან ხის გასაღები ამოგვიღია. მეთაურები ურიგებენ და ეუბნებიან, რომ ეს არის სამოთხის გასაღები და კოალიციის ჯარისკაცს თუ მოკლავს, სამოთხეში მოხვდება. თავიანთი ხედვა აქვთ, მაგრამ მარტო ჩვენ კი არ დაგვედვენ და გვესვრიან, არამედ, მოსახლეობასაც სახლებში უფარდებიან, კლავენ, ძარცვავენ. იქაურ მაცხოვრებლებს ნარკოტიკები მოჰყავთ და ფულს იმით შოულობენ. ტერორისტები კი ფუ-



ლისთვის ანიოკებენ მოსახლეობას. მოკლედ, ვერ გაიგებ, შეიძლება, თალიბანი არ იყოს, ყანას თოხნიდეს, დააგდებს თოხს, აიღებს იარაღს, ჩაჰყოფს თავს ხერულში, გვესვრის, მოგკლავს და გააგრძელებს თოხნას. ავღანელი პოლიცია კი ფულის გულისთვის თალიბების მხარეს ხშირად გადადის ხოლმე. მოგიახლოვდებიან „ჰამერებით“ და ვერ გაიგებ, პოლიციაა თუ ტერორისტი“, – მიყვებიან ჯარისკაცები.

ხანგრძლივი ომების შედეგად ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო და განაჩენი ხალხს თავად გამოაქვს. აქვთ თავიანთი წესები, რომელთანაც ძალიან დიდი სიფრთხელე უნდა გამოიჩინო. მაგალითად, ქალთან დალაპარაკება არ შეიძლება. ამით ჯარისკაცი საკუთარ თავსაც საფრთხეს უქმნის და იმ ქალსაც აუცილებლად მოკლავენ. იქ არის არაკონვენციური ომი, რომელიც მორგებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვლენებზე. მიუხედავად იმისა, რომ თავისი განვითარებით ქვეყანა ძალზე ჩამორჩენილია, საკმაოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავს. ავღანელებს გააჩნიათ დიდი ფანტაზიის უნარი თვითნაკეთი ბომბის – ე.წ. „აიდის“ დამზადების საქმეში. იქ ქვას ფეხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაარტყა, რადგანაც ნებისმიერი ქვის ქვეშ შეიძლება, ბომბი იდოს. ეს არის ქვეყანა, სადაც შეიძლება, ნებისმიერი სახლიდან ტყვია გავარდეს.

ამას ემატება ავღანეთის მძიმე კლიმატური პირობებიც: ოქტომბრის თვე არის ძალიან მშრალი, ხშირია ქვიშის ქარიშხალი. ეს მონინაალმდეგისთვის ხელსაყრელია, რომ მოგიახლოვდეს, მაგრამ ჯარისკაცებისთვისაა ძალიან ცუდი. კოალიციის ჯარებს შესაბამისი სამსახური მოსალოდნელი ქარიშხლის შესახებ ინფორმაციას აწვდის და ოპერაცია აღარ იგეგმება, მაგრამ თუ გარეთ მინც მოხვდნენ, სპეციალური სათვალე უნდა ეკეთოთ, რათა ქვიშამ თვალები არ დაუზიანოთ.

ზამთარი არის ძალიან ცივი და ზაფხული კი – ძალიან ცხელი. ავღანეთში წამსვლელებს 11 აცრა უტარდებათ, რადგან იქ შხამიანი ობობა, მორიელი, რწყილი და კობრა საკმაოდ ბევრია. ესაა ის შთაბეჭდილება ავღანეთზე, რომელიც ჯარისკაცების მონათხრობიდან შემექმნა. ასე რომ, ჩვენს ბიჭებს იქ ყველა ფეხის ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებათ.

დასასრულ კვლავ იმ ბედნიერ წუთებს დავუბრუნდები, როდესაც ჩვენი მეომრები 7-თვიანი უძილო ღამეებისა და დაძაბული დღეების შემდეგ სამშობლოში ჩამოვიდნენ. „იმ დღეების შემდეგ, რაც ავღანეთში გამოვიარეთ, ყველაზე დიდი ბედნიერება ჩვენი ღამაში თბილისის დანახვა იყო. ავღანეთიდან საქართველო სულ სხვანაირი ჩანდა. როცა დავეფრინდით, ერთად დავსძახეთ ტრაპიდან – „ეს საქართველოა!“ და ამის მერე დავადგით ფეხი ქართულ მიწას“. მე კი მთელი სიცხადით ვგრძნობდი, თუ რა თბილი და საიმედო იყო მათ ფეხქვეშ მშობლიური მიწა. მარტო სამშობლოში კი არა, ისინი სიცოცხლეშიც დაბრუნდნენ. მათი უკლებლივ დაბრუნება ყველაფერზე გამარჯვება იყო, ჩემთვის კი იმ ტკივილზეც, რომელიც აფხაზეთის ომიდან გამომყვა.

P.S. 23-მე ბატალიონი, რამდენიმე დღეა, კვლავ გაემგზავრა ავღანეთში მისიის შესასრულებლად, იგი 31-ე ბატალიონს ჩაანაცვლებს.



გმირები

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა საფლავებზე სახელმწიფო დროშები ფრიალებს. მათი ფერი მენამულ ცას შერწყმია და კიდევ ერთხელ შეგვასხენებს, რომ ამ ბიჭების სისხლი ტყუილად არ დაღვრილა. მას აქვს გამართლება და იგი სწორედ ცად აღმართული ქართული დროშის ფრიალია. უკვდავების კიდევ ერთი სიმბოლო - ჯარისკაცის ფორმაში გამონყობილი პატარები... მათი ყრია-მული გულის სიღრმეში აღწევს და რწმენითაც გვაესებს, რომ სახელოვანი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მართლაც უკვდავია...

* * *

ადიგენის რაიონი, სოფელი უდე... სასაფლაოს გორაკისკენ ოღრო-ჩოდრო გზას მივყავართ. სოფლის სასაფლაოზე სამშობლოს შეწირული ოთხი ვაჟკაცი განისვენებს. ბესო ნინიაშვილი შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონში მსახურობდა. იგი 2011 წლის 30 დეკემბერს საერთაშორისო მისიის შესრულებისას ავღანეთში გმირულად დაიღუპა. აქვეა 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილი ალექსანდრე



გზა უკვდავებისკენ

ზაზაშვილის საფლავიც. ალექსანდრე ბესოს ბიძა იყო. იგი დისშვილისათვის ქვეყნის ინტერესების დაცვის საუკეთესო მაგალითი გახდა. დღეს კი მათ გზას ბესოს და, 24 წლის ნათია ნინ-

იაშვილი აგრძელებს. ძმისა და ბიძის სულისკვეთებით განმსჭვალული გოგონა ახალციხის სატანკო ბატალიონში მსახურობს.

29 წლის ანტონ გელაძე აფხაზეთის დაცვას შეეწირა. მართალია, მის საფლავს სიძველის ფერი გადაჰკრავს, მაგრამ თანასოფლელთა გულელებში იგი 29 წლის ჭაბუკად დარჩა. უდელეები აფხაზეთის ომში დაღუპულ კიდევ ერთ ვაჟკაცს იხსენებენ – გოჩა ობოლაშვილი 1992 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ აღარ უნახავთ, ოჯახმა და სოფელმა მისი დატირება ვერ შეძლო. გოჩამ სამუდამო განსასვენებელი აფხაზეთის მიწაში ჰპოვა. თანასოფლელ გმირთა საფლავებს იარაღსხმული 22 წლის ალიკა ბალახაშვილი მარმარილოს ქვიდან გადმოსცქერის. ალიკა 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა. მას შემდეგ მარინა ბალახაშვილმა სახლისა და შვილის საფლავის იქით სხვა გზა არ იცის. შვილი სხვასაც დაღუპვითა, – ეუბნებიან დამწუხრებულ დედას, მაგრამ ქალბატონი მარინა ამბობს, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად უმკლავდებიან ჭირსა და უბედურებას. მე კი მგონია, ასეთმა დედებმა ყველა გზით უნდა იარონ, რათა ისინი მთელმა ქვეყანამ გაიცნოს და საამაყო მამულიშვილთა გაზრდისთვის მაღლობაც ერთხმად გადაუხადოს.



პროექტი

გამოფენაზე წარმოდგენილია ნატოს სამშვიდობო მისიის ფარგლებში, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მყოფი ქართველი ჯარისკაცების მიერ გადაღებული ფოტოები და ამონარიდები მათი წერილებიდან.


ქართველი სამხედროები ავღანეთში, სამხედრო ოპერაციაში 2009 წლიდან ჩაერთნენ. დღეისათვის ჰელმანდის პროვინციაში მსოფლიო უსაფრთხოებაზე 1600-მდე ქართველი სამხედრო ზრუნავს.



ქართველები ავღანეთიდან




„ბაზა „კორშუსუ“ აღდგომის ნიუთლი აპერცებებით შეხვდით, რომელიც ჩვენ თვითონ შევსებთ.“ - კაპიტანი მალხაზ კეკელიძე, ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის გაძლიერებული ოცეულის მეთაური.



წერილები ავღანეთიდან

„მოსახლეობისათვის დიდ პრობლემას წყალი წარმოადგენს. ჩვენც, თითქმის ყოველი ჩხრუკის შემდეგ, მათ წყალსა და საკვებს ვურიგებთ. ბავშვები ისე მოგვჩვივნენ, რომ მოკოლადებისთვის ბაზაზეუც კი გვაკითხავენ.“ - შაბაძე ჯაბაძე, მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი.



ქართული ქვედანაყოფების საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის ამსახველი ფოტოგამოფენის იდეა ამ ჯარისკაცების გაცნობის შემდეგ გაშიჩნდა. საჭიროა, მთელმა ქვეყანამ გაიგოს, თუ რა დიდ, საპატიო და საკაცობრიო მნიშვნელობის მისიას ასრულებენ ჩვენი ბიჭები ავღანეთში. ჩემს იდეას მხარი დაუჭირა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი სესიაშვილმა. სწორედ მისი დახმარებით შევქმელი, განმეხორციელებინა პროექტი, რომელიც ქართველ მეომრებს მივუძღვენი. ფოტოგამოფენა „წერილები ავღანეთიდან“ – 2013 წლის აგვისტოში თავდაპირველად თბილისში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. სექტემბერში კი მას, აჭარის მთავრობის დახ-


მარებით, ბათუმში, ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა. ფოტოგამოფენის მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო მისიაში მონაწილე ჯარისკაცების მხარდაჭერა იყო. გარდა ამისა, მე, როგორც ქართველ ჟურნალისტს, გამიჩნდა პროტესტის გრძნობა გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიის მიმართ, სადაც ჟურნალისტები ალისა რუბინი და გაიმორ შაჰი ავღანელ რესპოდენტებზე დაყრდნობით ჩვენს ჯარისკაცებს ავღანელი ხალხის ცუდად მოპყრობაში ამხელდნენ. ეს გამოფენა კი იყო ერთგვარი პასუხი ამ წერილებზე, რადგანაც ფოტოებზე მისიის შესრულების ეპიზოდებია ასახული. რომელ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებენ ქართველი ჯარისკაცები

ავღანეთში? რა სახის დახმარებას უწევნ იქაურ მოსახლეობას? როგორ და რითი ცხოვრობენ ისინი? რა განწყობა აქვთ სამშობლოსაგან მონყვეტილებს? – ფოტოგამოფენამ სწორედ ამ კითხვებს უპასუხა.

ფოტოებზე, ძირითადად, საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონისა და ბათუმის ქვეითი ცალკეული მსუბუქი ბატალიონის გაძლიერებული ოცეულის ჯარისკაცები არიან. სწორედ მათი დახმარებით შექმნილი, მომეგრეებინა ფოტოები და ანტიტერორისტულ ოპერაციებში ჩვენი ბიჭების მონაწილეობის პოპულარიზაციაში მეც ჩემი წვლილი შემეტანა. ფოტოგამოფენას – „წერილები ავღანეთიდან“ – საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი მოჰყვა და მომავალში იგი კვლავ გაგრძელდება.

ზაირა მიქატაძე

ქართველი ჯარისკაცები ჰატრულირებისას



ავღანეთში დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნის კუთხე ჰუმანდობა განლაგებულ ქართველ მშვიდობისდამცველთა მთავარ ბაზა „შუკანზე“, რომელიც ავღანეთში პირველად დაღუპული ქართველი ჯარისკაცის, ლეიტენანტ მუხრან შუკანის სახელს ატარებს.



„აქ მოგეზავრება აყს სამშობლოს მიწა, კურ ბეატვი, მუნი ჩამოსვლა გამიხარდება-მუთუ, მაგრამ მაინც გულოლები... ქართული მიწა წამოილე ცოტა...“ - გია ირემავილი, 33-ე ბატალიონის ოფიცერი.





„ბაზა „ფინიქსზე“ კელსია ავაგეთ, რომელიც შემდეგ მოძღვარმა გვიკურთხა და წმ. ნიკოლოზის სახელი უწოდა. კელსიაში წირვა-ლოცვა ხშირად ტარდება და ბიჭების ნათლობაც იმართება.“ - კაპიტანი შალვა კიახიძე, ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ოცეულის მეთაური.



„ვინც ნატოს დაეძებს, იმას ნაკვალევში უნდა მისლიო. სიღაზე ნაფეხურები რჩება და ამის გაკეთება ადვილია. ოდნავ ფეხის აცდენა და შეიძლება, ნატოზე აფეთქდე.“ - გიორგი ხვიბლიანი, 23-ე ბატალიონი.



„ჯარისკაცი ხელში იარაღს რომ იღებს, ის ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად. მუქარისათვის ბიჭებს ყურადღება არც მიუქცევიათ. თალიბები არიან თუ ვინმე სხვები, არ აქვს მნიშვნელობა, მაგათ ვინც შეუშინებიათ, ისევ ის შეაშინონ.“ - თენგი ქედელიძე, 23-ე ბატალიონის წევრი.




„იყო შემთხვევები, როდესაც ტერორისტებისაგან ხის გასაღები ამოგვიღია, მეთაურები ურიგებენ და ეუბნებიან, რომ ეს არის სამოთხის გასაღები და თუ კოალიციის ჯარისკაცს მოკლავს, სამოთხეში მოხვდება.“ - გიორგი ხვიბლიანი, 23-ე ბატალიონი.





„ზმირად ბავშვები საკუთარი მამის მიერ დაღებულ ნაღებზე ბაზუხზე მიფეხვას და საპუდლინო დახმარებას უწევთ ხოლმე.“ - ბესო გოგია, 23-ე ბატალიონის წევრი.



„თაღები მარტო ჩვენ კი არ დაგვსდევენ და გვესვრიან, არამედ, საკუთარ მოსახლეობასაც სახლებში უვარდებიან, აწიოკებენ, ყლავენ და ძარცვავენ. ამიტომ პატრულირებას ავთანულ სამხედროებთან და პოლიციელებთან ერთად ხშირად ვახტენთ.“ - სოსო უგულავა, 23-ე ბატალიონის წევრი.



ISAF-ის სარდალი, გენერალი ჟოზეფ ჰანტორი:
"ჩარბედ სანდუკოებს კარგი ურთიერთობა აქვთ ავღანულ ხალხთან. მათ გამოავლინეს პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და ღირსი სიმამაცე".
რეალი "თავისუფლება"



ჰმპერანტი სტივენ მ. გოლდვუდი,
ავშ-ს სახელმთო ჭვეთათა ბატალიონის მეთაური:
"ღირსი მადლობა 23-ე ბატალიონის წევრებს, რადგან ბაბუნიარებს ის გამოუკიდებია, რაც მითვის ავღანეთში. ჩვენ მათგან ზედმეტი რამ ვისწავლეთ და მინარია, რომ ყმედ წერტილში ამერიკულ ჭვეთათს ეწვებათ ჭარბველების იმედი, ისევე, როგორც ჭარბველებს - ამერიკელების".



ჰმპ მარშალი,
ავშ-ს სანდუკო აბამე საქარბედოში:
"ჩემთვის ღირსი პატივია ჭარბველი ჭვეთათის 23-ე ბატალიონის წინამე ბაბუსვლა".



არ დავეუბოთ არც კაცობით და არც ღირსებით ქართული დროება უხო ცის ქვეშ ჩვენ ვვბარია. და ბრძოლის ვლზე თუ სიკვდილის ღირსი ვიქნებით. სამშობლოსათვის თავანირვა ჩვენი ვალია!
შაბა კაცბე, ავღანეთში დაბერილი ლეკი, 2012 წლის სექტემბერი.





მარო მაცაშვილი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი და პოეტ კოტე მაცაშვილის ქალიშვილი გახლდათ. მას ოთხი და-ძმა ჰყავდა. მარო მათ შორის უფროსი იყო. 1921 წელს, როცა მე-11 არმია თბილისს მოადგა, გულმხურვალე ახალგაზრდები კოჯორ-ტაბახმელასკენ დაიძრნენ, რათა მტერს წინ აღსდგომოდნენ. მაცაშვილების ოჯახიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჯერ შალვა ჩადგა, შემდეგ კი მარო გაემართა ბრძოლის ველზე. თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელს, ივანე ჯავახიშვილს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გამოვიდა და სტუდენტებს მიმართა, – ახლა სწავლის დრო არ არის, სწავლა მოიცდის, სამშობლოს კი დაცვა სჭირდებაო. მარო მაცაშვილმა მაშინ მიიღო ფრონტზე წასვლის გადაწყვეტილება. ახალგაზრდა მედლა ქართველი ვაჟკაცების გვერდით დადგა და თავისი სინანულიც გააქარწყლა: „ღმერთო, რად დამბადე ქალად... მინდოდა ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად! მე იქ უნდა ვიყო, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი ჩემ თანამემამულეთა“, – თქვა და სამშობლოს დასაცავად გაემართა.

მასთან ერთად მოხალისეებად წავიდნენ ქეთო ჯაფარიძე, სუსანა ლამბაშიძე, სოფიო ჭრელაშვილი, ნათელა ერისთავი. „საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ, მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ცოტა თხილი და თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეული გამოგზავნეთ...“

მარო მაცაშვილი – ქართველი ქანა დარჯი

„მე იქ უნდა ვიყო, სადაც იღვრება
სისხლი და ცრემლი ჩემ თანამემამულეთა“

თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. ისე არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიანთ. გავიმარჯვებთ სახელოვნად. შენი მარო.“ რამდენიმე დღის შემდეგ მარო მაცაშვილი გმირულად დაიღუპა. როდესაც მამამ ეს თავზარდამცემი ამბავი შეიტყო, იგი თურმე ერთ ღამეში გაჭაღარავდა.

1921 წლის 23 თებერვალს, დღის 12 საათზე, ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ მდებარე სამხედრო ტაძრის გალავანთან დაკრძალეს კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში გმირულად დაღუპული იუნკრები. მთელი საქართველო გლოვობდა სასიქადულო მამულიშვილებს. მათ შორის, მარო მაცაშვილსაც. მისი სათნოება, ღვთისმოსაობა, კეთილშობილება ქართველ შემოქმედთათვის შთაგონების წყარო ბევრჯერ გამხდარა. მას ხშირად ისენიებდნენ ნინოს, თამარის, ქეთევანის გვერდით, „ქართველ ჟანა დარკასაც“ ეძახდნენ. შემდეგ კი საქართველოში ბოლშევიზმმა ფეხი მოიკიდა და კოჯორ-ტაბახმელას გმირების ხსოვნაც დავიწყებას მიეცა.

მარო მაცაშვილთან ერთად ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია, იოსებ და არჩილ ჯანდიერები, გიორგი ანდრონიკაშვილი, გიორგი ზედგინიძე და სხვა ბევრი ქართველი ახალგაზრდა.

ღრომ და ისტორიამ მათ სახელებთან ერთად მარო მაცაშვილის დღიურებიც შემოგვინახა. ჩანაწერები, სადაც ამ პატარა გოგოს დიდი, ლამაზი და ღრმა სული ჩანს. სამშობლოს, სიცოცხლის, მეგობრების, მშობლების, დედამამიშვილების სიყვარული, უსაზღვრო განათლება და სურვილი საინტერესო ცხოვრებისა. „ღმერთო, სიცოცხლე გამიგრძელე“, – მიუხედავად მისი ვედრებისა, მარო მაცაშვილის

სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა და იგი იმ ვარსკვლავს დაემსგავსა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას ნათელს ყოველთვის მოჰფენს.

**ბაზაფხული. 15 მაისი,
1918 წელი.**

დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ თავი, თვალები დაისრისა, ზარმაცად გადმოხედა დედამიწას და გაიფიქრა: „ნეტა რას აკეთებენ იქ, დიდხანია, არ ჩამიხედნია“. დედამიწამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადიხადა თვისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდნენ რუები, აღელდნენ ხეები, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კაბებს. ცამაც გადიფარა ცისფერი სარტყელი. გაცოცხლდა ბუნება და გააცოცხლა სულდგმულიც. ჭიალუამ აიღდა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები თანდათან იკრიბებიან შორეული ქვეყნებიდან და ერთმანეთში ჭორიკანობენ. სალამო მშვენიერი არის. მთვარე მფლობელი ღამის სივრცისა დაბრძანდება თავის ციმციმა ამალით. სიჩუმეა. სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი ჰანგი. ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარემ გადაავლო ყველაფერს თვალი, დარწმუნდა, რომ ყველგან მშვიდობაა, გამოესალმა აქაურობას და ისევ მიიძინა. მის მაგივრად მზემ გაუცინა კვლავ გაღვიძებულ დედამიწას. სოფლები ახმაურდნენ. ყველა ჩქარობდა, წასულიყო ყანაზედ და მოეთოხნა პური, რომ წლის სარჩო შეეძინათ. ყველა ფუსფუსებდა, უმეტესად დედაკაცები. კაცები აქა-იქ სჩანდნენ, ისიც ან ძალიან ახალგაზრდები, ან ბებრები. ყველა მირობდა მდელოებისაკენ. ამ ფუსფუსში ბევრს ცრემლი ადგებოდა თვალთ. რა ამბავი იყო? აი, რა... მუშახელი გამ-



1918 წელი. 12 ივნისი

ოილია. რამდენმა ყმანვილმა ბიჭმა შესწირა თავი მამულს და რამდენი სხვა ქვეყანაში იყო და თავისი სამშობლო გასაუბედურებლად დაუგდო. ამ ომმა ბოლო მოუღო მუშაობასაც და ბედნიერებასაც. რამდენმა დედამ ცრემლები გაგზავნა თავისი შვილი სასიკვდილოდ. რამდენმა დედამ ღამეები ლოცვაში და ტირილში გაატარა. საბრალო არსებანი. გაზარდეს რა ნვალებით და ეხლა რა დღე დაადგათ. ნუთუ მაგისტვის შესწირა დედამ თავისი სიცოცხლე? რომ ვილაცა გარეული ადამიანისთვის შესწიროს შვილი. სამშობლო, საქართველო აღარ იყო. მტერი სამშობლოს კი არ ანუხებდა, სამშობლოც უცხო პატრონს, რომელსაც მტერი უნდა მოეგერიებინა და საბრალო ქართველი წაასხა. სად არის სამართალი? ერეკლე, ერეკლე რაზე დაგვლუპე? მართალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რათ მიგვეცი? იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ? რათ? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო?

გაზაფხლია, მოალერსე, მომღიმარი, მაგრამ ეს არავისხედ არ მოქმედობს. მათი ფიქრები სულ სხვაგან არის. ან შვილებთან, ან ქმრებთან და ძმებთან, რომელნიც იქნება განგმირულნი გვიან ბრძოლის ველზედ. მოხუცებული კაცები მიიზღაზნებოდნენ მინდორისკენ. გადაგდებული თოხებით და ხორბლით. უკანაც ბავშვები მისდევდნენ წყლით და პურით, მთელი დღის საგზლით. სიმღერა აღარ ისმის. სად არის ურმული და ჰოროველა? ყოველი ხორბალი ცრემლებით ითესება. მისი მთესველი იმას არ ევედრება ღმერთს, რომ კარგი მოიყვანოს ყანა და შიგ ღვთის თვალი დატრიალდეს და თავთავმა მიწაზედ დახაროს სიმძიმისგან თავი. არა! ის ლოცულობს მისი შვილი ან მახლობელი მშვიდობით დაბრუნდეს ბრძოლიდან და მაგაზედ მეტი მას არა უნდა რა. შინაც დედაკაცი მხიარული არ არის. მონყენით და ოხვრით ასრულებს თავის მოვალეობას. მისი ჭკუა დაბნეულია და ხანდისხნან იმას აკეთებს, რაც საჭირო არ არის. ბავშვსაც კი ესმის ესეთი მდგომარეობა. „დედა, ნუ გეშინიან, მამილო მალე მოვა, და თუ არ მოვიდა, ღვთის ნებაა, მე მალე გავიზრდები და ნახავ, როგორ შეგინახავთ“. მაგრამ ამ სიტყვებზედ ბავშვსაც სტიკვა გული.

დედას ამხნეებს, თითონ კი იტანჯება. სოფლის ქუჩები მთელი დღე ცარიელია. ან ყველა მინდორშია, ან სახლში ჩაკეტილი. ბაღობა ზოგიერთ ალაგას აბუზულად და მონყენით ლაპარაკობენ. ზოგიერთნი კი, სულ პატარები, დალასლასებენ ან ყვირიან ან ჩხუბობენ. აი, ესენი არღვევენ სიჩუმეს. სახლში შეხვალ, იქ ცრემლებით არწევს დედა ბავშვს და ეუბნება: „შე საბრალო, იქნება მამაშენის ნახვა ვერ დაგცალდეს“ და ამაზედ უფრო ამოუჯდება გული საბრალოს. მოხუცებული დედა კი იგონებს თავის შვილის ყოველ ნაბიჯს და დასტირის, იქნებ ჯერეთ ცოცხალს. თუ ძველად სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო, ნუთუ დედა არ შესწირავდა სიხარულით შვილს თავის მამულის დასაცავად. ეხლანდელი დედა დაემსგავსებოდა უწინდელს თუ კისერს უღელი არ ჰქონდა. ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეს მეტად ცუდი იყო გლეხებისათვის, რომლებსაც თავს დაადგნენ და ტყავს აძრობდნენ. ამ რუსობამ გლეხებიც კი ძლიერ გააფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლება გამოვაცხადეთ, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავად გლეხი სულით და ხორციით დაეცა, დაივიწყა რწმენაც და პატიოსნებაც. იმის მაგივრათ, რომ ყველანი ერთად იცავდნენ ამ მონობისგან განთავისფლებისგან, აქ გლეხი გამხეცდა და თავის მოძმე ქართველს ჰკლავს. საზღვარი არ არის. ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენს ერს. ნუთუ დადგება ის დრო, როდესაც ძველებურად აუძგერებს ყველას გულს. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედმოსხრილნი მარტო შენი მონები ვიყვნეთ.

რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა? მანდლილი გადააფარა ალბათ ყველაფერს ოხრათ-დარჩენილმა რუსმა. ოჰ, როგორ მძულან, მეტადრე ეხლა ამ ომის დროს და მერე... ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაა! ეგ ერთი ერია მგონი, ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისაგან დაწყვეტილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი.

დღეს დაგვიდგა უბედური დღე. დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები ე.ი. ჯარი სიმღერით დაუხვდა. ჩვენც ნავედით სანახავად. რა სურათი წარმოგვიდგა თვალნი: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდგნენ რიგრიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა, მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ. წარბხეხრილნი და გამგელებულნი... პარადი იყო. მე ასეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვილაცა ახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონი. მონობისგან გავთავისუფლდით, ახლა კი ახალი უღელი დავიდგით. ღმერთო, ზეციერო, რა დაგიშავა ამ პატარა ერმა, რომ მთელ თავის ჯავრს ჩვენზედ იყრი?


იმ საშინელ დღეს მიდიოდა ორი ჯარი – ქართველები და გერმანელები. ხალხი ბუზბებივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზე ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი რისთვის ვიბრძოდით, აი ნაყოფი წარმოუდგა ახლა ყველას. რა საზარელი შეხედულება აქვთ: ჩასხმულები, მხარბეჭიანები, გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდა ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: *пой ласточка, пой, и могилы себе пой!* აი რუსების უკანასკნელი გამომშვიდობება, ამ სიტყვებით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ.

20 ივნისი

დღეს გავათავე შესანიშნავი წიგნი. „Моя“ ჟიდისა, მართლა ძალიან მომეწონა. აქ არის გამოყვანილი ორი ტიპი ადამიანისა. ერთი სულით მაღალი, გაურყვნიელი და მაღალი იდეალებით და მეორე, დაცემული, გახრწნილი და თავისი გრძნობების მონა. აქ ნათლად გვიხასიათებს ავტორი ამ ორ ჯგუფს, რომელიც ერთმანეთისგან ძალიან არიან დაშორებულნი. მაგალითად, ამ რომანში გმირი ქალი ვერა და კორეზი შეუდარებელი არიან. ბევრმა რომ ნაიკითხოს, იტყვის: ამისთანა ადამიანები არ არიანო დედამიწაზე. მე კი



ვიტყოდი – არიან და ძალიანაც ბევრიც. ვერას უყვარს მთელი თავისი არსებით გამოჩენილი მომღერალი. უკანასკნელი კი აღმერთებს მას. მისთვის მას შეუძლიან გასწიროს ყველაფერი, რაც უფრო საჭიროა მისთვის, მაგალითად – ხმა. ვერა იდეალა კორეზისა და ისეც იდეალური ტიპია. მაგისტანა მტკიცე ხასიათით, მაღალი შეხედულებით. ის მხოლოდ იმიტომ არ მიდის თავის სატრფოსთან, რომ იმას ყავს ქმარი, რომელიც მისი პატრონი გახდა. იმისთვის უცხოა ქმრისთვის ლაღატი (იმ დროს ეგ დიდ მოდამი იყო) და იმ აღთქმის დაშლა, რომელიც ეკლესიაში აღუთქვა. აი ეს სტანჯავდა მაგას. ის ქმარს ცვიად ეპყრობოდა. ის ამ საზოგადოებისთვის არ იყო დაბადებული, სადაც მუდამ ინტრიგები, შური და შეურაცხყოფა იყო. ვერა იდეა სულ თავში თავისი გრძნობებით და ეს საძაგელი დაცემული საზოგადოება ფეხთ. თავისი საყვარელი არსება კორეზი რამდენჯერ მოიცილა თავითგან, რადგან მას უნდოდა, ყველას წინაშე ის სუფთა ყოფილიყო, რომ არ ეთქვათ – აი, ამანაც გაიჩინაო. მაგრამ რა ბედნიერი იქნებოდა იმასთან, ვინც უყვარს. ქმარი რუსი თავადი, რომელიც ძალიან მდიდარი იყო და სულ საზღვარგარეთ ცხოვრობდა. მხეცი, გარყვნილი ადამიანი. მან იყიდა ჯერ თექვსმეტი წლის ახლად გადაშლილ ვარდივით ქალი. აქ მშობელ დედის საქმე იყო. ცუდმა, გველმა, ოღონდ თვითონ ყოფილიყო უზრუნველად, მოიცილა თავიდან თავისი ქმრის შვილი (ვერა მისიც იყო). როგორც თვითონ ამბობდა, რაგანაც თავის ქალში თავისას არაფერს ხედავდა. არ დააფასა რუსმა თავისი ცოლი. ის იყო მისთვის ძალიან ლამაზი საგანი. ბევრ შეურაცხყოფას აყენებდა თავის ახალგაზრდა ცოლს. ისიც მოთმინებით ელოდა. სძულდა თავისი ქმარი მთელ თავისი არსებობით. ბოლოს ველარ გასძლო, როცა დაინახა მთელი სისაძაგლის მშვენიერობა. ქმრის ყურებამდის მიაღწია საზოგადოების ჭორიკანობამ, ვითომ კორეზი ცოლის საყვარელი იყო, გამოიწვია დუელში და შიგ ყელში დაუმიზნა. ორივე ცოცხალნი დარჩნენ. მხოლოდ შესანიშნავი როგორც მომღერალი მოკვდა. ხმა დაეკარგა. კორეზმა ვერა გაიცნო, როცა ის თექვსმეტი წლისა იყო. მაშინვე შეუყვარდა საბრალო ბავშვი, რომელიც თავის დედის საზოგადოებაში ჩავარდა. კორეზი აფრთხილებდა: როგორც ჩრჩილს შეუძლია შესჭამოს



ბენვიო, ისე თქვენც გაგაფუჭებენო. მერე როცა ვერა გათხოვდა, ოთხი წლის განმავლობაში კორეზი გმირულად იქცეოდა, ერთხელ არაფერი არ უთხრა თავის გრძნობაზე თავის იდი-ალს. ის იტანჯებოდა, როცა ხედავდა ამ მდგომარეობას, რომელშიც ვერა იყო. უნდოდა ეშველნა, მაგრამ ნება არ ჰქონდა. მისი რა საქმე იყო, ეგრე იტყოდა სხვა, მაგრამ როგორ თუ რა საქმე ჰქონდა, იგი იტანჯებოდა ყურებით იმ საზოგადოებაზე, რომელშიაც შეფრინდა ჩრჩილი. რამდენჯერ უნდოდა კორეზს ფეხქვეშ ჩავარდნოდა თავის ღმერთს, მაგრამ თავის თავისა რცხვენოდა. ვერა ისეთი ქალი არ იყო, როგორიც სხვა. მას ვერას ხორცი კი არ ენატრებოდა, არამედ მთელი თავისი სულით და გრძნობებით. კორეზს მხოლოდ შეეძლო დაემშვიდებინა ის და გაემხნეებინა. რამდენჯერ სულ სხვა ქვეყანაში იყო კორეზი და ვერას ერთი დანახვისთვის სხვა ქვეყანაში მიდიოდა... როგორ უნდოდა მას გაენთავისუფლებინა ის ამ მსუხარებისაგან... მაგრამ ძალა არ ჰქონდა. მაგრამ როცა ის მოკვდა, როგორც მომღერალი, ვერამ ველარ გაუძლო და მივიდა მასთან. ის ხმას აღარ ნანობდა, მისი მზე კვლავ ამობრწყინდა. მის გვერდით იყო ის, რასაც უიმედოთ ეძებდა მთელ თავის სიცოცხლეში. ამისთანა ადამიანებს ღმერთო, ნუ მოაკლებ დედამიწას.

მე რომ ვკითხულობდი ამ წიგნს, თითქო მეც იმას ვიზამდი, რასაც ვერა. მხოლოდ ქმრის წინაშე. მაგრამ ეგრე დიდხანს სატრფოს არ მოვშორდებოდი. ძალა მიღალატებდა. ამისთანა სიყვარული კარგია. მართალია, ვერა ძალიან ლამაზი იყო, ისე რომ სადაც ფეხს შეადგამდა, ანათებდა იქაურობას. ნუთუ სიყვარულში დიდ როლს თამაშობს სილამაზე? ეს ჩემთვის გარკვეული არ არის. მე მგონია, ჯერ გულის და სულის, გრძნობების

სილამაზე უნდა შეიმჩნიო და მერე გარეგნული. ხანდახან გარეგნობას ადამიანს მაცდურ მდგომარეობაში აყენებს. იყოს ლამაზი სახით, მაგრამ გული და გრძნობები მახინჯი, მე მგონია, მაშინ ის არ არის ბედნიერი და სხვასაც გააუბედურებს. იქნება სახით ადამიანი არ იყოს შესანიშნავი, მაგრამ გულით კი შეუდარებელი და ჭკუით. მე ამისთანებს ვამჯობინებ და ყოველთვის ამ აზრისა ვიქნები. იმისთანა ადამიანი, რომელიც სულ თავის ინტერესზე ფიქრობს, წვრილმანია. მისი შეხედულება უმნიშვნელო არის. ის არაფერს სხვას არ მოუტანს სასარგებლოს. ისეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სხვებისთვის, ის მესმის. მე არც ასეთი ვარ, არც ისეთი, მაგრამ იქნება გავხდე და უფრო მინდა როგორც უკანასკნელი. ბევრს გონია, რომ ბედნიერება ფულშია. მეც ეგრე მგონია, მაგრამ ამ ფულის დახარჯვა თავისზედ კი არ მინდა, არა. ამ ფულით სხვას მოვუტანო ბედნიერება. და მაშინ თითონაც იქნები ბედნიერი. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. სხვაზე ფიქრი უფრო კარგია. თავისაზედაც უნდა, მაგრამ სულ მუდამ არა. ღმერთო, რად დამზადე ქალათ! ქალი უძლური რაღაცა საგანია კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მაგრამ მაინც მინდოდა ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყველაფერი, ვიდრე ქალს. ქალს ჰპატრონობს კაცი, კაცს – ღმერთი. კაცი მაღალი სულით სულ სხვა არის ამგვარ ქალზედ. მაგრამ უმეტეს ნაწილში ქალი უფრო მაღლა სდგას კაცზე, მაგრამ ეს არ ჩანს, – ის მდგომარეობის მონაა.

რა არის სიცოცხლე წვრილმან ადამიანისთვის? სულელური და ცარიელი უქმე ჩემის აზრით.

ბაბრქელეზა შვიმდებ ნომერში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნატოს სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების წერილები და ფოტოები, სახელწოდებით, „წერილები ავღანეთიდან“ გამოიფინა.

ფოტოები თავად ჯარისკაცების მიერ ჰელმანდის პროვინციაშია გადაღებული.

გამოფენა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მხარდაჭერითა და სამხედრო ჟურნალისტიკისა და აფხაზეთის ომის ვეტერანის, ზაირა მიქაბაძის ინიციატივით განხორციელდა, რომელსაც პარლამენტის წევრები გიორგი გოზალაშვილი და დავით ლორთქიფანიძე ესწრებოდნენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია ის მისია, რასაც ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ასრულებენ. თითოეული ჩვენგანის ვალია მათი მხარდაჭერა. ჩვენი მისიაა მსოფლიოს დაეხმავოთ, თუ რარიგად იბრძვის ტერიტორიულად პატარა, მაგრამ დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა მსოფლიოს სხვა ცივილიზაციისა და დემოკრატიის მოწყობაში. ამაში თქვენ დიდი როლი მიგიძღვით ჩვენო ვაჟკაცებო“, – მიმართა მონვეულ ჯარისკაცებს დავით ლორთქიფანიძემ.

„აქ წარმოდგენილი ნამუშევრები ჩვენი ჯარისკაცების გმირობას ასახავს. ასეთი ღონისძიებები ტრადიციად უნდა იქცეს. თითოეულმა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე“, – აღნიშნა გიორგი გოზალაშვილმა.

„ძალიან მნიშვნელოვანია იმ დღე-

**საქართველოს პარლამენტი
პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
ქართველი ჯარისკაცების ფოტოები და
წერილების წერილები გამოიფინა**



ბის, იმ ცხოვრების წესის საზოგადოებისთვის გაცნობა, რასაც ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ეწევიან. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს და როგორ ცხოვრობს იქ მისი ჯარისკაცი“, – განაცხადა შეიარაღებული ძალების სერჟანტმა, ალუდა კოპალიანმა.

მისი თქმით, ასეთი გამოფენა დიდი მოტივაციაა ჯარისკაცისთვის, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

„საქართველოს თითოეულმა მო-

ქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ოჯახის, საკუთარი სოცოცხლის დაცვაც მოიაზრება“, – განაცხადა ღონისძიების ინიციატორმა ზაირა მიქაბაძემ.

ფოტოგამოფენის დათვალიერება ჩვენს თანამემამულეებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თვის ბოლომდე შეეძლებათ, რის შემდეგაც ნამუშევრები საქართველოს სხვა ქალაქებშიც გამოიფინება.

აგვისტო 2013



შეიარაღებული ძალების სერჟანტი ალუდა კოპალიანი



ძველი და ახალი „ავღანელები“

წერილები ავღანეთიდან

ანუ ფოტოებზე აღბეჭდილი ჯარისკაცური ცხოვრება



აჭარის უზენაეს საბჭოში

„აქ მოგენატრება კაცს სამშობლოს მინა. ვერ ვიტყვი, შენი ჩამოსვლა გამიხარდება-მეთქი, მაგრამ მაინც გელოდები... ქართული მინა წამოიღე ცოტა“, – 33-ე ქართული ბატალიონის ოფიცრის, გია ირემაშვილის წერილიდან ამ სიტყვების მსგავსი ამონაწერი ყველა იმ ფოტოს ახლდა, რომლებიც ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმში გამოიფინა. „წერილები ავღანეთიდან“, – ასე ერქვა ფოტოექსპოზიციას, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით მოაწყო ჟურნალისტმა ზაირა მიქაბაძემ, რომელიც ცნობილია თავისი რეპორტაჟებით აფხაზეთის ომიდან და სხვა ცხელი წერტილებიდან. მან თავისი მეგობრების დახმარებით შეაგროვა ფოტოები ავღანეთში სამშვიდობო მისიის ქართველი მონაწილეების შესახებ, ჯარისკაცების წერილებიდან ამონარიდებიც დამატა და ასე მოამზადა საგამოფენო ექსპონატები.

„ჩემს იდეას საქართველოს პარლამენტი გამოეხმაურა და ფოტოექსპოზიციის პირველად თბილისში გაიმართა. იგივე სახით გამოფენის ბათუმში მოწყობის შესახებ აზრი აჭარის უმაღლესი საბჭოს პრესამსახურის უფროსს, ქალბატონ მარინა კუპრეიშვილს გავუზიარე. მომიწონა ჩანაფიქრი და ასე დაგვეგმეთ დღევანდელი გამოფენა. გადავწყვიტე, იგი ახლახან ავღანეთიდან დაბრუნებული ადლიის ბათუმის ბატალიონის გაძლიერებული ოცეუ-



ლისთვის მიმედგინა, რომელიც დღეს სრული შემადგენლობით გვესწრება. აქ მათი ფოტოებიც არის წარმოდგენილი. ალბათ დაათვალიერეს და ესიამოვნებოდათ. ეს ექსპოზიცია ჩემი, როგორც ჟურნალისტისა და საზოგადოების წევრის მხარდაჭერის გამოხატულებაა იმ ჯარისკაცებისადმი, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებენ სამსობლოსათვის. ეს უნდა დააფასონ არა ერთეულებმა, არამედ მთელმა საქართველომ.

საზოგადოებაში არის კითხვები, თუ რატომ მიდიან ჩვენი ბიჭები ავღანეთში, ხომ არ ხდება ეს მხოლოდ მატერიალური ინტერესების გამო?! სწორედ ასეთ შეკითხვებს უნდა გაეცეს პასუხი ამგვარ ღონისძიებებზე. აქ არის ფოტოები, სადაც ჩანს როგორ, რა ხარისხით ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას“, – თქვა ჩვენთან საუბარში ზაირა მიქაბაძემ.

ავღანეთში მეზრძოლი ქართველი ჯარისკაცებისადმი თავიანთი პატივისცემა გამოხატეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთანდილ ბერიძემ, ბათუმის მერმა ჯემალ ანანიძემ, ავღანეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯ-



დომარემ რამაზ მეგრელიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, გიორგი თავამაიშვილმა.

გამოფენის შემდეგ ბათუმის ბატალიონის გაძლიერებული ოცეულმა ავღანეთის ომში გარდაცვლილი ჯარისკაცის ვალერიან ხუჯაძის საფლავი მოინახულა. სამ საათზე კი მათ საგანგებო შეხვედრა აჭარის უმაღლეს საბჭოში მოუწყვეს.

„კარგი საქმეა და მომავალშიც უნდა მოვიფიქროთ მსგავსი ღონისძიებები ქართული არმიის პოპულარიზაციისათვის. ძალიან კარგი ფორმაა სამშვიდობო მისიის ქართველი წარმომადგენლების გასაცნობად, მათი სამხედრო ცხოვრების წარმოსაჩვენად. ერთდღიანი გამოფენა საკმარისი არაა. აუცილებლად ვიქნები იმის ინიციატორი, რომ მომავალშიც ჩამოვიტანოთ ექსპოზიცია და ფართო საზოგადოებას გავაცნოთ“, – თქვა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთანდილ ბერიძემ.

მარინა მითაიშვილი
გაზეთი „აჭარა“

აგლანეთში გაგზავნილი ბარათებიდან

„ღმერთმა ინებოს თქვენი გამარჯვება და მშვიდობით დაბრუნება!“ – წერენ პატარები ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებს. მათ საქართველოდან მოსწავლეების უამრავი წერილი მიიღეს. „ნეტავ, ვინ ხარ და რა გქვია? ნეტავ, ვის შესვლება ჩემი წერილი?“ – ეკითხებიან ბავშვები. ჩვენს ჟურნალს რამდენიმე ასეთი ბარათი ჩაუვარდა ხელთ და გადავწყვიტეთ, პატარა მხარდამჭერებისათვის ის ჯარისკაცები გაგვეცნო, რომლებიც მათი წერილების ადრესატები არიან. „როცა სითბოთი და სიყვარულით სავსე ნაწერებს ვკითხულობდით, ხან ვიცინოდით, ხანაც – ვტიროდით. ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავს, როცა ვახსოვართ და გვამხნევენ, განსაკუთრებით კი – პატარები“, – გვწერენ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთიდან. ბავშვებისთვისაც ძალიან სასიხარულო აღმოჩნდა, როცა ვუთხარით, რომ ჩვენ მათ ადრესატებს მივაგებით და დაუპირდით, რომ მათ გაცნობაში დავეხმარებოდით. ესენი 31-ე ბატალიონის ჯარისკაცები არიან და სამშობლოში, სავარაუდოდ, მაისის პირველ ნახევარში დაბრუნდებიან. პატარები მათ მოუთმენლად ელოდებიან და, თავის მხრივ, ჯაროსკაცებიც გეგმავენ, თუ როგორ შეხვდნენ და გაახარონ ის ბავშვები, რომლებმაც მათთვის გამამხნეველი, სითბოთი და სიყვარულით სავსე სიტყვები არ დაიშურეს.



ბიორგი ხვიპლიანი

„თუკი ეს წერილი ნამდვილად მისი დანერილია, ყოჩაღ ამ გოგონას!“, – ამბობს გიგა ზაქუტაშვილი და დასძენს: „ნინოს წერილი შენახული მაქვს. როცა საქართველოში დავბრუნდები, აუცილებლად უნდა ვნახო. მივწერე, შენი წერილით მოვალ-მეთქი. ბედნიერებაა, პატარა ბავშვები რომ ასე კარგად აზროვნებენ. მეც მაინტერესებს, ვინ არის და როგორია? ასე რომ, როცა ჩამოვალ, უმალ ამ ბავშვს მოვძებნი“.

180-ე სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, ნინო ჩხაიძე კი ამბობს, რომ მისი წერილი დამრიგებელსაც ძალიან მოეწონა. თავადაც უკვირს, ასე კარგად როგორ დაწერა.



მარიამ ჯგუჯურია

გვიამბობს, რომ მამამისი, ლადო ჩხაიძე აფხაზეთში იბრძოდა. ნინო ერთი წლის ყოფილა, მამა რომ დაღუპვია. მამა არ ახსოვს, მაგრამ გადმოცემით იცის, თუ როგორ იცავდა მამა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამიტომაც გაუჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება ჯარისკაცების მიმართ და ეს განწყობა მან თავის წერილშიც გამოხატა:

„გამძრჯობა ჯარისკაცო, ჩემო უყვანობო, უფროსო მეგობარო. ჩვენ ერთმანეთს არაქნებოთ შუკვიდრივართ და ამიფლობაც არ გიყვანოთ, მაგრამ თქვენი და თქვენი მეგობრების შესახებ ბევრი რამ ვიცი. ვიცი, რომ იარაღით ხელში ჩვენთვის უყვანო და შორეულ ქვეყანაში საქართველოს სხედით ბოროტებსა კბრძით. სიციფხედს სწირავთ, რათა ჩვენმა ავღანელებმა თანაცოცდებმა თავისუფლად ქვეყანაში თავისუფლად იცხოვრონ და ისწავლონ, ისე, როგორც მე. ამ დღეებში ბევრი რამ შევიფიქვე ავღანეთის შესახებ. მე ნინო ჩხაიძე ვარ. ვსწავ-

ლობ 180-ე სკოლაში. მე-4 კლასში ვარ და სწავლა ძეციან მიყვარს. დავდივარ ქართულ ციქვებზე. მყავს ბევრი მეგობარი და მიყვარს მათთან ურთიერთობა. მე ვიცი, რომ მეგობრობა ძნელ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიფლობ, ვთხოვთ, ჩემი მოკითხვა თქვენს მეგობრებსაც ვადაწიოთ. გისურვებთ წარმატებულ სწავლებას და სიმშობლოში უყვებლად დაბრუნებას“.

* * *

– იცით, როგორ მიხარია, რომ გავიგე, ვინ მიიღო ჩემი წერილი და უნდა გავიცნო? – მეუბნება ნინო შეხვედრის დასასრულს, და მბარებს, მირჩევენია, სკოლაში მოვიდეს და იგი მთელმა სკოლამ და ჩემმა მეგობრებმაც გაიცნონო. ნინოს წინადადება გიგა ზაქუტაშვილმა სიხარულით მიიღო და ავღანეთიდან უთვლის, რომ სურვილს აუცილებლად შეუსრულებს. მე კი ორთავეს დავპირდი, რომ შეხვედრაში დავეხმარები და იმ სიამაყეს გავიზიარებ, პატარა ნინო ჩხაიძის თვალებიდან რომ გამოსჭვიოდა...

„ყოჩაღ, რომ საქართველოს-



მამუკა მჭედლიძე

ვის იბრძვი. მინდა, რომ ბედნიერად დაბრუნდეთ. მინდა, რომ საქართველო უფრო გაძვირდეს. მინდა, ვიყო განათლებული, ჭკვიანი. მინდა, რომ დამბრუნდები... მინდა, ბედნიერად დაბრუნდეთ. ქადაგი გაქვთ. მინდა, რომ ვიყო 20 წლის. თქვენ როდის გაქვთ დაბრუნდები? ვთხოვთ, თქვენც მომწეროთ წერილი. მე ვარ 64-ე საჯარო სკოლის. მე-4 კლასი წავლის. მინდა, გახარებული დაბრუნდეთ”.

* * *

„წერილი ჯარისკაცებს მარაგად, გამარჯობათ, მე მარაგად ვარ. მინდა, დაგლოცოთ და წარმადებები გასურვით. აბა, თქვენ იცით. დაიწყეთ თქვენი სამშობლო საქართველო. გიყვართ იგი, იზრუნეთ ქართველების მოძაქვით, თქვენი შვილებისა და მშობლების მოძაქვით. მინდა, გასურვით იდევ ერთხელ წარმადებები. და, ღმერთმა ისურვოს თქვენი გამარჯვება და შინ მხარულად, ხელისაწყო და ბედნიერად დაბრუნდეთ. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძვიროთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“.

თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე მარაგად

მარაგად და ნიკასთან ერთად ერთ-ერთმა ჯარისკაცმა გვანცა ნიკლაურის წერილიც მიიღო.

„გამარჯობათ. მე ვარ გვანცა ნიკლაური, 10 წლის, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მოსწავლე. როგორ ხართ, მოძაქვით აქვთ, ხომ არაფერი გიჭირთ? მე ვიცი, რომ ავსახეთი ჩვენი იყო, მაგრამ ახლა აღარ არის. ძალიან მინდა, რომ დაბრუნდეთ.“

გვანცა ნიკლაური. საქართველო. აქვთ. ავსახეთი.“



მარიამ მარაგად

მარიამა და გვანცას სკოლაში შევხვდით. მინდა, რომ ჯარისკაცების გამხსნელებაში ჩემი წვლილიც შემეტანო, მეუბნება გვანცა.

„ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ და მიხარია, ისეთი ადამიანები რომ არსებობენ, რომლებსაც თავიანთი ქვეყანა უყვართ და დახმარების ხელს სხვებსაც უწვდიან. ყველაფერი მაინტერესებს იმ ჯარისკაცის შესახებ, მაინტერესებს, როგორი შთაბეჭდილება დარჩა ჩემს წერილზე. მინდა მისი გაცნობა და მასთან ახლობლობა, რადგანაც დახმარებას უწევს მათ, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება“.

ჯარისკაცი კი, რომლებსაც გვანცა და მარიამი ელოდებიან, მამუკა მჭედლიძეა.

„მე სამი ბავშვის წერილი მივიღე. სამივეს მოვძებნი, როცა ჩამოვალ. ბიჭებისთვის დიდი სიხარული და გამხსნელება იყო ამ პატარებისაგან წერილების მიღება“, – ამბობს მამუკა.

„გამარჯობა მამაქო ჯარისკაცო! მე თბილისის მე-18 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, მარაგად ვარ. ვიცი, რომ საქართველოს გმირი შვილები გამარჯვებას ყოველთვის იხეიბებენ, რადგანაც მათ საქართველოსთვის უახლოესად უმსახურიან და ამ სიკეთეს თქვენი მოძაქვით არასოდეს დაგვიწყებთ. რა თქმა უნდა, თუ თქვენ არ სცემთ მშვიდ წარსულს, მოძაქვით თაობაც არ გავხსნებთ. ჯარისკაცო, დაიმხსლო, შენ ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ საქართველოში დაიბადე. საქართველოს შვიდი ხარ. აი, მე იმ ასეთი ბედნიერი ვარ, რადგან ბრძოლაში დაიბადე, მაგრამ იმით ვამაობ, რომ საქართველოში გავიზარდე. აქ ვიბრუნებ განათებას და ვცხოვრობ. შენც არ დაგვიწყებ, რომ საქართველოში დაიბადე ხარ, ამით იამაობ და გამარჯვებ! გხსოვდეს, თუ გმირი ვინდა ვხსოვ, ამაზე არ იფიქრო, რადგან გმირად არაფერი იბრუნება. მაგრამ იცოდეთ, რომ მე შენ გამხსნელებ, რად“.



გვანცა ნიკლაური



გიგა ხაჩიკაშვილი

გან ვიცი, არასოდეს უღაჯაყებ საქართველოს, როგორც გიორგი მოთხრობა „ციხისძაგრიდან“, როგორც ზაზა დამენია. განსოვდეს, თუ თქვენ ერთმანეთს განსაჯირში დახმარებით, ცოცხად ადამიანი დაიღუპება, რადგან „ძაღვ ერთობაშია“ და მცერი ვრანავერს დაგაყებთ. მაგრამ თუ თქვენს სიცოცხლეზე იზრუნებთ და მეგობრებს არ დახმარე-

ბით, მცერი მოვრეკათ. ამიჯომ ერთად იყავით და ერთმანეთს არასოდეს უღაჯაყით. მე თქვენ გამხსნეკებთ! მე თქვენთან ვარ!”

მარიამ ჯგუბურიას წერილი გიორგი ხვიბლიანმა მიიღო და პასუხიც მაშინვე დაუბრუნა. თავისი თანატოლებივით მარიამიც მოუთმენლად ელის გიორგის დაბრუნებასა და მასთან შეხვედრას. წერდა, თან წერვიულობდა, ვაითუ ჩემი წერილი არ მოენონოსო. გიორგის კი მარიამის წერილი ძალიან მოენონა და მას სასოებით ინახავს. „იმედი მეონდა, რომ მიიღებდა და გამომხმამურებოდა. ვამაყობ მისით და ყველა ქართველი ჯარისკაცით, რადგან ისინი ავლანეთში ჩემხელა ბავშვებს იცავენ. ჯარი არ მიყვარს, იმიტომ რომ, ბევრი სისიხლი იღვრება, მაგრამ გამარჯვება ძალიან მიყვარს“, – ამბობს მარიამი და ჩვენს ბიჭებს კიდევ ერთხელ უსურვებს მშვიდობითა და გამარჯვებით დაბრუნებას.



ნინო ხსანიძე

31-ე ბატალიონი მაისის დასაწყისში დაბრუნდება სამშობლოში, მანამდე კი ვინ იცის, რამდენჯერ გადაავლებენ თვალს ბავშვების გულწრფელად დანერილ სიტყვებს. გამხსნევედიან და ეს წერილებიც მათი ცხოვრების ნაწილი გახდება იმ მიძიმე დღეებთან ერთად, რომლის გადატანაც ჩვენს ბიჭებს ავლანეთში, სამშვიდობო მისიის შესრულებისას უხდებათ.

მოხაზადი ჯარისკაცი

აზერბაიჯანელი გოგონა, გიუნაი ბაქიროვა მარნეულის რაიონის სოფელ საბირქენდის №1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. ან სამხედრო უნდა გავხდე, ან პოლიციელიო, – გაუმხილა მშობლებს და ისინიც ქალიშვილის არჩევანს გაგებით შეხვდნენ. გიუნაი სკოლაში ყველაზე წარჩინებული მოსწავლეა. ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. დადის ქართულ ხალხურ ცეკვებზე, მისდევს სპორტს. გამუდმებით ვარჯიშობს და ქალისთვის უჩვეულო და მეტად ვაჟკაცური პროფესიის მისაღებად ემზადება.

გიუნაის სკოლა „ერთი დღე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“ – პროექტის ფარგლებში ვაზიანის მეოთხე ბრიგადას ეწვია. გოგონას ინტერესი, შეიარაღების, საცეცხლე თუ ტექტიკური მომზადების მიმართ, სამხედროებს არ გამოპარვიათ. ავტომატი პირველად ნახა, მაგრამ ძალზე მოხერხებულად და ოსტატურად დაიჭირა.

თვალს არ ამორებდა მწყობრში მიმავალ ჯარისკაცებს. ნაწილის ტერიტორიას გულდასმით ათვალიერებდა და იქაურობის დატოვება ენანებოდა. „ჯარში მინდა“, – გამოუცხადა დღის ბოლოს თავის მასწავლებელს, თეონა ტყემალაძეს და დიდრონი, შავი თვალეზი ჩვენს „ექსკურსიამძღოლ“ სამხედროებს მიაპყრო. მათ მცირე ინსტრუქცია ჩაუტარეს მომავალ ჯარისკაცს და ურჩიეს, კადეტთა კორპუსში ჩაებარებინა.

გააცნეს, თუ რა ნორმატივები უნდა ჩააბაროს ჯარში ყოფნის დროს და რჩევა მისცეს, მოსამზადებლად მსგავს ფიზიკურ დატვირთვას აქედანვე შეჩვეოდა. სამხედროებიც, თავის მხრივ, ალტა-

ცებით შეხვდნენ გიუნაის სურვილს და მის გასამხსნეველად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. სიამაყით აღვსილი დაბრუნდა გიუნაი მშობლიურ სკოლაში, იმ იმედითა და რწმენით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების წევრი გახდება.



ვაჟა ვაჟაყვამია
გიუნაი ბაქიროვას
არჩევანს უწონებას



კიცედ გახსოვდათ თქვენი მოვალეობა და მიუხედავად გაჭირვება-სიძინელისა, თქვენ – ჯარმა და გვარდიამ თქვენი გმირული გულმკერდით შეინარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენ ქვეყანას რევოლუციამ, თქვენ იცლებოდით სისხლისაგან საომარ ველზე თქვენ უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს. თქვენ გადალახეთ უმაღლესი და ძნელათგასავალი მთები, გადაიარეთ მდინარეები. თქვენ, როგორც არწივნი, თავს დასტრიალებდით ჩვენს სამსობლოს სადარაჯოებს. მიმოფ-

იბრძოდა მტერთან, რათა სურვილით გატაცებულ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო და გვარდიამ ჩვენი სახელოვან წინაპრებზე შეასრულა თავისი მოვალეობა გმირულად და სახელოვანად.

მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნი, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემული დავალების შესასრულებლად ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საკმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებითა და მხურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს. უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცედ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უღრმესი ბედნიერება. ჩვენი ძვირფას და სასიქადულო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოიგონიებს თავის სახელოვან შვილებს.

ვსტოვებ რა მთავარსარდლის მოვალეობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეული შვილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა.

აღსდგენ საქართველოს გმირები! დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ! გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას!

ბენეარალი კვინიტაქა
„უორნალი „მხედარი“. 1920 წელი.

შეიარაღებული ძალების ისტორიიდან


თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია სამხედრო უწყების მიმართ, ამა წლის 8 სექტემბრის ბრძანებაში, მე გამომეცხადა მადლობა ჩემი მოქმედებისათვის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად ყოფნის დროს და მასთან ერთად დაბრუნებული ვიქენი ძველ თანამდებობაზე – სამხედრო სკოლის უფროსად.

საქართველოს მეომარნი! უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში მე ვიდექი თქვენს სათავეში და გინევედით შეძლებისდაგვარად, ხელმძღვანელობას მთელი ჩემი ძალით, წინათაც, როგორც მშვიდობისას, ისე სამხედრო მოქმედებათა დროსაც. მე არაერთხელ შემხვედრია წილად თქვენს სათავეში ყოფნა. ჩემთვის ძვირფას მშობლიურ მხედრობაში, ჩემს ძვირფას სამშობლოს მეომართა შორის გატარებულ დროს მე ვსთვლი ჩემის ცხოვრებისა და სამსახურის უბედნიერეს ხანათ. ჩემი უფროსობის ყოფნისას თქვენ არაერთხელ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი.

საქართველოს გმირებო! თქვენ კეთილსინდისიერად მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენ ღვრიდით საკუთარ სისხლს, ხშირად განიცდიდით სიმშლ-სიცივეს, მაგრამ მტ-

რინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და მეხივით ეკვეთებოდით მტერს.

ჯარისა და გვარდიის მეომარნი! თქვენ მხარ და მხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავად და ამით კიდევ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით ერთმანეთს. ნითელ ხიდთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულად იბძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძღვევამოსილად მოდიოდა ათას ვერსს, მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის და უკუ აგდეს შორს ჩვენი საზღვრებიდან. გვარდია ღირსეულად და სრული თავგანწირვით



ეს არის ჩვენი ისტორია. ეს არის ის, რაც გადაიტანა ჩემმა თაობამ. ჩემი თაობა ქარცეცხლიან საქართველოში ცხოვრობდა. ეს არის ის, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს. ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ სიმართლე მოვუთხროთ ჩვენს მომავალ თაობას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა 1991-1992 წლებში საქართველოში. ეს არის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია. მე არ ვდებ თავს ისტორიკოსობაზე, მაგრამ იმდროინდელი მოვლენების უშუალო მონაწილე ეროვნული გვარდიის ოფიცერი ვარ და ჩემი თვალთვინით ვნახე ის უბედურება, რაც დატრიალდა საქართველოში. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სამხედრო გადატრიალების შედეგად მოხდა ყოველივე შემდგომი უბედურებები, რაც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს.

ე.წ. თბილისის ომის დროს ეროვ-

რუსეთ-საქართველოს ომის დასაწყისი



თბილისის სისხლიანი ღლეაბი

წული გვარდიის ახალციხის მეცხრე ბატალიონში ოცმეთაური ვიყავი. ომის დაწყების წინაპირობა მოსკოვში 19 აგვისტოს დატრიალებული მოვლენები გახდა. გვარდია ამ დროს ყალიბდებოდა. იყო ენთუზიაზმი, პატრიოტიზმი მთავარსარდლის უდიდესი სიყვარული ჰქონდა ხალხს და ეს გვარდიის ჩამოყალიბების პროცესში აშკარად ჩანდა. 19 აგვისტოს მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 20 აგვისტოს, ღამით წამოგვიყვანეს რკონში, გვითხრეს, წვრთნებზე მიდინართო. სინამდვილეში კი თურმე რუსეთს განუცხადებია, საქართველოს არ აქვს უფლება, გვარდია ჰყავდესო. ზვიად გამსახურდიამ ხერხი იხმარა და გვარდია შინაგან ჯარად გადააკეთა, რითაც გვარდია გადაარჩინა. ამას მოყვა დიდი განხეთქილება, კიტოვანი გადაუდგა პრეზიდენტს. რკონში კი თურმე ამიტომ წამოგვიყვანეს. რკონის ხეობაში თავი მოუყარეს საქართველოში არსებულ ყველა ბატალიონს. ერთადერთი – ზუგდიდისა და სამტრედიის ბატალიონები არ ჩამოვიდნენ. როგორც მოგვიანებით გავიგე, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, სინამდვილეში რაც ხდებოდა.

რკონში არავითარი ტაქტიკური

ვარჯიში არ ყოფილა, ჩვენ თვითონ ვვარჯიშობდით. საინფორმაციო ვაკუუმში ვიმყოფებოდით, ერთის გარდა ყველა შემოსასვლელი ჩაიკეტა. დაახლოებით ერთ კვირაში ჯარისკაცების მშობლებმა დაიწყეს მოსვლა და დაძაბულობის ნიშნები მაშინ ვიგრძენი პირველად. ხალხი კითხულობდა, რატომ გადაუდევით პრეზიდენტსო?! ბოლოს კი შემოსვლა უნდოდათ ბაზაზე და ჩვენ ვაკავებდით. როცა მათგან გავიგეთ, რაც მოხდა სინამდვილეში, გვარდიაში ჩოჩქოლი ატყდა. ამ დროს ჩამოვიდა კაკო ასათიანი, მან გვითხრა, ნუ გეშინიათ, არაფერი გემუქრებათ, არავინ აუქმებს გვარდიასო. როცა ყველაფერი ნათელი გახდა ჩვენთვის, სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ბევრი თავისით წამოვიდა რკონიდან თბილისში და შეუერთდა ზუგდიდის ბატალიონს, რომელიც მთავრობის სახლთან იდგა. ახალციხის ბატალიონი მთლიანად ჩამოვიდა თბილისში, ახლადჩამოსულებს ამრეზით გვიყურებდა ქობალიას ხალხი. რუსთაველის გამზირი მიტინგების ადგილად იყო გადაქცეული, ერთდროულად რამდენიმე მიტინგი ტარდებოდა. გია ქანტურიას მიტინგიდან პირდაპირ თემურ ჟორჟოლიანის

მიტინგზე გადახვიდოდით „უსაშვოდ“, შემდეგ – წერეთლის და ბოლოს გამსახურდიას მიტინგზე მოხვდებოდით.

ამას გამართლება არ აქვს. მთავრობა თავს აქციებით არ უნდა იცავდეს. ჯარი ამ დროს იდგა ოპოზიციისა და მთავრობის შუაში. 1991 წლის ოქტომბერში პირველი შეტაკება მოხდა.

21 დეკემბერს, საღამოს ძალიან დაიძაბა სიტუაცია, ორივე მხარეს ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა, შუაში ვიდექით ჩვენ. ოპოზიციის მხრიდან ადამიანები შეეცადნენ ჯარის ნაწილებში შემოსულიყვნენ. კარგად მახსოვს, როგორ გვაგინებდა ჯარისკაცებს ვანო ხუხუნეიშვილი, მონებს გვეძახდა! ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ ხალხის ნაკადი ვერ შევაჩერეთ. ორი ნაკადი ერთმანეთში აირია. ამით ცოტა განიმუხტა სიტუაცია, იმ მომენტში დაწყნარდა ვითარება, მაგრამ მოგვიანებით, რამდენიმე საათში გზა ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით ჩაიკეტა. ოპოზიციის მხარემ მოიყვანა სატვირთო მანქანები და მთავრობის ჩაყენებული ავტობუსები ამ მანქანებით გაათრიეს. ასეთ დაძაბულობაში დაგვათენდა თავზე. ამ დროს კიტოვანი ზღაფზე იყო. კიტოვანის ხალხი გამსახურდიას



ხალხზე ნადირობდა. ვისაც კი დაიმართობებდნენ, აპყავდათ ზღაფაზე, ცემდნენ და იქიდან ცოცხალ-მკვდარს უშვებდნენ. 22 დეკემბრის გამთენიისას ისევ ორი მიტინგი ტარდებოდა, იქით ლევან ღვინჯილიას ოპოზიციის მიტინგი, აქეთ კი – გურამ პეტრიაშვილის. გამთენიისას, 6-7 საათისთვის გავარდა პირველი ტყვია, რასაც ზარბაზნის ქუხილი მოჰყვა. ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლი ბომბი ააცილეს მთავრობის სახლს და მთაწმინდის დასახლებაში ჩავარდა.

მთავრობა კი არ გაიქცა, წავიდა. გასვლის დროს ახალციხისა და თბილისის სპეცდანიშნულების პოლკები ესკორტს წინ მივუძღვოდით, გზას ვუკვალავდით. მეტეხის ხიდთან ჩასაფრებაში მოვყევით. პიკეტი იყო, ჩვენი კოლონა გაჩერდა, არ ვიცოდით ვინ იყვნენ იქ. ისე იყო არეული სიტუაცია, ვინ ვისი მომხრე იყო, მხოლოდ ტყვიის გასროლის შემდეგ ვიგებდით. ზედ ხიდზე გაჩერდა კოლონა, ჩვენ ვიცოდით, რომ პრეზიდენტი დასავლეთისკენ უნდა წასულიყო, მობრუნება დავაპირეთ და ამ დროს სამი მხრიდან ტყვიამფრქვევებით გაგვიხსნეს ცეცხლი. ადამიანები ჩაცხრილეს ავტობუსებსა და მანქანებში. ჩვენს მანქანაში ხუთი ოფიცერი ვისხედით: მე, ასმეთაური ვეფხია ბიჩინაშვილი,



სერგო ინასარიძე, ალექო მუხაძე და გენადი კვერნაძე. გენადი ჩემგან მარჯვენა მხარეს იჯდა, სერგო – მარცხნივ, საჭესთან იჯდა ვეფხია, გვერდით ეჯდა ალექო. როგორც კი სროლა დაიწყო, პირველი ტყვია მოხვდა მძღოლს. ოთხი ტყვია მოხვდა ვეფხიას თავში,

მაგრამ უფლის წყალობით, არცერთი ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ზემოდან გაუარა თავზე და მისგან გამოსული ტყვია პირდაპირ სერგოს მოხვდა თავში და თავის ქალა ახადა. ვეფხიამ კი გონება დაკარგა. სერგოს ტვინი და სისხლი მე შემომესხა სახეზე. მანქანა რალაცას შეეჯახა და გაჩერდა. სროლა რომ შეწყდა, თავი ავნიე. სერგოს ნახევარი თავი ბეჭზე მედო, თავის ქალა ახდელი ჰქონდა, გენადი საკუთარი სისხლისაგან იყო შეღებოლი, ცურავდა სისხლში. ვეფხიას თავი უღვეს საჭეზე, ალექოს კარის გაღება მოუსწრია და მანქანიდან გადამხტარა. აი, ეს სურათი დავინახე თავანუღლმა, ეს იყო ჩემი საბრძოლო ნათლობა! მესმის ხმა



– «დაგვენბდით, თქვენი დედაც... ისე გვიყვიროდნენ და გვესროდნენ, თითქოს ფაშისტები ვიყავით. ჩვენს წინ ავტობუსი და სამხიდიანი მანქანა იყო ჩაცხრილული. როგორც მაშინ გავიგე, 120 კაცამდე დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. სამხიდიანი მანქანის მძღოლი ტყვიამ შეინირა. მანქანა დაეჯახა ხეს, ჩამოგლიჯა ტროლეიბუსის ხაზები, ხაზი დაეცა მანქანას და დენმა დახოცა ხალხი. ამ დროს გამოიარა პრეზიდენტის ესკორტმა, შეჩერდნენ ცოტა ხნით, მაგრამ საშიშროება იყო და მანქანები დაიძრნენ, გზა განაგრძეს. უკან ზუგდიდის ბატალიონი უნდა გამოგვეყოლოდა, მაგრამ როგორც კი ჩასხდნენ ბიჭები ავტობუსში, ვერ დაძრეს მანქანა, საბურავები იყო დაშვებული. ჯარისკაცები ფეხით წამოსულან, შეტაკების მომენტში მოგვიახლოვდნენ. თავდამსხმელები იმათი გამოჩენისთანავე გაიქცნენ.

ზუგდიდის ბატალიონის მოსვლის შემდეგ უკვე შეგვეძლო გვენახა, რა გვჭირდა, მანქანის კარი გამოვადე, ამ დროს ვაიმეო, გავიგონე. ვეფხიამ ამოიგმინა, არიქა, ცოცხალია-მეთქი, – ვიყვირე, გადმოვიყვანეთ, შევეზვიეთ თავი, გონზე მოვიდა, გამოფხიზლდა და სიარულიც კი შეძლო. ტყვიამ თავი კი დაუზიანა, მაგრამ შიგნით არ გაუვლია და გადარჩა.

ავტობუსით ავლაბრისკენ წავედით. ზემოთ რომ ავედით, ფეხით გავაგრძელეთ გზა. 70-მდე ადამიანი მივდიოდით ერთად. ლელიანში ავედით, იქიდან ტყეში გადავედით, ამასობაში კიდეც გათენდა. ოთხი ჯრისკაცი ვეფხიას დასთან წავედით. დღე ვიმალებოდით, ღამით მივდიოდით. მაგრამ ყინავდა, მშივრები, ღამენათევები ძლივს ვბანცალებდით. როგორია, მზის ჩასვლას რომ ელოდები? ორი დღე-ღამე მოვუნდით გამარჯვებამდე ჩასვლას, მივედით მზიასთან. იქ ორი კვირა

დავრჩით, სემდეგ კი ჩემთან წავედით ზუგდიდში მე, ალექო და კიდეც რამდენიმე ოფიცერი. ჯერ არ იყვნენ შესული ზუგდიდში... სამტრედიის ჩასვლებმა გავიგეთ, რომ „მხედრონი“ იმ დღეს შესულა ქალაქში. გაგვაჩერეს, გაგვჩხრიკეს, იარაღი ხომ არა გაქვთო, არაფერი გვექონდა. ვიდრე გზას დავადგებოდით, ერთმა ჩვენმა მეგობარმა ბიჭიკო კანდელაკმა მამიდამისის მისამართი მოგვცა, ზემო ნიქოზში ცხოვრობს და თუ რამე დაგჭირდეთ მიდითო. მივედით ბიჭიკოს მამიდასთან, მეორე დღეს წავედით ზუგდიდისკენ. სამტრედიასთან საზღვარი იყო, გადავკვეთეთ ეს „საზღვარი“ და გადავედით სამშვიდობოს. ამის შემდეგ მოვლენები სამეგრელოში გაგრძელდა.


ცივი ომი და ნაცო

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის – ნატოს, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ალიანსის შესახებ საუბარი დავიწყოთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მიმოხილვით. 1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, სრულიად მსოფლიოსა და ასეულ მილიონობით ადამიანის ბედი. სამი მოკავშირის – დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის – ერთობლივმა გამარჯვებამ თავდაპირველად გააჩინა ილუზია, რომ ევროპაში შეიქმნებოდა ახალი და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობები. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ შესაძლებლობების უსაფუძვლობა. დასავლეთში ნაციზმზე გამარჯვებას პირდაპირ უკავშირებდნენ დემოკრატიასა და თავისუფლებას, საბჭოთა კავშირმა კი კურსი აიღო ერთი დიქტატურის (ფაშისტურის) მეორით (კომუნისტურით) შეცვლაზე. ერთი ტრაგედიის დასრულებისთანავე დაიწყო მეორე. ევროპის გაყოფა გახდა „ცივი ომის“ მთავარი ნიშანი, ხოლო ბერლინის კედელი – მისი პირქუში არქიტექტურული სიმბოლო.

1. ცივი ომის მიზეზები

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულთა შორის პირველმა სერიოზულმა უთანხმოებამ უკვე პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო) იჩინა თავი, სადაც შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერები.

პოტსდამის კონფერენცია უკვე ახალ გეოპოლიტიკურ რეალობათა ფონზე მიმდინარეობდა, როდესაც საერთო მტრის გაქრობის შემდეგ დროებითი და ტაქტიკური კომპრომისები და თანამშრომლობაც კი შეუძლებელი ხდებოდა. ორივე მხარეს სჯეროდა საკუთარი სიმართლის. ის ფაქტი, რომ ამერიკელებისათვის (არა მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის,



არამედ მთელი ერისათვის), კონკრეტული პოლიტიკური ან სამხედრო ინტერესების გარდა, შეიძლება „რალაც პრინციპების“ ფანტიკური ერთგულება ყოფილიყო მთავარი, სტალინისათვის წარმოუდგენელი, დაუჯერებელი და საკუთარი ლოგიკით აუხსნელი იყო.

პოტსდამში განხეთქილების საბაზად პოლონეთის საკითხი იქცა. სტალინს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მეფის რუსეთის ისტორიული კურსის გაგრძელება და დემოკრატიული ტრადიციების მქონე ევროპული სახელმწიფოების ქცევა ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის სატელიტებად.

მისი გათვლებით, ეს აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის მომავალი უსაფრთხოებისათვის, ხოლო თუ ვაშინგტონი და ლონდონი ამას ეწინააღმდეგებოდა და პოლონეთის თავისუფლება სურდა, სინამდვილეში განზრახული ჰქონდა საბჭოთა კავშირის დასუსტება. სხვაგვარი ახსნა სტალინისათვის წარმოუდგენელი იყო. როგორ და რატომ უნდა ერწმუნა კლასთა ბრძოლის თეორიასა და პრაქტიკაზე აღზრდილ „ფოლადის“ ბოლშევიკ-დიქტატორს, რომ ვილაცისთვის თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებები და დემოკრატია უმალღესი და წმიდათანმიდა ფასეულობებია? რომ სადღაც მართლაც არსებობს პრესისა და სიტყვის თავისუფლება?

„ცივი ომის“ სათავეების გაანალიზებისას საჭიროა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის შეჯერება:

კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. საბჭოთა კავშირსა და მოგვიანებით მთელ აღმოსავლეთ ბლოკში გამეფებული ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმი სრულიად მიუღებელი იყო დასავლეთის იდეოლოგიური პლურალიზმისათვის (შეხედულებათა თავისუფლება და სხვადასხვაობა);

იდეოლოგიურ შეუთავსებლობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები მსოფლიოში ომის შემდგომი დარეგულირებისა და წესრიგის დამყარების შესახებ. ომის შემდგომ პერიოდში ორივე მონაწილე მხარე თავს გამარჯვებულად თვლიდა და ჰქონდათ ამბიციური ეთამაშათა გადაწყვეტილი მომავალი ევროპის პოლიტიკურ მოწყობაში. სტალინი გამოდიოდა საბჭოთა დიპლომატიისათვის დამახასიათებელი სტილით, ცალმხრივად გაემყარებინა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროები და პოზიცია. დასავლეთში უპირატესობას ანიჭებდნენ მრავალმხრივ ინტეგრაციას, ერთა თვითგამორკვევის უფლებებსა და დემოკრატიულ ფასეულობებს;



ამას ერთვოდა ძლიერი უთანხმოება კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე: გერმანიის მომავალი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მთავრობების ფორმირება, საბერძნეთში კომუნისტების მიერ წამოწყებული სამოქალაქო ომი, საბჭოთა კავშირის ზენოლა თურქეთზე და ა.შ.

და ბოლოს, უარყოფითი როლი შეასრულა ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ბირთვული იარაღის ფლობასა და მის წარმოებაში შეჯიბრით გამოწვეული შიში, ერთიმეორის განზრახვათა არცოდნა, დასავლეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისა და საზოგადოების შემოფთება იმის გამო, რომ აშშ-ის სამხედრო ძალების დემობილიზაციის შემდეგ, ომის შემდგომ დასუსტებული ევროპის ქვეყნები საბჭოთა სამხედრო უპირატესობასთან პირისპირ რჩებოდნენ.

2. განხილვის ბალკანები

საბჭოთა კავშირი, სტალინის ხელმძღვანელობით, ჯიუტად ცდილობდა ომის შემდეგ შექმნილი სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენებას, როდესაც წითელი არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე და მოახდინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე ავსტრიის, იუგოსლავიისა და თვით გერმანიის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია. აქ, ისევე როგორც 1940 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში,

წითელი არმიის ყოფნა გამოიყენეს იმისათვის, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე თანდათანობით მოსკოვის მორჩილი საბჭოთა მმართველობის მსგავსი რეჟიმები ჩამოეყალიბებინათ.

ამასთანავე, სტალინი, იყენებდა რა მემარცხენე პოლიტიკური ძალების პოპულარობას იტალიაში, საბერძნეთსა და საფრანგეთში, აპირებდა საბჭოთა გავლენის გაფართოებას ევროპის სხვა ნაწილებშიც. ამ მიზნით 1947 წელს შეიქმნა კომინფორმი — ორგანიზაცია, რომლის მიზანს საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობა და მათი ქმედებების შეთანხმება წარმოადგენდა. ხელახლა შექმნილი სტრუქტურა თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობით, კომუნისტური გავლენის გავრცელების იდეით ძალიან ჰგავდა ომამდელ კომინტერს.

დასავლეთ ევროპაზე განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა სახელმწიფო გადატრიალებამ ჩეხოს-

ლოვაკიაში, რომელიც კომუნისტების მიერ იყო ორგანიზებული; ჩეხოსლოვაკიის მოვლენებმა მთელი სიმწვავეით დააყენა დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინაშე საიმედო თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბების საკითხი. კომუნისტებმა თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვეს, მაგრამ მოსკოვისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო თავისუფალი არჩევნები თავისი მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სიურპრიზებით. სტალინისათვის მისაღები მხოლოდ ერთპარტიული უვადო კომუნისტური დიქტატურა იყო. სწორედ ამას შეენირა დემოკრატიული წყობა და დემოკრატიული მმართველობის ყოველგვარი პერსპექტივა პრაღაში. ამას 1948 წელს ბერლინის ბლოკადა მოჰყვა, რაც ნათელს ხდიდა, რომ სტალინი მზად იყო სამხედრო შეჯახების რისკზე წასულიყო.

ბერლინის ბლოკადა

ერთ-ერთი საბედისწერო მოვლენა, რამაც ევროპა „ცივი ომის“ პირისპირ დააყენა, გახდა ბერლინის ბლოკადა 1948-1949 წლებში. სწორედ ბერლინის კრიზისმა დაუდო სათავე კონფრონტაციას, რომლის შედეგიც ბერლინის და მთლიანად ევროპის გაყოფა, „რკინის ფარდა“ და ბერლინის კედელი იყო.

როგორც ცნობილია, 1945 წელს ნაციზმის განადგურების შემდეგ, დამარცხებული გერმანიისა და მისი დედაქალაქის ტერიტორია გაიყო ე.წ. საოკუპაციო ზონებად, რომლებსაც აკონტროლებდნენ ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები და საბჭოთა ჯარები. მათი კონტროლის ქვეშ უნდა



აღმდგარიყო ერთიანი გერმანული სახელმწიფო.

მაგრამ, სულ მალე, 1947 წელს, გერმანიის აღდგენასთან დაკავშირებით გამოვლინდა განსხვავებული მოსაზრებები. სტალინის სურვილი იყო მომავალში საქმე ჰქონოდა ეკონომიურად დასუსტებულ და პოლიტიკურად კონტროლირებად გერმანიასთან.

დასავლელ მოკავშირეებს სურდათ სწრაფად აღედგინათ სრულუფლებიანი გერმანული სახელმწიფო, რომელიც დაეფუძნებოდა საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიულ და თანაბარუფლებიანი პარტნიორობის პრინციპებს. ამ მიზნით, მათ მიერ კონტროლირებადი საოკუპაციო ზონები დასავლეთ გერმანიაში ჩართულ იქნა „მარშალის გეგმაში“ და დაიწყო იქ რეფორმების გატარება.

ამ ფაქტმა გაამძაფრა სტალინის ეჭვები. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1948 წელს, როდესაც ამერიკელებმა და ინგლისელებმა თავიანთ საოკუპაციო ზონებში დაიწყეს ფულად რეფორმის გატარება.

სტალინმა ამის საპასუხოდ დაიწყო ბერლინის დასავლეთი საოკუპაციო ზონების სამხედრო ბლოკადა — მიწისზედა კავშირის ყველა საშუალების სრული შეწყვეტა, რომელიც საჭირო

იყო ქალაქის დასავლეთი ნაწილის უზრუნველსაყოფად. დასავლეთი ბერლინის მცხოვრებთ შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. ამას აშშ-მა და ინგლისმა უპასუხეს საჰაერო ხიდის ორგანიზებით. რამდენიმე თვის განმავლობაში ასეულ ათასობით ტონა



საკვები და სხვა პროდუქტი იქნა მიწოდებული თვითმფრინავებით დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთათვის.

სტალინმა ვერ შეძლო ბერლინელების მოდრეკა და ამიტომ აღმოსავლეთ გერმანიის გასაბჭოება დაიწყო. იქ შეიქმნა მაროინეტული კომუნისტური სახელმწიფო – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. დასავლეთ ნაწილში კი შეიქმნა დემოკრატიული და აღმავლობის გზაზე მდგარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამგვარად დამტკიცდა გერმანიისა და გერმანელი ხალხის ხელოვნურად

გაყოფა.

დასავლეთი ევროპის ქვეყნებმა მოვლენათა ასეთ განვითარებაში დაინახეს სერიოზული მუქარა საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ ომის შედეგად ეკონომიკა განადგურებული ან სერიოზულად შესუსტებული იყო და ისინი არ ფლობდნენ საკმარის სამხედროთავდაცვით პოტენციალს.

შიდა სირთულეებით გამოწვეული სოციალური დაბნეულობა კარგ საფუძველს უქმნიდა კომუნისტურ პროპაგანდას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიმზიდველს ხდიდა გარე აგრესიისათვის.

ამავე დროს აშშ-მა დაიწყო ჯარების სწრაფად გაყვანა ევროპიდან. თუ 1945 წელს ევროპაში იყო 3,5-4 მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი, 1949 წლისთვის იქ მხოლოდ 100 ათასი დარჩა. შექმნილი ვითარება ბევრს აფიქრებდა, რომ აშშ მინიმუმამდე ამცირებდა თავის პოლიტიკურ ინტერესს ევროპისადმი, როგორც ეს მოხდა I მსოფლიო ომის შემდეგ.

სოსო ცინცაძე
უღლის ეპულისი
„ნატო და საქართველოს უსაფრთხოება“

ვახტანგ გორგასლის ორდენი

ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილდოება

ხდება შემდეგი თანამიმდევრობით:

III ხარისხის ორდენით ჯილდოვებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისთვის.

II ხარისხის ორდენით ჯილდოვებიან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

I ხარისხის ორდენით ჯილდოვებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამ-

სახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.

ვახტანგ გორგასლის I, II, III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებული პირი სარგებლობს ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახელმწიფოს ხარჯზე მგზავრობის უფლებით და სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით.

ფულადი პრემია – ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2.000 ლარი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე – 1.000 ლარი. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე – 600 ლარი.





საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

31-ე ბატალიონი ავღანეთში

2013 წლის ოქტომბერი... ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში მიემგზავრებიან. მეჩეთში მათ მოლა მუსლიმურ ადათ-წესებს აცნობს და მსოფლიო მშვიდობის დამცველებს გზას ულოცავს. იქვეა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაც, იგი ჯარისკაცებს სათითაოდ ემშვიდობება. ბიჭები გულში იკრავენ აცრემლებულ დედებს, თავად კი მღელვარება არ ეტყობათ. ეს ავღანეთში მიმავალი ქვედანაყოფის პირველი ნაკადია, ანუ 150 ჯარისკაცი 31-ე ბატალიონიდან. ბიჭებმა ბოტანიკის ქუჩის დაღმართი პირფერის წერით ჩამოიარეს. თითოეული მათგანის თვალი სამების გუმბათისკენ იყო მიპყრობილი. ჩემს დღეში იმდენი პირფერი არასოდეს გადამინერია. ამდენჯერ ღმერთისთვის არაფერი მითხოვია... ავტობუსე-

ბი ჯარისკაცებით ივსება. მიდიან... ისინი 33-ე ბატალიონს ჩაანაცვლებენ. საქართველო სინარჯის მოლოდინშია. 33-ე ბატალიონი და „ადლია“ სამშობლოში მშვიდობით ბრუნდებიან. კიდევ ერთი დიდი ბედნიერება წინ არის – სულ მალე 31-ე ბატალიონიც უდანაკარგოდ დაბრუნდება. მანამდე კი ჩვენი ჯარისკაცები კვლავ განაგრძობენ ავღანელი მოსახლეობისათვის დახმარებასა და იმ სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას, რომლებიც ტერორისტების მიერ დადებული ბომბების აღმოჩენასა და მათ გაუფრთხილებლად გულისხმობს. ხშირად მონაწილეობენ ჰუმანიტარულ ოპერაციებშიც: მოსახლეობას სურსათსა და ტანსაცმელს ურიგებენ, ხოლო პატარებს ტკბილეულსა და სათამაშოებს ჩუქნიან. ჯარისკაცურის გარდა ბიჭები

ავღანეთში ჩვეულებრივი ცხოვრებითაც ცხოვრობენ. დღესასწაულებზე ღონისძიებებს მართავენ, რითაც ჩვენც გვამხნევენ და საკუთარ თავსაც. ბოლო პერიოდში ბაზა „ლეზერნიკზე“ მათი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. „ერთი ბიჭია, გვარად კვიციანიძე, ძალიან მაგრად ხატავს“, – მეუბნებიან. თუმცა ნახატების გარდა ხელნაკეთი ნივთებიც გამოფინეს, რომლებშიც, მეტწილად, ეკლესიები სჭარბობს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჯარისკაცები უფრო ხშირად ღმერთს ესაუბრებიან. „იქნებ ხის ჯვარი მიყიდო, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებს შეახო და დამახვედრო“, – მთხოვენ ავღანეთიდან ბიჭები და მშობლიურ მინაზე ფეხის დადგმის მოლოდინში მისიის წარმატებით შესრულებას განაგრძობენ.



მისიაში გამგზავრების წინ



ავღანეთისკენ



დუმილის წუთი



ჯარისკაცების სელნაკეთთა გამოფანა გაზა „ლაზარნიკა“



უფლებამოსილების გადაზარების ცერემონია ბაზა „ღებრნიკზე“. ღონისძიებაზე აშშ-ს საზღვარსა ქვეითების ძველმა და ახალმა მეთაურობამ წარდგომისა და საექსპედიციო დანაყოფების წაბრძოლო დროშები გაცვადეს. ცერემონიაში ქართველების 31-ე ბაყაღიონი მონაწილეობდა.



ჩვენი სასამაო და საიმელო ბიჭები ასე მხნელ და ხაღისაინაღ ასრულებენ საერთაშორისო მოვადეობას უცხო მიწაზე, უცხო ცის ქვეშ. იქ, სადაც ყველა თუხის ნაბიჯზეა ფათურაჰვი.





გოგა გულიაფხვილი

* * *

ამდენ დარღებს ვკლარ იტყვს ჩემი გული,
 სისწლოძარღვებში მონატრებამ შეაბიჯა,
 გულის ტემა ამიქარა შენზე ფიქრმა,
 საკუთარი სიტოტხლეკ კი დამაფიწყა,
 დავდივარ და შენზე ფიქრებს ვერ ვერევი,
 დღე და ღამე ერთმანეთში ამერია,
 რა იქნება სიყვარული დამბრუნო,
 ჩემნაირად ხიმ არავის ყვარებინარ,
 დამბრუნე ჩემი წრფელი სიყვარული,
 სისწლი გულში აღუღდა და შეეკრძა,
 რადგან, ქალავ, იმნაირად შემიყვარდი,
 როგორც ერთ დროს კვანძობილის ესმენაღდა.

წმინდა გიორგი

ქარმა აშალა ღრუბელი,
 გადააჭარა მთები,
 და ძალდა მთაზე გამიხნდა
 წმინდა გიორგი ცნებით.
 ხკოთ ეპყრო შუბი რკინისა,
 შუბი - სიმართლის მთქმელი,
 გაჭირვებულთა მფარველი,
 მორწმუნე ხალხის მკველი.

* * *

ვერ გხედავ, განვიცდი,
 ტრექლებს ვღვრი, არ იცი?
 დავდივარ, დავდივარ
 მთაში თუ ბარშია,
 თღესლაც გბოვნო
 და გულში ჩაგიკრავ.
 სულ ჩემთან იქნები,
 სახლიაც, კარშიაც,
 და ბეჭნიერებაც ზუსტად ამამია.
 მარტო ვარ, რა მტკიცა
 არ ვიცი, განვიცდი,
 ჩემი სიყვარული,
 ბოლომდე დავიცდი.

* * *

ფიქრებმა, ბნელმა უგზო-უკვლოდ
 დიდნანს მაჭარა,
 მარტო დარჩენილს შენი თვალები
 კვლავ მომნაჭრა.
 რომ დავგანხე ლოყამ ტრექლი
 როგორ აჭარა,
 ვიცი, მკეცილი, სულელი ხარო,
 თანაც, პაჭარა...

* * *

დილით აღიონს მე ვხვდები ლოცვით,
 მსურს, გაგაღვიძო თვალგზზე კოტნით,
 გითხრა, მენატრები, თვალი აგინილო.
 და რომ მიყვარხარ, ისიც გაგმინილო.
 ლოდინით დაღლილი, ჩურჩულით ანსნილი,
 თვალები დანრილი მაშორებს შენს თავს,
 თუნებით, წადილით, ლამაზით, ნამდვილით,
 მე მინდა შენს გულში პაჭარა აღვილი.
 დამეა მშვიდი, მე ვერ ვიძინებ,
 შენზე თუნება ფიქრებს მიღვიძებს,
 მომენატრები, ჩემად ვიტირებ,
 გთხოვ, ნურასოდეს ნუ დამიფიწყებ...

გალიკო ჭიჭიჭილი.

იუნკერი, 1920 წ

მსკდრებს

ჩუნი სამშობლო ტურფა, კეკლეუტი
 იყო ძრავალს წელს ტყეობაშია.
 მისი კუნესა და ტულის ტყვილი
 დმერთს აწუნებდა მალა ტაშია.
 მან შეისმინა მისი ჯღრება
 და მოუჯლინა თავისუფლება,
 მეუ ჯარსებობო, ამისი თქმისა
 მსოფლიოს ქერქემ მისცა უფლება.
 მოძალისათვის, ღვიდლო შვილებო,
 ჯემით წყარო უკდაჯებისა,
 უნდა მოჯსმებნით და იგი ჯასჯათ
 რომ კჯლაჯ არ ტანდეს მონა სხჯებისა.
 მადლო, დიდება მისთვის მოღჯაწეთ,
 მადლო, დიდება დამჯკელ ტმირებსა,
 წმინდა ტრბაქნელ თავის დადებით
 წაჯბამით ყოფილო ერთჯულ შვილებსა.

ჯამბულ ზურჯუშია

დაიდლება აფხანეთის თმში

ბიჭები

მე თქვენ გინსენებო რატომღაჯ ანლა,
 სულ ბირტიტჯელა, საოტარ ყმაწვილოთ,
 ბიჭებს, რომლებმაც არ იჯით დადლა,
 ბიჭებს, რომელთაც ტყვიები ტაწვიდოთ.
 მე თქვენ მიყჯარხაროთ!
 მწარეკ ხარო, ტკბილიოც
 და ერთმანეთში ჯერბაფრით ტარხეჯოთ,
 ჯინ ტადარუჯჯა სოფელი თბილი?!

ჯინ აჯონხრათ ლამაჯი ჯარხე?!
 ჯინ დარხოქებს კოდორის ბოჯრებს -
 მამა-მამათჯან ბრძოლებში ნარხეჯოთ?
 საქართჯელოსთვის იქნება მოჯკჯდეთ,
 და მინჯ მარად კოტხლები დარხეჯოთ.
 და კჯლაჯ გინსენებო რატომღაჯ ანლა,
 სულ ბირტიტჯელა, საოტარ ყმაწვილოთ,
 ბიჭებს, რომლებმაც არ იჯით დადლა,
 ბიჭებს, რომლებმაც ტყვიები ტაწვიდოთ.

დჯდას

ჩემო ძვირფასო, ძვირფასო დჯეო,
 რა დამაჯიწყებს შენს სიყჯარჯულს სიკჯდილის მეტე?
 თუ სამშობლოსთვის ამ სიკოტხლეს ტაჯწირაჯ რიდიოთ,
 მაშინ სიკჯდილი სიკოტხლეჯე იქნება დიდი.

მინეილ დჯალიჯუმილი

დაიდლება აჯგისტოს თმში

* * *

წამოჯიდიოდა მეტრის ტყჯა,
 მსჯაჯხად წვიმის და სეგყესა,
 ტულმკერდს უნეჯა მეომრებს,
 მათ დჯლებს ჯინ რას ეტყჯესა.
 იბომბებოდა ქართჯელი
 სოფლები, მრავალწლიანნი,
 ბრძოლის ჯელიდან ისმოდა
 მომა კჯლაჯოთ ხმა კრემლიანნი.
 ბეჯრ დჯდამ ანლაჯ არ იჯის
 საფლავი თავის შვილისა,
 ან კლოდება კოტხლასა,
 ან მის სურბათეჯ ტირისა.
 მიუხეჯაჯად ქართჯელთა
 დამარტხებულნი ბრძოლისა,
 სამახბლოში იხარებს
 ჯარდი დჯლეჯულთ ხსოჯნისა.

მხატვრობა

ფუნჯით შექმნილი პოეზია



გიორგი მარკოზაშვილის ფერწერული ქმნილებები დიდი ხანია მიბიძგება, შევასრულო მეტად ძნელი ჩანაფიქრი – გავაანალიზო ამ გამორჩეული ხელწერის მქონე მხატვრის ღვთისმშობელური ნიჭით, შესაშური გონით ფერებში ამეცხველებული სამყარო...

შეიძლება ითქვას, გია მარკოზაშვილის სახელი დრომ წარმოაჩინა. როგორც აუცილებლობა ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და სულიერი კულტურის გარდამტეხი პერიოდისათვის... მთელი მისი ფერ-

წერული სამყარო გასხვივონებულია სამშობლოზე, საქართველოს ერთიანობაზე ფიქრითა და გრძნობით. ამოუწურავი მრავალფეროვნებით ხასიათდება გიას ფერწერა, როგორც ტექნიკის მხრივ, ისე თემატურად და უანრობრივად. თითოეული ტილო, კომპოზიცია, თუ აბსტრაქცია მზის შუქითა და ბუნების უჩვეულო სურნელითაა გალიცლიცებული... ჰოდა, ძალიან ძნელია, დროს გაექცე, შექმნილს, გემოვნებასა და სულში ჩაკირულს და მხატვარი ახერხებს, ახლებურად, ფერებით გამოსახოს, გამოსახოს კი არა, შექმნას სამშობლოს სიყვარულის გამოხატვის ორიგინალური ფორმა. მისი საოცარი ნიჭის ანარეკლები: „სოფ. ერთანმინდა“, „მონამეთა“, „ანანური“, „ძველი თბილისის მოტივები“, „შემოდგომა ნითელ ხიდეზე“, „ხალიჩების გასაყიდი ქუჩა ძველ თბილისში“, „გოლოვინის პროსპექტი“ და მრავალი სხვა, გამოირჩევა შუქის სიუხვით, საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტებისა და სულით ძლიერ ადამიანთა ფიქრიანი სახეებით, ფერთა გენიალური

შეზავებითა და ზეციდან დაშვებულ სხივთა ჩქერალით.

სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა კი ახალი ფერებით ააკაშკაშა მისი უჩვეულო პეიზაჟური სამყარო. ბედნიერებისაკენ, ლამაზი სიცოცხლისაკენ სწრაფვას ირეკლავს მისი სასწაულებრივი ნამუშევრები: „გასეირნება“, „ოჯახი“, „გადაჯაჭვულნი“, „ბალეტი“, „გიორგობა“, „აღდგომა“, „იდილია“, „ფარშევანგი“, „სამოთხის ჩიტი“ და სხვ.

ისტორიული თემატიკით შექმნილი ტილოები „ნიკოლოზ II-ის ოჯახის დახვრეტა, და „სისხლი რძით“, მართო წარსულთან შეხმიანება როდია, არამედ ისტორიზმის ღრმად გააზრებული პროცესი, როცა მხატვარი კაცობრიობის წარსულსა და დღევანდელ პრობლემათა ერთიანობის ფონზე ფუნჯით, ფერებით ამბობს თავის სათქმელს. ეს ტილოები თამამი მონასმით, მოულოდნელი რაკურსებით, შუქ-ჩრდილის კონტრასტით აცოცხლებს გარემოსა და სახეებს. რაც შეეხება ადამიანთა მოდგმის ტრაგიზმამდე აყვანილ შემადრწუნებელი რეალობას, მხატვრის წარმოსახვის თავისებურებას უსვამს ხაზს. სისხლის ტბაში მოცურავე ადამიანთა სილუეტები გვაძრწუნებენ და გვაოცებენ. უყურებ და გრძნობ, თითქოს წამიერად გარინდებულან, თორემ საცაა ამოდრავდებიანო... ვფიქრობ სწორედ ესაა გია მარკოზაშვილის ფერწერული სამყაროს მონომენტურ-დეკორაციული ხასიათი.

ის ფართო დიაპაზონის მხატვარია, რომელსაც ერთნაირად ხელენიფება როგორც გრაფიკა და ფერწერა, ისე მონუმენტური კომპოზიციები და პორტრეტები.

გია მარკოზაშვილის ფერწერულ სამყაროში განსაკუთრებით თვალშისაცემია აბსტრაქციები. ესაა რაღაც უზარმაზარი შინაარსით და ფილოსოფიური აზრებით დაყურსული ნამუშევრები, რომლებიც უჩვეულო ფანტასტიკით გვაოცებენ, ღრმა და ნათელი სევდაა ჩალვრილი თითოეულ

ქველი თბილისი



ნიკოლოზ II ოჯახის დახვრება



გიორგობა



მათგანში. აქაა ადამიანურიც და ღვთაებრივიც. მისეული იდუმალეობა და მშვენიერება.

მხატვარმა შექმნა გასაოცარი ფერწერული სამყარო, და ვფიქრობ, არსად ისეთი ინტენსიურობით, ისეთი უჩვეულო ნიუანსებით არ მუღავნდება ფერი, როგორც გია მარკოზაშვილთან... მის ყველა ქმნილებაში გამოსჭვივის სილამაზე და მშვენიერება. ამიტომაცაა ყოველი ნახატი გამორჩეული. მისთვის ფერი საიდუმლო მშვენიერებაა; ღრმად სჯერა ფერის მუსიკალურობა, ფერის მაგიური ძალმოსილება. ის ფუნჯით ხატავს სილამაზეს, მზისფერს ავლებს ადამიანთა სულებში და ქმნის უჩვეულო პოეტურ ქვეყანას – მშვენიერების მაგიურ საუფლოს... და იღვრება ფერები, ეღვრება ამ მიწას, ამ ზღვას, ამ ცას და მღერის ფერი... გარდასული, დავინწყებული წარსული ხდება რეალური, ხელშესახები, რომელიც იმდენად თავისებურია, რომ აგერ შენს თვალწინ თითქოს ხელიხელ ჩაკიდებული მოაბიჯებს წარსული, აწმყო და მომავალი. ეს საოცარი და უჩვეულო ზმანებანი სწორედ ისაა, რასაც ხელით მოუხელთებელი სამყარო ჰქვია. და არის მის ფერწერაში ის, რასაც ფორმისა და შინაარსის ჰარმონიას უწოდებენ. ეს მისი სტილია, მისი ესთეტიკა.

გია მარკოზაშვილის კომპოზიციები, ნატურმორტები, პორტრეტები მისი სულის გამოსხივებაა, მისი

სინდისი და ინტელექტი, მისი ავლა-დიდების ანარეკლებია... ჰოდა, გეჩვენება, სათნოებითა და სიკეთით გაზაფხულივით ლამაზია გიას ფერწერა, სწორედ აქ იწონებენ თავს ყელაღერებული თეთრი კალები, სიცილადა და მსკდარი ბროწეულები, უნაზესი იები, აფეთქებული ვარდ-

გალიცლიცებულ პოეტურ ქვეყანას და წმინდა გიორგის დღესასწაულზე გვეპატიჟება („გიორგობა“, 1996 წელი, ტილო), სადაც სულის საოცარ აფეთქებასთან გვაქვს საქმე. სადაც სულისა და ემოციათა ქარიშხლები ფერთა ზემოქმედებით გულმხურვალე ლოცვისთვის განგვანყობენ და სწორედ აქაა მსგავსება ლადო გუდიაშვილის ნახატთან „სილამაზის ძიება“, სადაც ტაძრის ყვავილობაცაა და ფერთა უჩვეულო დღესასწაულიც...

და მაინც ესაა სრულყოფილი ჰარმონია შინაარსისა და ფორმისა და კომპოზიციის უჩვეულო სასწაული. ესაა ფერებით მოქსოვილი ტილო, მთლიანობისა და ინდივიდუალურის, ბედნიერი თანხმობა. ვუყურებთ და მონუსხული ვრჩებით სახეების ფილოსოფიური სიღრმით. ვფიქრობ, ამ ტილოს მიღმა სწორედ ის საიდუმლო, ის უნივერსალური სტილი, ჩანაფიქრის სიღრმე, რომელიც „ოქროს ჰარმონიით“ მიიღწევა. ამ სურათის ახსნა ერთობ რთულია და ძნელი, ესაა ჭეშმარიტად ღვთაებრივი ქმნილება და ამ პორტრეტით აღძრული შთაბეჭდილება შეიძლება ცალკე ესეც ჩამოინუროს... „წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო, მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!“ – რა მახლობელია ზვიად გამსახურდია!..



აბსტრაქცია №68

ები და ზამბახები, ენძელები და ყოჩივარდები, თითქოსდა სევდიანი სული, ლამაზი სევდა ამოძრავებთ და ნაზად ირხევიან. ფერმწერისათვის ჩუმ და იდუმალ ლამეში გადახსნილია ვარსკვლავთა ზეცა და იგიც სამყაროს საერთო მდუმარების ჟამს ფუნჯით ქმნის მზისფერი ფერებით

„წმ წმის ცოვია წომელოც მომყოლს, წაღვან ზემი თქვლები იმ ჭყყანაშია, წომელოცა ჭყოვლები რა წმ ყვლებოცა“, – გენერალი ყინიყაძე

სამშობლო მათ ხსოვნას სანთლებად აინთებს


ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ, საქართველოს ინტერესებს იცავდნენ. ცდილობდნენ, მის წინაშე მხედრული ვალი პირნათლად მოეხადათ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა გაერთიანებებში ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისა და სიძლიერის წარმოსაჩენად თავიანთი წილი აგურიც დაედოთ. სიკვდილზე არ წუწუნებდნენ და სიცოცხლე არ ენანებოდათ. ამიტომაც ბევრი მათგანი სხვადასხვა ორდენითა და მედლით იყო დაჯილდოებული. გმირულმა აღსასრულმა უცხო მიწაზე მოუსწროთ. თუმცა იქაც საქართველოს მომავალს შეენიერნენ, პატარა საქართველოს სახელს და ადგილს ამ უზარმაზარ სამყაროში. მსოფლიო უსაფრთხოება საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს. გავა დრო და მათი თავდადება ათასჯერ უკეთ შეფასდება და დაფასდება.

ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართველი ქვედანაყოფები 2004 წლიდან მონაწილეობენ. 2010 წელს საქართველომ იქ ანტიტერორისტული მისიის შესრულებისას 5 მეომარი დაკარგა. 2011 წელს – 6, 2012-ში – 8, ხოლო 2013 წელს კი – 10 მეომარი, ეს უკანასკნელი ტრაგედია იყო.

ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. მისიის შესასრულებლად ავღანეთში 2013 წლის აპრილში გაემგზავრნენ. გასული წლის 13 მაისსა და 6 ივნისს კი ჰელმანდის პროვინციაში თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორციელებულმა ტერაქტებმა 10 ქართველი ჯარისკაცი იმსხვერპლა. 10 ჯარისკაცი ერთი ბატალიონიდან. თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ უცხოეთში ვიზიტი სასწრაფოდ შეწყვიტა და ავღანეთში, ჩვენს ბიჭებს მიაშურა, მაგრამ დემორალიზებული ჯარი როდი დაუხვდა მინისტრს. „ჯარისკაცი ხელში იარაღს რომ იღებს, ის მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის“, – ასეთი იყო მათი პასუხი იმ სიკვდილზე, რომლის საფრთხის წინაშე თავდაც დგანან ავღანეთში, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო ტერორიზმის კერას წარმოადგენს. ამ 29 ქართველმა გაჟაკაცმა კი სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა ის სიცოცხლე, რომელიც იარაღის ხელში აღების შემდეგ უკვე მათ კი არა, არამედ სამშობლოს ეკუთვნოდა.

ISAF-ის ოპერაციაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცები:

- | | | | |
|------------|--|------------|--|
| 05/09/2010 | ლიბხანაგი მუხრან მუქანი (31-ე ბაზალიონი) | 24/04/2012 | სერგეი ვალერიან სუჯაია (31-ე ბაზალიონი) |
| 30/09/2010 | აოლაქონიძე რამაზ გოგიანიძე (31-ე ბაზალიონი) | 26/07/2012 | ქაპალი გივი შანუღია (31-ე ბაზალიონი) |
| 30/09/2010 | სერგეი ღვით ხუხლაია (31-ე ბაზალიონი) | 11/10/2012 | ქაპალი შინღია აბაშია (32-ე ბაზალიონი) |
| 30/09/2010 | ქაპალი გიორგი კოლნიაშვილი (31-ე ბაზალიონი) | 29/12/2012 | სერგეი გიორგი ქიქია (12-ე ბაზალიონი) |
| 30/09/2010 | ქაპალი ნუგარ ქალანდია (31-ე ბაზალიონი) | 13/05/2013 | ნუსრისი სერგეი ზვიად ღვითია (42-ე ბაზალიონი) |
| 22/02/2011 | ქაპალი გიორგი ავალიანი (32-ე ბაზალიონი) | 13/05/2013 | ქაპალი ალექსანდრე ქინიანი (42-ე ბაზალიონი) |
| 14/03/2011 | ქაპალი ვლადი პესკოვი (32-ე ბაზალიონი) | 13/05/2013 | ქაპალი ვლადიმერ შანავა (42-ე ბაზალიონი) |
| 24/05/2011 | ნუსრისი სერგეი ლარსი ივანიანი (33-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | ქაპალი თეიმურაზ ორთაქია (42-ე ბაზალიონი) |
| 20/06/2011 | რიგითი გივი გოგუაია (33-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | ქაპალი გიორგი ალაშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 01/09/2011 | სერგეი რეზო ბერიანი (33-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | რიგითი ზვიად სულანიშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 30/12/2011 | ქაპალი გუსარიონ ნინიაშვილი (31-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | რიგითი გიორგი ღუჭუაშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 07/01/2012 | ქაპალი ვლადი შაილოვა (31-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | ქაპალი ბორის ხუგოშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 21/02/2012 | ქაპალი ანაზა ქაქაია (31-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | ქაპალი ზურაბ გურგენაშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 21/02/2012 | ქაპალი ვლადი ბერიანი (31-ე ბაზალიონი) | 06/06/2013 | რიგითი შინღია ნარინდოშვილი (42-ე ბაზალიონი) |
| 21/02/2012 | ქაპალი რუსლან მელიანი (31-ე ბაზალიონი) | | |





აღდგომა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა. ქრისტეს წამებიდან და მისი ხორციელი გარდაცვალებიდან მესამე დღეს ის ამალდა, განკაცდა და თავს იღო კაცობრიობის ცოდვები. აღდგომის დღესასწაულთანაა დაკავშირებული წითელი კვერცხი, ტკბილი პური ანუ პასკა და ჯეჯილი.

არის გადმოცემა, რომ ამალღებამდე იესო ქრისტემ თავისი მონაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. მარიამი რომში ჩავიდა და იმპერატორ ტიბერიუსს ეწვია. მან იმპერატორს კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: როგორ შეეძლო მკვდარს, აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდესო. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც განითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. საერთოდ, კვერცხი მარდიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იზადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რად-

ქრისტე აღსდგა

გან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმინდა და აკურთხა.

როგორ ხვდებიან ქართველი ჯარისკაცები აღდგომას ავღანეთში?

ავღანეთში, სამხედრო ბაზებზე რამდენიმე სამლოცველოა, რომლებიც თავად ჯარისკაცებმა ააგეს. ისინი ქრისტიანულ დღესასწაულებსაც იქ ხვდებიან ხოლმე. სამლოცველოებში ტარდება წირვა-ლოცვა და ხშირად, ნათლობაც იმართება. ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის გაძლიერებული ოცეული ბაზა „ფენიქსზე“ იმყოფებოდა და იქ ჯარისკაცებმა თავიანთი ხელით აშენებული სამ-

ლოცველო დატოვეს. ოცეულის მეთაური, კაპიტანი მალხაზ კიკაბიძე მიაშობს: „ბაზა „ფენიქსზე“ ეკლესია ავაგეთ, რომელიც შემდეგ მოძღვარმა გვიკურთხა და წმ. ნიკოლოზის სახელი უწოდა. ეკლესიაში წირვა-ლოცვა ხშირად ტარდება და ბიჭების ნათლობაც იმართება. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით შევხვდით, რომელიც ჩვენ თვითონ შევღებეთ“.

ავღანეთის მიწაზე ქართველი ჯარისკაცების მიერ დანერგილ ქრისტიანულ ტრადიციას ამჯერად სხვა ქვედანაყოფები გააგრძელებენ, და ისინიც წითელი კვერცხებით შეეგებებიან ქრისტეს აღდგომას. მისი ძალა და მადლი ჰფარავდეთ მუდამ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო დამცველებს!



აღდგომა ბაზა „ფენიქსზე“

ქართული ნაწარმების საბრძოლო მანქანები



ზვრს-122



ზვრს-122



დიფგორი 1



დიფგორი 3



დიფგორი 2



დიფგორი 2



დიფგორი 1



ლაზიანა

საქართველოს შინაარსობრივი ძალები 23 წლისაა



„არ არის ცყვი, რომელიც თქვენ შეგახერხებთ, იმიტომ რომ თქვენი ფესვები საქართველოშია, იმ ქვეყანაში, რომელსაც არაერთხელ ვდავდნენ და არ ვვლდებოდა. მე მუდამაყვება, რომ მაქვს წაყვივი გემსახუროთ თქვენ, საქართველოს დამცველებს. მიგუდეთ თქვენს გვერდით რიგით ჯარისკაცად“.

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი
ირაკლი ანასია**

დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი: ზაირა მიქატაძე
მობ.: 577 130 252; 598 594 655

სარედაქციო კოლეგია:
ირმა ჩაფიქა, სალომე გომოსია, მაიზარ ბალოვაძე
E-mail: mikatadze.zaira@gmail.com.

რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში,
რეგისტრაციის ნომერი: 406115813